საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№27 (309)
22 - 28 ივლისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

სტივენ უოლტი:
**ევროკავშირი ან დაკარგავს გავლენას, ან დაიშლება** 2

# დემოკრატია და სიცრუის კარუსელი




4

## ევროტყუილი! — მოკლე ფეხითა და გრძელი ეთერით 6



## «ევროპულ ცივილიზაციას მართლმადიდებელი საქართველოსთვის კარი არასდროს გაუღია» 7

## «ნაციონალებმა» მიიღეს დირექტივა, რათა სიტუაცია არიონ» 3




## «ქვეყანაში კარგად დაფინანსებული მეხუთე კოლონა მოქმედებს»



«ჩვენ ვდგავართ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე და ქართველმა ხალხმა ამ გზას არ უნდა გადაუხვიოს»

მამა არჩილი (ქიტუაშვილი):
## ანტიდასავლური განწყობა იმიტომ იზრდება, რომ დღეს დასავლეთი სიბილწესთან ასოცირდება 9

## «გეშინოდეთ ბურჯანაძის, რომელსაც მოაქვს ძღვენი!»



«გუშინ ლონდონიდან და ვაშინგტონიდან გვმოძღვრავდა, ამჟამად მოსკოვიდან მოგვმართავს» 10

2 ყირგიზეთმა აშშ-ის «დემოკრატიულ ნაბიჯს» მკაცრად უპასუხა

10 ბატონო პრემიერო, რუსთავის ციხეს, ერთი კი არა, უამრავი «ნაკლი» აქვს!

რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული «ღირებულებების» გაზიარებას? 12

14 პასუხი მამა პეტრე კვარაცხელიას

«თქვენ რომ დაემუქრებით და თქვენი რომ შეეშინდება, ის ხალხი არ ვართ ჩვენ, თქვე წუპაკო დემო(ტ)რაკებო!» 18

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრიქს-ის განვითარების ბანკმა მუშაობა დაიწყო

**ჩინური საინფორმაციო სააგენტო „სინხუას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 21 ივლისს ჩინეთის უდიდეს ქალაქ შანხაიში მუშაობა დაიწყო ბრიქს-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) განვითარების ბანკმა.** ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ბრიქს-ის კავშირი, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 42,1%-ს მოიცავს (3 მლრდ კაცი), ერთობლივი მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით, უკვე 2017 წელს გაუსწრებს ცნობილი G7-ის ქვეყნებს (ამჟამად ბრიქს-ის ქვეყნების ერთობლივი მშპ 16,9 ტრილიონ დოლარს შეადგენს). განვითარების ბანკის ამუშავებით კი ბრიქს-ის ქვეყნები ხორცს შეასხამენ იდეას, რომლის მიხედვითაც თავიანთი ეკონომიკები მსოფლიოს ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან დამოუკიდებლად უნდა განავითარონ. 100-მილიარდიანი საწესდებო კაპიტალის მქონე ბანკს, რომლის შტაბ-ბინაც შანხაიში იქნება, ინდოელი **კუნდაპურა ვამან კამათჰა** უხელმძღვანელებს.



### დონალდ ტრამპი:

## სენატორი მაკკეინი დაუმსახურებლად ითვლება გმირად

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ გმირის წოდებისთვის საკმარისი არ არის ტყვედ ყოფნა, სენატორი მაკკეინი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებს.**

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ეჭვი შეიტანა სენატორ ჯონ მაკეინის გეროიზმში ვიეტნამის ომის დროს. ტრამპის განცხადების თანახმად, მაკკეინს გმირად იმიტომ თვლიან, რომ ტყვედ ჩავარდა ვიეტნამში. არადა, უყვარს ის ადამიანები, რომლებიც ტყვედ არასოდეს ყოფილან.

ტრამპის ამ განცხადებამ რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი წევრის კრიტიკა დაიმსახურა და მოგვიანებით ტრამპს თავისი ნათქვამის განმარტება მოუწია. მან განაცხადა, რომ არ მოსწონს მაკკეინის მუშაობა სენატში, რადგან ის არ ზრუნავს ომის ვეტერანებზე.

**ვიეტნამის ომში ჯონ მაკკეინი ავიამზიდის თვითმფრინავის პილოტი იყო. 1967 წელს მისი თვითმფრინავი ჰანოის თავზე ჩამოაგდეს. მაკკეინმა 5 წელიწადი გაატარა ვიეტნამელთა ტყვეობაში, ის 1973 წელს გაათავისუფლეს.**



### დიმიტრი ქუმსიშვილი:

## სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციას 200 მილიონი ლარი დასჭირდება

**13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაცია და ზოოპარკის სხვა ადგილზე გადატანა 200 მილიონი ლარი დაჯდება, — განაცხადა თბილისის ვიცემერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.** „შევხვდით მსოფლიო ბანკის ექსპერტებს, რომლებმაც წარმოგვიდგინეს საჭიროებების პირველი შეფასება. არის ორი რიცხვი — ის ზარალი, რომელიც ინფრასტრუქტურამ და მოსახლეობამ მიიღო, დაახლოებით, 70 მილიონამდე ავა, თუმცა, თუ ჩვენ აქ შევიყვანთ ზოოპარკის გადატანის ხარჯებსაც, სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციას 200 მილიონი ლარი დასჭირდება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.



## ყირგიზეთმა აშშ-ის «დემოკრატიულ ნაბიჯს» მკაცრად უპასუხა



**ყირგიზეთმა ნათლად მიანიშნა დასავლეთს, რომ არ მოითმენს მის გამოხდომებს თავის ტერიტორიაზე — არანაირ ამერიკულ „ბრჭყვიალა სათამაშოზე“ არ გაცვლის თავის სუვერენიტეტსა და საშინაო პოლიტიკურ სტრატეგიას.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პრემია „ადამიანის უფლებების დამცველი-2015“-ით 2010 წელს ეროვნებათაშორის შუღლის გაღვივებისა და სამართალდამცველის მკვლელობის გამო სამუდამო პატიმრობამისჯილი **აზიმჟან ასკაროვის** დაჯილდოების საპასუხოდ ყირგიზეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ცალმხრივად წყვეტს ყირგიზეთსა და აშშ-ს შორის ხელშეკრულებას, რომელიც, უკვე 20 წელზე მეტია, მოქმედებს.



დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რა მიზნით მიანიჭა საპატიო წოდება აშშ-მა ტერორისტსა და მკვლელს — ასე იმიტომ მოიქცა, რომ სურს, ასკაროვი მომავალი სახელმწიფო გადატრიალების გმირად აქციოს. ასეთი რამ ხომ აშშ-ს არაერთხელ გაუკეთებია, თუნდაც საქართველოში, როცა მის მიერ საქართველოს ხელისუფლების სათავეში დასმული „ნაცმოძრაობის“ ლიდერები უამრავი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ქვეყნიდან გაიქცნენ და უკრაინის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ისევ ამერიკელების ხელდასმით მოკალათდნენ; ან უკრაინაში, როცა ამერიკელების წაქეზებით, ბანდერელმა ნაციონალისტებმა მაიდანი მოაწყვეს და ახლა ტერიტორიებშემოძარცვული ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინაშეა.

ყირგიზეთის ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის თავდახრით არ შეხვედრია აშშ-ის ცინიკურ გადაწყვეტილებას და მკაცრი საპასუხო ზომა მიიღო — აშშ მტრების სიაში ჩაწერა პრინციპით „ჩემი მტრის მეგობარი ჩემი მტერია“, და ამ მტერთან ხელშეკრულება გაწყვიტა.

ამ ხელშეკრულებას, რომელიც 1993 წელს გაფორმდა, უნდა გაეიოლებინა აშშ-ის მიერ ყირგიზი ხალხისთვის ჰუმანიტარული, ეკონომიკური და ტექნიკური მხარდაჭერის პროცესი. აქედან გამომდინარე, ამერიკული პროგრამით გათვალისწინებული პროდუქტები და აღჭურვილობა ქვეყანაში უნდა შეეტანათ ან გამოეტანათ საბაჟო გადასახადების გარეშე. ამას გარდა, ყირგიზეთში მყოფ აშშ-ის ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს მინიჭებული ჰქონდა სტატუსი, რომელიც დიპლომატიის სტატუსს უთანაბრდებოდა.

ბუნებრივია, რომ ყირგიზეთის მთავრობამ გადაწყვეტილება არ მოუწონა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს და მან „დიდი იმედგაცრუება“ გამოხატა რესპუბლიკის მთავრობის ამ ნაბიჯის გამო. როგორც ჩანს, ვაშინგტონი არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. **ყირგიზეთმა კი, ამ პატარა სახელმწიფომ, თავი წარმოაჩინა, როგორც ამაყმა ქვეყანამ, რომელიც ყველაფერს იღონებს თავისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური ხაზის დასაცავად. ამასთანავე, ყირგიზეთს უკვე ჰყავს მძიმეწონოსანი მოკავშირე — ეს ქვეყანა ერთი კვირის წინათ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა. ამას გარდა, ყირგიზეთი და რუსეთი სამხედრო მოკავშირეებიც არიან.**

როგორც ჩანს, ყირგიზეთი მიხვდა, რა სუნი ასდის „დემოკრატიას ამერიკულად“, რომელიც ტერორისტებს აჯილდოებს, და წინ აღუდგა ვაშინგტონის მცდელობას, შეერყია ვითარება ქვეყანაში და მოეწყო მორიგი „ფერადი რევოლუცია“, ისეთი, როგორიც ცოტა ხნის წინათ უკრაინაში მოხდა.

Foreign Policy

### სტივენ უოლტი:

## ევროკავშირი ან დაკარგავს გავლენას, ან დაიშლება



**ძნელია, „ევროკავშირის პერსპექტივას უწოდო ოპტიმისტური. ის, ალბათ, დაკარგავს ერთიანობასა და გავლენას“, — წერს პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ უოლტი გამოცემა Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

„ევროკავშირი თავისი წარმატებების მსხვერპლი შეიქნა: გაფართოებასთან ერთად, ის მოუქნელი და ნაკლებად პოპულარულია მოსახლეობაში. უდიდესი შეცდომა იყო ევროზონის შექმნა აუცილებელი პოლიტიკური მექანიზმების გარეშე.

ევროპაში, ალბათ, არ მოიძებნება ლიდერი, რომელიც შეძლებს ევროკავშირის გამოყვანას კრიზისიდან. ევროკავშირი ან დაიშლება, ან დაკარგავს გავლენას, ეკონომიკურ ძალას და ზედაპირზე იტივტივებს. ეს კი აშშ-ს კარგს არაფერს უქადის. ევროზონის კრი-



ზისმა განხეთქილება შეიტანა ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ცალკეული სახელმწიფო ევროკავშირის პროექტს ჩაშლითაც კი ემუქრება. ამასთანავე, ეკონომიკაში შექმნილი პრობლემების, უმუშევრობისა და მიგრანტების ნაკადის მოძალების ფონზე იმატებს პოპულარობა ნაციონალისტური პარტიებისა, რომლებიც უარყოფენ ევროკავშირის საფუძვლებს. **უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, ევროკავშირის ეკონომიკა ნელი ტემპით გაიზრდება, წამყვანი პარტიების მიმართ კი უკმაყოფილება კიდევ უფრო მოიმატებს.**

ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა გაბედულ და მიზანდასახულ ლიდერებს შეუძლიათ, მაგრამ ევროპაში არ არიან ისეთი კალიბრის ლიდერები, როგორებიც იყვნენ **კონრად ადენაუერი, შარლ დე გოლი** და **მარგარეტ ტეტჩერი.**

ევროზონიდან საბერძნეთის გასვლა შექმნის სახიფათო პრეცენდენტს, გაძლიერდება ნაციონალისტური უკმაყოფილება, ხელისუფლებაში მოვლენ ავტორიტარი ლიდერები, საბერძნეთს შთანთქავს მასშტაბური სოციალური მღელვარება, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო დახმარებისთვის მოსკოვს მიმართავს. ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება ამერიკაზე. ევროკავშირში სუსტი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს სუსტ ზრდას აშშ-შიც. ამასთანავე, დასუსტებული ევროპა ვერ დაეხმარება ვაშინგტონს ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარებაში“, — წერს ამერიკელი პროფესორი.

„რუსეთის დასუსტებაზე საუბარი ნაადრევია, განსაკუთრებით — დღეს, როდესაც მოხდა ალტერნატიული ძალების კონსოლიდაცია ბრიჩს-ისა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) და თშო-ს (თანამშრომლობის შანხაიური ორგანიზაცია) სახით. ვითარება მარტივი არ არის. მსოფლიოში ძალთა დაბალანსებისა და მრავალპოლუსიანი სამყაროს ელემენტები იკვეთება“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## თამარ კიკნაძე:

# «ნაციონალებმა» მიიღეს დირექტივა, რათა სიტუაცია არიონ

**გასული კვირა პოლიტიკურად ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრისპირა სოფლებში ვითარება არ გამძაფრებულა, ხელისუფლებას ბრძოლა, როგორც პოლიტოლოგები უწოდებენ, დესტრუქციულ ძალასთან — „ნაციონალებთან“ უწევდა. ხალხისა და ოპოზიციის დასაშოშმინებლად პრემიერმა ღარიბაშვილმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ საქართველო წართმეულ ტერიტორიებს დაიბრუნებს. მანამდე კი ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრმაც ისაუბრა. რა უდევს საფუძვლად ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ განცხადებებს? რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას აპირებენ თუ რუსეთის შესუსტებასა და დამხობას ელოდებიან? საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე, ტრადიციულად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— ქალბატონო თამარ, სოფელ ხურვალეთში განვითარებულ მოვლენებზე ყველას სხვადასხვა ვერსია აქვს...**

— მართალია, სხვადასხვანაირი ინფორმაცია ვრცელდება. ოფიციოზის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ ბანერი გადმოწეულია, ზოგი ამბობს, რომ — არა. ფაქტია, ამ ყველაფერს პროვოკაციის ელფერი დაჰკრავს. **ალბათ, „ნაციონალებმა“ მიიღეს დირექტივა, რათა სიტუაცია არიონ.** ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ე.წ. სასაზღვრო ზოლის პერიმეტრი გადაკეტა. ვითარების დესტაბილიზაცია ქვეყნისთვის სახიფათოა. **დესტრუქციული ძალები ამას გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიას არქმევენ, მაგრამ ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სადაც არ არის მყარი პოლიტიკური სისტემა, ინსტიტუტები და გარეშე ძალებს საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ, დესტაბილიზაციას მძიმე შედეგები მოაქვს.**

დასავლურ ქვეყნებში გამოხატვისა და პროტესტის უფლება კონსტიტუციით არის გამყარებული, მაგრამ, როდესაც პროტესტი ქვეყნის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს, პროტესტანტებს მკაცრად სჯიან. ჩვენთან და ჩვენნაირ ქვეყნებში კი დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება მანიპულირების საგანია და მას ისეთი ინტერპრეტაცია ეძლევა, როგორიც გარკვეულ გარეშე ძალებს აძლევთ ხელს. **როგორც წარსულის მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ქვეყანაში კარგად დაფინანსებული ძლიერი მეხუთე კოლონა მოქმედებს.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რუსეთის გინებაში სააკაშვილმა ამ ქვეყნის საქმე კარგად შეასრულა. როგორ შეიძლება ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ვიღაცის დაკვეთას ასრულებდნენ?! კოდორის ხეობას გადაარქვა სახელი და ზემო აფხაზეთი უწოდა... ისტორიას არ ახსოვს, ეს ხეობა უცხოს ხელში ყოფილიყო. ხელი შეუწყო აფხაზეთისა და ოსეთის დე იურედ აღიარებას და ახალგორისა და 140 სოფლის დაკარგვას. იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთთან კონსტურქციული დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, მოღალატეებად აცხადებენ, ხოლო მათ, ვინც რეალურად დაკვეთას ასრულებენ, ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშაობენ და, ამასთანავე, ანტირუსულ რიტორიკას ეწევიან, — პატრიოტებად.

**დღეს ახალი სახეობის ომი მიმდინარეობს. პირველ რიგში, ეს არის საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ომი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ადამიანებზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ, ხოლო ჩვენი განათლების სისტემის ჩართვა გლობალური განათლების სისტემაში და იქ ახალგაზრდა თაობის აღზრდა და სოციალიზაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება.**

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ პროცესების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ საზოგადოებაში არის ჯანსაღი ნაწილიც, თუმცა იმავე ტექნოლოგიებით ხდება ამ ნაწილის მარგინალიზაცია, ამიტომ საჭიროა საღი აზრის უფრო მეტი აქტიურობით გავრცელება.

**— მთელი კვირის განმავლობაში ბევრს საუბრობდნენ კანონზე ოკუპაციის შესახებ. არ იყო ეს კანონი მისაღები თუ ფორმა არ ვარგა?**

— როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის დე იურე დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენმა ხელისუფლებამ საპასუხოდ ეს ტერიტორიები ოკუპირებულად აღიარა და

## ქვეყანაში კარგად დაფინანსებული მეხუთე კოლონა მოქმედებს

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. შესაძლოა, ეს იმითაც აიხსნას, რომ გამოუცდელები იყვნენ. მსოფლიო პოლიტიკა სხვა მექანიზმებით იმართება, ამის გამოცდილება კი ჩვენს პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას ხშირად იღებდა ემოციურ ფონზე, რაც დაუშვებელია. დასავლეთი, რომელიც პოლიტიკური ამინდის შემქმნელია, თავის გეგმებს ასწლიანი პერსპექტივით განსაზღვრავს. საჭიროა პოლიტიკის კეთების მექანიზმების ცოდნა, ობიექტური ინფორმაციის მოპოვება პოლიტიკური აქტორების მიზნებზე, პროცესებში გარკვევა და პოლიტიკის რთულ ლაბირინთებში გზის გაკვალვა. **საქართველოში კი ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც რეალური სურათის კვლევასა და აღქმას უნდა ემსახურებოდნენ, არ არსებობს. მათზე დაკვეთაც არ არის. ყველა ასეთ სამსახურში ტენდენციურ ანალიზს აკეთებენ — ამბობენ, რომ რუსეთი ცუდია და დასავლეთი — კარგი.**

**პოლიტიკა წინააღმდეგობების თამაშია, ამიტომ სათანადო სამსახურები კარგად ინფორმირებული უნდა იყვნენ. ყველა წინააღმდეგობა შენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენო. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ქვეყნის სათავეშია, ყველაფერში გათვითცნობიერებულია.**

ვეთანხმები ყველას, ვინც არასამთავრობოების ლუსტრაციას ითხოვს. ცოტა ხნის წინათ ეს რუსეთშიც განხორციელდა, ყველა არასამთავრობოს, რომელიც კი უცხოეთიდან ფინანსდება, უცხოეთის აგენტის სტატუსი აქვს. თითოეული ცენტრი კონტროლდება. საქართველოში კი ამინდს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ქმნიან და თავიანთ დირექტივებს გვკარნახობენ და გვაკონტროლებენ.

**— მას შემდეგ, რაც საზღვართან არეულობა დაიწყო, პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა რამდენიმეჯერ განაცხადეს, დაკარგულ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთო. რა უდევს ამ განცხადებებს საფუძვლად? ხომ არ მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთს დაელაპარაკონ?**

— შიგნით რა ხდება, არ ვიცი. შესაძლოა, ეს მხოლოდ პიარის ელემენტებია, რადგან პიარი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. არ ვიცი, რა აძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს.

რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკა გამძაფრებულია, თანაც — ყველა მიმართულებით. ავიღოთ, თუნდაც სააკაშვილის დანიშვნა, ირანთან ხელშეკრულების მიღწევა, ნავთობის ფასის დაცემა. ამიტომ არ ვიცი, ჩვენს ხელისუფლებას რა აქვს მხედველობაში, როდესაც მიწების დაბრუნებაზე საუბრობს — რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება თუ რუსეთის პოზიციების შესუსტება. ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთის აღსასრული დადგა, რბილად რომ ვთქვათ, პრიმიტიულად აზროვნებენ. რუსეთი ამაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობიდანაც გამოსულა, ეს მისი დამახასიათებელი თვისებაა. რუსეთის შესუსტებაზე საუბარი ნაადრევია, განსაკუთრებით — დღეს, როდესაც მოხდა ალტერნატიული ძალების კონსოლიდაცია ბრიჩს-ისა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და თშო-ს (თანამშრომლობის შანხაიური ორგანიზაცია) სახით. ვითარება მარტივი არ არის. მსოფლიოში ძალთა დაბალანსებისა და მრავალპოლუსიანი სამყაროს ელემენტები იკვეთება.**

**— აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დასავლეთზე ძალიან გაბრაზებულია. რა საფრთხე ემუქრება ამ ქვეყანას?**

— ბოლო პერიოდში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობა შეინიშნება. დასავლეთის მხრიდან გაისმის განცხადებები, რომ შესაძლოა, აზერბაიჯანში მაიდანი განმეორდეს და, როგორც ჩანს, ალიევი ზემოქმედებას განიცდის. საუბრობენ, რომ აზერბაიჯანში ავტორიტარული რეჟიმია და კორუფცია მძვინვარებს. დასავლეთი შეეცდება, სიტუაციის დესტაბილიზაციას იმ შემთხვევაში, თუ პრორუსულ განწყობებს შეამჩნევს. ალიევი არის ლიდერი, რომლის პერიოდშიც ქვეყანა სტაბილურია, ეკონომიკურად ძლიერია, ხოლო მოსახლეობა ყოველწლიურად 90 ათასით იმატებს. ამასთანავე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ახლახან განაცხადა, რომ ყარაბაღის პრობლემა ახლებურ მიდგომას საჭიროებს. ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზება ილჰამ ალიევის მამის — **ჰეიდარ ალიევის** პერიოდში დაიწყო. აზერბაიჯანმა ყარაბაღი პირველი პრეზიდენტის — **აბულფაზ ელჩიბეის** პერიოდში დაკარგა, რაც ანტირუსული პოლიტიკისა და განწყობის შედეგი იყო.

**— რა ვითარებაა მსოფლიოში?**

— გაზსადენმა „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-მა, შესაძლოა, გერმანიაზე გაიაროს. უკრაინამ უარი თქვა რუსული გაზის შესყიდვაზე და ამით დაკარგა ტრანზიტული ქვეყნის ფუნქცია, რომელსაც გერმანია შეიძენს. სანკტ-პეტერბურგის შეხვედრაზე გაფორმდა მემორანდუმი გერმანიასა და რუსეთს შორის, რაც თურქეთთანაც ხელსაყრელი ვაჭრობის საფუძველია გაზსადენზე.

ჯერჯერობით ევროპა რუსული ბუნებრივი აირის გარეშე ვერ იარსებებს.

დასავლეთმა და, პირველ რიგში, აშშ-მა, ირანთან მოახერხა შეთანხმების მიღწევა. ახლა საჭიროა რატიფიცირება დოკუმენტისა, რომლის თანახმადაც, ირანს ემბარგო მოეხსნება. ირანისთვის ემბარგოს მოხსნა ნიშნავს, რომ ბაზარზე გამოჩნდება მილიონობით დამატებითი ბარელი ნავთობი, რაც ფასების დაცემას გამოიწვევს. ირანს აქვს ტანკერების უდიდესი ფლოტი, რომლითაც ნავთობის გადაზიდვა შეუძლია. გარდა ამისა, **ამერიკელებმა რეზერვები გახსნეს და, თუ კონგრესმა დაამტკიცა რეზერვებიდან ნავთობის მოპოვების უფლება, მაშინ მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი, რომლებიც რუსეთის წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს.** თუმცა ამის საპირწონედ დაიწყო რუსეთის ვექტორის გააქტიურება აღმოსავლეთით — **ბრიჩს-ისა და თშო-ს გაძლიერებით.**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცვლილებებს განიცდის **იაპონიაც.** ხდება იაპონიის კონსტიტუციის გადახედვა იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკია პაციფიზმსა და საომარი მოქმედებების შეზღუდვაზე. იაპონიის პრემიერმინისტრის — **შინზო აბეს** ამერიკაში ვიზიტის შემდეგ გადაიხედა მთელი რიგი ხელშეკრულებებისა.

აშშ-მა, ასევე, მიაღწია შეთანხმებას წყნარ ოკეანეში, ავსტრალიაში სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ. წყნარ ოკეანეში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, სამხედრო პოტენციალს აფართოებს ჩინეთიც.

მსოფლიო დიდი ცვლილებების წინაშე დგას. მთავარია, ამ კატაკლიზმებიდან საქართველო უმტკივნეულოდ გამოვიდეს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ფრთხილი პოლიტიკა გვჭირდება. ნატოზე რიტორიკა უნდა შესუსტდეს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში არის ფრთა, რომელიც კატეგორიულია, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სამხედრო ძლიერება, აუცილებელია, საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილება მიიღოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რეპლიკა

**თუ ვინმეს სჯერა, რომ მიშას ეს ნარჩენები – არასამთავრობოების სახით, თუნდაც მიშას გადასარჩენად უფულოდ ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამენ, ის ან სულელია, ან თავს ისულელებს. ვიდრე მათი მფარველები ხელისუფლებაში იყვნენ დაფინანსების (თეთრისაც და შავისაც) პრობლემა არ შექმნიათ, ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ დასავლელი პატრონების მეცადინეობით მათ არა მარტო დაუსჯელობის გარანტია მიიღეს, არამედ გარე დაფინანსების წყაროებიც შეემატათ და ხელისუფლებაში ჩატოვებული „ნაცების“ წყალობით ბიუჯეტიდანაც წოვენ ფულს.**

# დემოკრატია და სიცრუის კარუსელი




**საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ძლივძლივობით გაძევებული ფსევდოჟურნალისტი ეკა კვესიტაძე, როგორც მოსალოდნელი იყო, „რუსთავი 2“-ის პროპაგანდისტულ მანქანას შეუერთდა და ახლა უკვე „განსხვავებული აქცენტებით“ წამლავს საზოგადოებას. აქცენტები მართლაც განსხვავებულია, რადგან 2012 წლამდე „კვესო“ მხოლოდ პოზიტივს ხედავდა. იმხანად დემოკრატიაც იყო, მედიის თავისუფლებაც და ქვეყანაც შენდებოდა. ახლა ყველაფერი პირიქითაა.**

კვესიტაძეს „განსხვავებული“ არც ერთ გადაცემაში არ უთქვამს, ის მუდამ „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ გენერალურ ხაზს მიჰყვებოდა, ახლაც შემოთავაზებულ ტრენდში ზის და „პრორუსულ პროპაგანდაზე“ ქადაგებს. **„ანგარიშზე“, რომელიც ამ თემას ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიუძღვნა, წინა ნომერში უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ახლა ამ ფერხულში კვესიტაძეც ჩაება და მისი ავტორები გაატელევიზორა. ყველა დროის ყველა ტელეკომპანიაში ვერ იპოვით ისეთ მდარე და ჟურნალისტიკაზე პრეტენზიის მქონე გადაცემას, როგორსაც კვესიტაძე უძღვება,** თუმცა „რუსთავი 2“-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, საზმაუსგან განსხვავებით, პოლიტიკური დატვირთვის გადაცემის წამყვანს საღამოს დეკოლტირებული კაბით არ სვამს ეთერში.

მისტირის კვესიტაძე იმ დროს და არცაა გასაკვირი; გააზნაურებულ მდაბიოს რომ წოდებას ჩამოართმევ, ისე ჩამოართვეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ცარიელი თავის მოწონების შესაძლებლობა. სამაგიეროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი სახეებისა და თანამდებობის პირთა გაპიარების საშუალება ფართოდ მიეცა (თუმცა არც საზმაუ-ზე იკლებდა ამ სიამოვნებას). ამჯერად გადაცემაში ხურვალეთის, წითელუბნისა და ორჭოსანის მახლობლად „საზღვრის“ გადმოწევის გამო დაარისხა განგაშის ზარები. სასაცილო არის ის, რომ **ასეულობით კვადრატული კილომეტრის დამკარგავი სააკაშვილის აპოლოგეტები დღეს ახალ ხელისუფლებას მეტრებზე ედავებიან, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო არის ტყუილის ანატომია, ანუ პროპაგანდის დეფინიცია, რომელსაც ამავე გადაცემის ერთ-ერთი მონაწილე, კანცელარიასთან გამართული საპროტესტო აქციისას გაშიფრული კიდევ ერთი ლატენტური „ნაცი“ ნინო დანელია** ასე განმარტავს: **„პროპაგანდა არის მიზანმიმართული ტყუილი. ეს არის ინფორმაცია, რომელიც არაფერს აძლევს სინამდვილეში მაყურებელს, მაგრამ წვეთ-წვეთად უგდებს რუსეთის მიმართ პატივისცემას და სიყვარულს. პრორუსული პროპაგანდა ჩანს ანტიდასავლურ პროპაგანდაში“!**

აი, ამ პროპაგანდას მიეძღვნა კვესიტაძის მორიგი „შედევრი“. მივყვეთ მას და ნათლად დავინახავთ, სად არის ტყუილი და პროპაგანდა სინამდვილეში. დონეცკში დაბომბვისას დაღუპული 10 წლის გოგონას ისტორია, არც მეტი, არც ნაკლები, ტყუილი ყოფილა, რადგან „ბი-ბი-სის“ ქართველმა ჟურნალისტმა მას ვერ მიაკვლია. დიდი ძებნის შემდეგ იპოვა „ჟურნალისტები“, რომლებმაც ეს სიცრუე გაავრცელეს. „რუს ჟურნალისტებს“ სახეები დაფარული აქვთ, თან ამბობენ, რომ ტელეარხის ხელმძღვანელობამ დაავალა და ამიტომ გააშუქეს არარსებული დაბომბვა და დაღუპული ბავშვი. **საკითხავია: თუ ტელეარხი ცნობილია, ჟურნალისტების ვინაობა — ასევე ცნობილი, ვისგან ფარავენ მათ სახეებს? იმიტომ ხომ არა, რომ მთელი ეს სიუჟეტი დადგმულია? ო, არა! ეს ხომ „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტია! „ბი-ბი-სი“ ამას არ იკადრებდა! ტყუილის ანატომია სწორედ ასეთია: რუსი იკადრებს, ინგლისელი (ამერიკელი და ა.შ.) – არასოდეს!**

ტყუილის კიდევ ერთ მაგალითად კვესიტაძეს უკრაინის ყოფილი პრემიერმინისტრის — **აზაროვის გამოსვლა** მოჰყავს მიტინგზე. იგი ამბობს, რომ უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების შემთხვევაში იძულებული იქნება, დააკანონოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება. „კვესომ“ ამის პასუხად ეთერში მის მიერვე „ავტორიტეტად“ მიჩნეული მედასავლეთე ქალბატონი დაგვისვა, რომელმაც აგვიხსნა: „დასავლური თავისუფლების იდეა არის სწორედ ის, რომ შენ როგორი ცხოვრების წესიც გინდა, აირჩიო. თავს მოხვევა არის ზუსტად რუსული სტილი და რუსული პროპაგანდის ნაწილი. ისინი თავს გვახვევენ დამახინჯებულ ინფორმაციებს, დამახინჯებულ ღირებულებებს“.

**ბოდიში და, გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ქორწინებას რომ არქმევენ, იმათზე რატომ არაფერს ამბობთ?**

„ის, რომ აშშ და ევროკავშირი ერთსქესიანი ქორწინების, ასევე ინცესტისა და პედოფილიის დაკანონებას დაჟინებით ითხოვს, რუსული პროპაგანდის მიერ ფართოდ გავრცელებული ტყუილია“, — ამბობს „კვესო“. **როგორც ჩანს, „რუსული პროპაგანდის“ ვირუსი ისე შორს გავრცელდა, რომ თვით აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ათქმევინა, ჩვენი პრიორიტეტი მსოფლიოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დამკვიდრებააო! ეს ინფორმაცია სწორედ დასავლურმა მედიამ გაავრცელა, სხვათა შორის!**

კვესიტაძის ვერსიითა და მისი განსხვავებული აქცენტებით, „რუსულმა, იგივე ანტიდასავლურმა საინფორმაციო კამპანიამ ჩვენთან განსაკუთრებით 2013 წლიდან მოიკრიბა ძალა. თუ თვალს მივადევნებთ ამ კამპანიას, ცხადი გახდება, რომ იგი არაერთი მიმართულებით მუშაობს ეფექტიანად და მისი მასშტაბი თანდათან უფრო იზრდება“. მაგალითების მოყვანისას „კვესო“ იმასაც არ ერიდება, რომ პირდაპირ ეთერში აყალბებს ინფორმაციას. **კადრში ნათლად ჩანს ჩვენი საიტის ერთ-ერთი ინფორმაციის სათაური: „ევროკავშირი ინცესტის ლეგალიზაციის საკითხს განიხილავს“, კვესიტაძე კი ამ სათაურს ასე ახმოვანებს: „ევროპაში ინცესტი უკვე დაკანონდა“.**

ეს, საზოგადოდ, **მათი სტილია – ტყუილში დაგდონ ბრალი და იქვე ურცხვად იცრუონ.** პედოფილიის საკითხზე კვესიტაძემ თავი მოიკატუნა და საზოგადოებას ფლორიდის შტატში მასწავლებლის გასამართლება შეახსენა. სასამართლომ 22 წელი მიუსაჯა 30 წლის მასწავლებელს, რომელიც 16-17 წლის მოსწავლეებთან სექსუალური კავშირის დამყარებაში ამხილეს. **კვესიტაძე:** „პედოფილია ერთ-ერთი ყველაზე დასჯადი ქმედებაა აშშ-ში“. ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ „მსოფლიოს დირექტორ“ აშშ-ში ყველაზე რეპრესიული სადამსჯელო მანქანა მოქმედებს და სიკვდილით დასჯის ნაირ-ნაირი მეთოდებია დაკანონებული, რაც ხელს არ უშლის ამ სახელმწიფოს, მთელ მსოფლიოში ყველას ასწავლოს დემოკრატია. რაც შეეხება სასამართლოს, სწორედ უმაღლესმა სასამართლომ დააკანონა ამერიკის ყველა შტატში ერთნაირ სქესიანთა ქორწინება. როგორ „არ გვახვევენ“ ამას თავს, იმ ქრონიკითაც დასტურდება, თუ როგორ ნელ-ნელა, ეტაპობრივად მიდიოდა დასავლეთი ამის დაკანონებისკენ. 1979 წელს ნიდერლანდებმა მხოლოდ არარეგისტრირებული მსგავსი კავშირი დაუშვა, 1984 წელს კალიფორნიაში ერთნაირ სქესიანთა ოჯახებისთვის „საშინაო პარტნიორობა“ დაკანონდა. 1989 წელს დანიაში ამგვარი პარტნიორების რეგისტრაციის კანონი მიიღეს. 1992 წელს უკვე აშშ-ის კოლუმბიის ოლქმა დააკანონა „საშინაო პარტნიორობა“, 1993 წელს ნორვეგიამ გააკეთა იგივე, შემდეგ ავსტრალიამ, 1995 წელს – შვედეთმა, ხოლო 2000 წლიდან ამ პარადმა უკვე მთელი დასავლური სამყარო მოიცვა. ეს, როგორც ჩანს, არც „თავს მოხვევაა“ და არც „გავრცელება“!

**კვესიტაძე ტრადიციულ ანტიდასავლურ გამოცემებად მოიხსენიებს „ასავალ-დასავალს“, „ალიას“, „საქართველოს რესპუბლიკას“, „საქართველო და მსოფლიოს“. გადაცემაში საგანგებოდ მსჯელობენ ამ და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე. ვარაუდები „ფაქტებად“ საღდება, სასურველი — არსებულად, ტყუილი — სიმართლედ.** სამაგიეროდ, თუ „კვესოს“ ვენდობით, „საიტი დამოუკიდებლობა.ქომ (რომელიც ანტიდასავლურ და პრორუსულ ორგანიზაციებს ეძებს) სამოქალაქო ინიციატივის შედეგად შეიქმნა და მისი მიზანი რუსული ოკუპაციისა და რუსული პროპაგანდის შესახებ ინფორმაციის თავმოყრაა“. **კაცმა რომ თქვას, რა თავმოყრა უნდა მათი ბელადის მიერ განიავებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციას, აკი, სააკაშვილმა 150 დაკარგულ სოფელს ქვა და ღორღი უწოდა, ან სად გაექცევი „თავმოყრილ“ დევნილთა დასახლებებს, მაგრამ ფული ხომ უნდა იშოვონ საქართველოს უბედურებაზე და შოულობენ კიდეც!**

ორგანიზაცია, რომელიც მათ მიერვე „პრორუსულად“ შერაცხილ ორგანიზაციებს დაფინანსების წყაროს მიუთითებლობას ედავება, სრული სერიოზულობით გვარწმუნებს: „პროექტი www.damoukidebloba.com შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე „საინიციატივო ჯგუფის“ მიერ, რომელიც ჩამოაყალიბეს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ დამფუძნებლებმა — **გიორგი კლდიაშვილმა** და **ლევან ავალიშვილმა.** „საინიციატივო ჯგუფი“ არის არაფორმალური გაერთიანება და ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე სურს, აქტიურად ჩაერთოს რუსული სახელმწიფო პროპაგანდისა და „რბილი ძალის“ მიერ საქართველოში წარმოებული საქმიანობის მხილებაში. პროექტის მიზანია საზოგადოების ინფორმირება საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული თანამედროვე და ისტორიუ- ▶

**ეკა, ერთხელ მაინც გეკითხა, რატომ იხდიდა, მაგალითად, გიგი უგულავა მისი თანამეცხედრის თეძოების შერემონტებაში „გადასახადის გადამხდელთა ფულს“; მარიამ საჯაიას სამკაულებზე და მიშას მასაჟისტებზეც გეკითხა და მერე თანხებიც შეგედარებინა!**

# ვინც გამოგზარდათ, ასინეთასავით რომ არის მოყურადებული, იმის გასაგონად ვამბობ: ჩაგეყარათ წყალში მილიონები, რომელიც საქართველოში ხარჯეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში; რამდენიმე უფულო არასამთავრობომ და გაზეთმა „გადაგიჯოკრეს“ და, თუ დღეს დასავლეთის მიმართ განწყობა უარესდება, ისევ მაგ თქვენ გამოზრდილ ვირთხებს მოკითხეთ, თუ არა და, ისევ ჩააყარეთ მილიონები „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ და შედეგსაც კიდევ 20 წელი დაელოდეთ!

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებს, რათა მსოფლიოში ერთსქესიანთა ქორწინებები დაკანონდეს. «სასამართლოს გადაწყვეტილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნათელ სიგნალს აგზავნის. დისკრიმინაციაზე აგებულ ყველა კანონს სამართლიანობა დაამარცხებს. ჩვენ ამ მუშაობას სიამაყის გრძნობით გავაგრძელებთ იმ პროგრესის გამო, რომლის მიღწევა ჩვენს ქვეყანაში შევძელით. ამასთანავე, გვახსოვს იმ პრობლემების შესახებ, რომელთა გადაწყვეტა მომავალშია აუცილებელი», — ნათქვამია ჯონ კერის განცხადებაში, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზეა განთავსებული**

ლი ფაქტების შესახებ. საიტზე განთავსდება ინფორმაცია რუსული სახელმწიფო პროპაგანდის, ოკუპაციის, რეპრესიებისა და აგრესიის სხვა ღია თუ ირიბი ფორმების შესახებ.

ვებგვერდზე იქნება განხილული ამ აგრესიის გავლენა ქართულ საზოგადოებაზე“.

ახლა **თუ ვინმეს სჯერა, რომ მიშას ეს ნარჩენები – არასამთავრობოების სახით, თუნდაც მიშას გადასარჩენად უფულოდ ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამენ, ის ან სულელია, ან თავს ისულელებს. ვიდრე მათი მფარველები ხელისუფლებაში იყვნენ დაფინანსების (თეთრისაც და შავისაც) პრობლემა არ შექმნიათ, ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ დასავლელი პატრონების მეცადინეობით მათ არა მარტო დაუსჯელობის გარანტია მიიღეს, არამედ გარე დაფინანსების წყაროებიც შეემატათ და ხელისუფლებაში ჩატოვებული „ნაცების“ წყალობით ბიუჯეტიდანაც წოვენ ფულს.** მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ვინმე **გიორგი შარაბიძე** წლების განმავლობაში პერმანენტულად აგებინებს საგრანტო კონკურსს საკუთარ არასამთავრობო ორგანიზაციას და უკვე **200 ათასამდე ლარი მიითვისა.** ცესკოს მხრიდან ფინანსდებოდა **თამარ კინწურაშვილის** მიერ შექმნილი ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდი“, რომელმაც 2014 წელს მოიპოვა 101 ათას 165 ლარი, იმავე ორგანიზაციამ 2015 წლის საგრანტო კონკურსშიც „გაიმარჯვა“. **თეა თუთბერიძემაც** კი მიიღო რამდენიმე ათეული ათასი ლარის დაფინანსება სხვადასხვა ორგანიზაციის სახელით.

**ნატა ძველიშვილი** — „ანგარიშის“ ერთ-ერთი ავტორი: „ეს ორგანიზაციები დაფინანსებას არ უთითებენ, რითაც მივხვდით, ეს არის ბანერების გაცვლა, ერთმანეთის ღონისძიებებში მონაწილეობა. საიტებზე მითითებული აქვთ, რომ პუტინის იდეოლოგი დუგინი საჯაროდ უხდის მადლობას. ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც არის „საქინფორმის“ და „ჯევორლდის“ დამფუძნებელი, მედვედევმა ორდენით დააჯილდოვა. საჯარო განცხადებებით შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ არსებობს ფულადი გზავნილები ამ ორგანიზაციებზე“.

**როგორი ანგარიშია? რა ბაჯაღლო დასკვნებია? ყველაფერს თავი დავანებოთ, მაგრამ „პუტინის იდეოლოგი“ რომ დუგინი ყოფილა, ამის შესახებ დუგინს არ გააგებინოთ — თვითონაც არ დაიჯერებს!**

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც მიშას ნარჩენები რუსული პროპაგანდის იარაღად აფასებენ, თურმე ერთმანეთთან არის დაკავშირებული! **გაგეცინება, როცა ამაზე ერთმანეთთან ჭიპლარებით გადაჯაჭვული შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ცოლი, ყოფილი მინისტრები და მოადგილეები ყოფილი გენერალური პროკურორის მიერ მართული „დამოუკიდებელი“ ტელეკომპანიიდან გელაპარაკებიან!** მათი განცხადებით, ამ არასამთავრობოების მოღვაწეობა მედიაპარტნიორების მხარდაჭერის გარეშე ნაკლებად ეფექტიანი იქნებოდა. ბევრი იკვლიეს და დაასკვნეს, რომ „ობიექტივის“, „საქინფორმის“ „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით ხდება მათი ანტიდასავლური გამონათქვამების ტირაჟირება.

მედიის განვითარების ფონდის **ანგარიშის თანახმად, „ობიექტივის“ წამყვანები და სტუმრები ეთერს ანტიდასავლური განწყობების, სიძულვილის ენის, ქსენოფობიის და ჰომოფობიის გასავრცელებლად იყენებენ. „ისინი ცდილობენ, საზოგადოებაში ეჭვი დათესონ და დასავლეთის მიმართ უნდობლობა გააღვივონ“.**

**ბოდიში და, გამოხატვის თავისუფლება აღარ არსებობს? აკი თამარ ჩერგოლეიშვილი სწორედ ამაზე დარდობს:** „ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას გამოხატვის თავისუფლება... ცხადია, ვიჩივლებთ როგორც გამოხატვის შეზღუდვის, ისე ლექსოს უკანონო პატიმრობის გამო“. ლექსო მაგათიანია, „ტაბულას“ პროდიუსერი. მისი და საზოგადოდ, მაგათი გამოხატვის უფლება დასაცავია, სხვისი — არა!

მათთან იდეოლოგიურად ახლოს მდგომი და ამას წინათ „გარესპუბლიკელებული“ **თამარ კორძაია** გვასწავლის: **„გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს „არა მხოლოდ, ისეთი „ინფორმაციისა“ და „იდეების” გავრცელების უფლებას, რომლებიც კეთილგანწყობილად მიიღება ან განიხილება, როგორც უვნებელი ან როგორც ინდიფერენტიზმის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხმყოფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს“.**

გამოხატვის თავისუფლების ეს უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეული ევროპის სასამართლოს განმარტება შეგვიძლია წავიკითხოთ საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება. საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ **აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით!**

**ვისი, ქალბატონო დეპუტატო, ვისი გამოხატვის უფლებაა დაცული აბსოლუტური პრივილეგიით? მარტო თვითგამოცხადებული ლიბერალების თუ სხვისაც, ვისაც თქვენ მტრად ნათლავთ?**

ზემოთ ნახსენები თამარ კინწურაშვილი თავის ექვსნიშნათანხიან დაფინანსებას (გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან) ასე ამართლებს: „ჩვენ ვიკვლევდით ქსენოფობიურ გამონათქვამებს და აღმოვაჩინეთ, რომ ანტიდასავლური პროპაგანდა განუყოფელია ქსენოფობიისა და ჰომოფობიისგან. გამოიკვეთა ორი ჯგუფი: ნაციონალისტური და ღიად პრორუსული და მათი გამონათქვამები ერთი-ერთზე ჰგავს ერთმანეთს. „მცდარი დილემის“ ტექნოლოგია არის პროპაგანდის ერთ-ერთი კომპონენტი. „მე კი მინდა ნატოში გაწევრიანება, მაგრამ, თუ ეს დამაკარგვინებს ტერიტორიებს, მაშინ ისევ რუსეთთან ყოფნა მირჩევნია. და ამ გზავნილებს ჩვენ ვხვდებით არა მარტო პრორუსული ძალების მესიჯებში, არამედ იმავე მმართველი გუნდის წარმომადგენლებისგან“.

**აბა, გამოხატვის თავისუფლებაო?**

და ისე, უბრალოდ, ინტერესისთვის: მართლა რად გვინდა ნატო, თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ? ამაზე პასუხი გაქვთ და არ გვეუბნებით?

**კვესიტაძე „დანაშაულებრივ სქემას“ შიფრავს:** „რუსული პროპაგანდა ოთხი ძირითადი საშუალებით ვრცელდება. პირველი არის მედია, რომელიც აუდიტორიას მკვეთრად ანტიდასავლური გზავნილებით კვებავს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ტყუილსა და გამოგონილ ფაქტებს ეფუძნება; მეორე — არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ღიად თუ ფარულად ეწევიან პრორუსული იდეების ტირაჟირებას. ამისათვის კი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: ატარებენ კონფერენციებს, სემინარებს, ხსნიან რუსული ენის შემსწავლელ კურსებს, ქართველი ჟურნალისტებისთვის აწყობენ პრესტურებს რუსეთის დედაქალაქში. ორგანიზებას უწევენ ანტიდასავლურ აქციებს; მესამე — სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ღიად ქადაგებენ ანტიდასავლურ იდეებს და ცდილობენ, მრევლი დაარწმუნონ, რომ ყველაფერი ცუდი დასავლეთიდან მოდის; და მეოთხე – პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები. მაგალითად, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ და მისი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც სულ ახლახან კვლავ იმყოფებოდა ვიზიტით მოსკოვში“.

არა, როგორი ინტელექტუალური პროდუქტია? **ახლა შეცვალეთ აქ სიტყვა „რუსული“ სიტყვით „ამერიკული“, სიტყვა „ანტიდასავლური“ — „პროდასავლურით“ და მიიღებთ იმას, რასაც ეს „უფლებადამცველები“ და „მედიამკვლევარები“ სჩადიოდნენ 20 წლის განმავლობაში საქართველოში!**

მაშ ასე: **„დასავლური პროპაგანდა ოთხი ძირითადი საშუალებით ვრცელდება. პირველი არის მედია, რომელიც აუდიტორიას მკვეთრად პროდასავლური გზავნილებით კვებავს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ტყუილსა და გამოგონილ ფაქტებს ეფუძნება; მეორე — არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ღიად თუ ფარულად ეწევიან დასავლური იდეების ტირაჟირებას. ამისათვის კი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: ატარებენ კონფერენციებს, სემინარებს, ხსნიან ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს, ქართველი ჟურნალისტებისთვის აწყობენ პრესტურებს დასავლეთში. ორგანიზებას უწევენ პროდასავლურ აქციებს; მესამე — სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ღიად ქადაგებენ პროდასავლურ იდეებს და ცდილობენ, მრევლი დაარწმუნონ, რომ ყველაფერი ცუდი მართლმადიდებლობიდან მოდის; და მეოთხე — პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, რომლებიც რეგულარულად სტუმრობენ აშშ-სა და ევროკავშირს“.**

ასე არ არის? **ასე არ იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში? ჩემი შენ გითხარიო, არა?**

თავისუფალი სიტყვის ეს „დამცველები“ ხელისუფლებას ბრალს სდებენ „პრორუსული“ მედიის დაფინანსებაში. ახლა მოემზადეთ და **შეადარეთ ეს ციფრები მათ დაფინანსებას:** კვესიტაძე წარბშეუხრელად აცხადებს: 2013-2014 წლებში „ობიექტივს“ ბიუჯეტიდან მიუღია 52 ათას 167 ლარი, „საქართველოს რესპუბლიკას“ — 63 ათას 923 ლარი, „ალიასა“ და „კვირის ქრონიკას“ — 48 ათას 650 ლარი, „ასავალ-დასავალს“ — 1200 ლარი, „ეტალონმედიას“ — 68 ათას 616 ლარი.

სირცხვილია ეს, მაგრამ **კვესიტაძეს ამაზე გაცილებით მეტის არ შერცხვენია და 1200 ლარით „წახალისება“ რაღა ბედენაა?! ჩვენს საწყალ გაზეთს არც ეს ათასორასი ლარი მიუღია, მაგრამ კვესიტაძე მაინც მრისხანედ სვამს კითხვას: „რატომ აფინანსებს გადასახადის გადამხდელთა ფულით ხელისუფლება მედიაორგანიზაციებს, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ“?**

**ეკა, ერთხელ მაინც გეკითხა, რატომ იხდიდა, მაგალითად, გიგი უგულავა მისი თანამეცხედრის თეძოების შერემონტებაში „გადასახადის გადამხდელთა ფულს“; მარიამ საჯაიას სამკაულებზე და მიშას მასაჟისტებზეც გეკითხა და მერე თანხებიც შეგედარებინა!**

თუმცა ფუჭია ეს შეკითხვები, მათზე პასუხი კვესიტაძეს არა აქვს. სამაგიეროდ, „პროფესიონალიზმი“ ისე ახრჩობს, რომ პრორუსულობაში ყოფილი პრემიერის ბრალს ასე შიფრავს: მან ევრაზიულ კავშირზე თქვა, რომ ვაკვირდებით და, თუ ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება, ვიფიქრებთო! სომხეთში ვიზიტისას ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამების კრიტიკას კვესიტაძემ უაპელაციოდ დააყოლა: „დღეს სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია“! **ძალად ჟურნალისტი, რომელიც ევრაზიულ კავშირს ვერ არჩევს საბაჟო კავშირისგან, მედიისა და არასამთავრობო სექტორის ჭკუის დამრიგებლად რომ ეყოლება, მართლაც ხელიდან არის წასული „ნაცმოძრაობის“ საქმე!**

**გადაცემის ბოლოს კვესიტაძეს მოუწია იმის აღიარება, რომ ეს ორგანიზაციები კანონს არ არღვევენ და მათი დახურვა არ შეუძლიათ, სამაგიეროდ მათ ისღა დარჩენიათ, „მამხილებლის“ ფუნქცია შეითავსონ და ამაში გრანტები კიდევ დაითრიონ:** „ის, რაც ჩვენ დამოუკიდებლად შეგვიძლია, არის იმ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოაშკარავება, რომლებიც პატრიოტიზმსა და მართლმადიდებლობას ამოფარებულნი, მიზანმიმართულად ავრცელებენ ოკუპანტი სახელმწიფოს სიცრუეზე დაფუძნებულ იდეოლოგიას. რასაკვირველია, დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ ორგანიზაციებს არსებობის უფლება აქვთ, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, თუ ვინ არიან ისინი და ვის ინტერესებს ემსახურებიან“.

აწი **თქვენ რას გაარკვევთ და ვის ამხელთ, თქვენი სატკივარია, მაგრამ თვითონ თქვენ უკვე გაშიფრული ხართ და საქართველოში უკვე პატარა ბავშვმაც კი იცის, ვინ ხართ და ვის ინტერესებს ემსახურებით! ისე გრანტის სიდიდეს გააჩნია, თორემ ხვალ ოფიციალურმა სოხუმმა რომ გადმოგიგდოთ რამდენიმე მილიონი, მათ დამოუკიდებლობასაც სცნობთ და ყველაფერზე ხელსაც აწევთ. მაშინ არც რუსული პროპაგანდა შეგაწუხებთ და არც ფულის წყარო! — ასე ხართ გამოზრდილები და ახლა ვინც გამოგზარდათ, ასინეთასავით რომ არის მოყურადებული, იმის გასაგონად ვამბობ: ჩაგეყარათ წყალში მილიონები, რომელიც საქართველოში ხარჯეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში; რამდენიმე უფულო არასამთავრობომ და გაზეთმა „გადაგიჯოკრეს“ და, თუ დღეს დასავლეთის მიმართ განწყობა უარესდება, ისევ მაგ თქვენ გამოზრდილ ვირთხებს მოკითხეთ, თუ არა და, ისევ ჩააყარეთ მილიონები „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ და შედეგსაც კიდევ 20 წელი დაელოდეთ!**

**თამარ დავითულიანი**

**ბაჩუკ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თეთრმა სახლმა ოფიციალურად განაცხადა — „პირობას ვდებთ, რომ მალე ერთნაირსქესიანთა ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაკანონდება!“-ო. და რადგან მე და კიდევ არაერთ ჩემს კოლეგასა თუ თანამოქალაქეს ამერიკელთა ეს ამპარტავნული, „მსოფლიოს მპყრობელური“ განცხადება არ მოგვეწონა და გავაკრიტიკეთ, ესე იგი რუსეთზე ვგიჟდებით?**

**დღევანდელ საქართველოში ტყუილს მოკლე ფეხი, მაგრამ გრძელი ეთერი აქვს, განსაკუთრებით იმ ტყუილს, რომელიც ე.წ. ქვეყნის ანტიდასავლური კურსის მიმდევართა მძლავრ პროპაგანდას შეეხება და რომელიც უკვე ისე აშფოთებთ უცხოურ დაფინანსებაზე შემჯდარ ე.წ. არასამთავრობოებსა თუ მედიას, რომ ამ თითიდან გამოწოვილ თემას უკვე სპეციალურ გადაცემებსაც კი უძღვნიან.**

# ევროტყუილი! — მოკლე ფეხითა და გრძელი ეთერით




**თუკი საქართველოში რუსული პროპაგანდა ყვავის, რაში გამოიხატება ის? ვინ და სად დაწერა, თქვა ან მოუწოდა ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისკენ? ამ უსაფუძვლო პანიკის ამწევებმა, თუკი მათი რეალური მიზანი აი, იმ 40 მილიონის ათვისება არ არის, მიგვითითონ კონკრეტული ფაქტები**

ეს შეშფოთება იქამდეც კი მივიდა, რომ „ნაციონალების“ ყველაზე ბინძური დაკვეთების შემსრულებელმა „ჟურნალისტმა“ ეკა კვესიტაძემაც კი თავისი მანიაკურ-პროპაგანდისტული გადაცემა, რომელსაც, წესით, „განსხვავებული აქცენეტები“ კი არა, „მიშას და ვანოს აქცენტები უნდა ერქვას“, სწორედ ამ თემას მიუძღვნა.

პრინციპში, თემა ჩემთვის, რა თქმა უნდა, ახალი სულაც არ არის და, რადგან მსგავსი სისულელეებისთვის ადრეც არაერთხელ გამიცია პასუხი, ახლა ყურადღებას არც კი მივაქცევდი, რომ არა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ე.წ. მესიჯი, რომელიც კვესიტაძის გადაცემით მიეწოდა საქართველოს მოსახლეობას.

**„რა არის პრორუსული პროპაგანდა? — რა და, ყველაფერი ის, რაც ანტიდასავლურია!“ — აი, ასეთი სიბრძნე გადმოიფრქვა „რუსთავი 2“-ის ეთერიდან და, როგორც ჩანს, ეს ფრაზა ისე მოეწონათ „ჟურნალისტ“ კვესიტაძესა და მის პატრონებს, რომ ანონსში დღეში ოცჯერ ატრიალეს გადაცემის გასვლამდე ერთ კვირის განმავლობაში.**

**აი, ეს სასწაულად სულელური ფორმულა არის სწორედ იმის გამოძახილი, რაც ამ გადაცემამდე პირადად მე და ჩემმა მართლა საღად მოაზროვნე კოლეგებმა დავწერეთ და ვუპასუხეთ ასეთ ვითომ „რუსულ პროპაგანდასთან მებრძოლ“, სინამდვილეში კი მსხვილი გრანტების მომლოდინე ე.წ. არასამთავროებსა და ე.წ. ჟურნალისტებს.**

გავიხსენოთ მოკლედ:

**ეტაპი I** — ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მომძლავრებული რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ გამოყოფს 40 მილიონ დოლარს.

**ეტაპი II** — არ გასულა ერთი კვირაც კი და ირაკლი ალასანიამ განაცხადა, საქართველოში რუსული პროპაგანდა „გლეჯს“ ყველაფერს და აუცილებელია მის წინააღმდეგ გაცხოველებული ბრძოლაო.

**ეტაპი III** — ათეულობით ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ტეხს „განგაშს“, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდის ბუმია! ეს მაშინ, როდესაც ასეთი რამ მხოლოდ ორ-სამ გაზეთს შეიძლება დაბრალდეს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი ძალიან შარზე იქნება.

**ეტაპი IV** — ე.წ. არასამთავრობოებს მხარს უბამს ე.წ. მედია. აქ ყველაზე სასაცილო არის ის, რომ მედიასაშუალებების 99 პროცენტი უბამს მხარს ამ განგაშს, თითქოს საქართველოში „რუსული პროპაგანდა“ ყვავის, ანუ გამოდის, რომ ეს „აყვავებული რუსული პროპაგანდისტული მედია“ მხოლოდ დარჩენილი 1 პროცენტია! და როგორ აყენებს „გამანადგურებელ დარტყმებს“ ეს 1 პროცენტი, ანუ მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ორიოდე ბეჭდური გამოცემა იმ 99 პროცენტ გაფუფუნებულ, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ, მილიონიანი ღირებულების პროექტების მწარმოებელ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ ათეულობით ტელევიზიას, ეს მსოფლიოს მერვე საოცრებაა!

სწორედ ამ ეტაპების გავლისა და გაანალიზების შემდეგ მეც და ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ დავსვით უმარტივესი ლოგიკური შეკითხვა:

**— თუკი საქართველოში რუსული პროპაგანდა ყვავის, რაში გამოიხატება ის? ვინ და სად დაწერა, თქვა ან მოუწოდა ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისკენ? ამ უსაფუძვლო პანიკის ამწევებმა, თუკი მათ რეალური მიზანი იმ 40 მილიონის ათვისება არ არის, მიგვითითონ კონკრეტული ფაქტები!**

როგორც ჩანს, ამ მათთვის გამანადგურებელი, მარტივი და ლოგიკური შეკითხვის უსუსური „პასუხი“ იყო კვესიტაძის გადაცემა და სწორედ ამიტომ შეიქნა საჭირო ეს, პირდაპირ ვიტყვი, დებილური განმარტება, რომ თურმე ყველაფერი ის, რაც დასავლეთის კრიტიკას შეიცავს, „პრორუსული“ პროპაგანდაა!

ანუ, **თუკი ჩვენ რამე არ მოგვეწონა დასავლეთისა — რომელიმე მოქმედება ან ნათქვამი, ან კანონი, ან თუნდაც რეკომენდაცია და გავაკრიტიკეთ, გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამ კონკრეტულ რაღაცაში დასავლეთს არ ვეთანხმებით, მორჩა! უკვე „პრორუსები“, „პუტინისტები“, „ოკუპანტის მეხოტბეები“ გამოვდივართ!**

საინტერესოა! ეს „დასავლური დემოკრატიის სტანდარტების“ მოტრფიალე ხალხი ასე უხეშად, შანტაჟისა და ცილისწამების ფორმით გვიკრძალავს ხმის ამოღებას, სიტყვის თქმას, საკუთარი მოსაზრების გამოხატვას!

აკი, „მედასავლეთეთა“ ძირითადი არგუმენტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სწორედ ის არის, რომ საბჭოთა კავშირი „აკრძალვებზე“ იყო დაფუძნებული, ხოლო ადამიანის გონება ვერ იტანს „აკრძალვებს“! მაშ, თვითონ რატომღა ითხოვენ ასე ძალუმად „ანტიდასავლური“ თვალსაზრისის აკრძალვას? სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც სხვა არაერთი თემისა და პრობლემის განხილვისას, ისევ და ისევ მათთვის ასე დამახასიათებელ „სავიზიტო ბარათთან“ — ორმაგ სტანდარტთან გვაქვს საქმე: **თუ სხვა კრძალავს, ეს საშინელებაა, ხოლო, თუკი თვითონ კრძალავენ, მაშინ ეს მისაღებია და აუცილებელიც კი!**

ამიტომ სავსებით ლეგიტიმურია შეკითხვა — **ეს ადამიანები რეალურად „რუსულ პროპაგანდას“ ხედავენ სადმე და მის წინააღმდეგ ბრძოლა სურთ თუ, უბრალოდ, იმისთვის იბრძვიან, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „ნაწყალობევი“ 40 მილიონი დოლარიდან რაც შეიძლება, მეტი შეხვდეთ?**

აკი, ბუნებრივია, რომ, **რაც უფრო აპოკალიფსურ სურათს დახატავენ საქართველოში „რუსული პროპაგანდისტული ვეშაპის“ არსებობის შესახებ, მის წინააღმდეგ საბრძოლველადაც მეტი ფულის მოთხოვნის საბაბი ექნებათ!**

და ამ „ვეშაპის“ ხატვის სურვილი ისე დიდია, რომ ნამეტანი მონდომებისაგან ზოგჯერ ისეთ ტუტუცურ რამეს წამოისვრიან, შეიძლება, სიცილით გულიც კი შეგიწუხდეს.

ამის მაგალითად მათგან ერთ-ერთი ქართული ბეჭდური გამოცემის იმაში დადანაშაულებაც კმარა, რომ მას თურმე რუსული პროპაგანდის საწარმოებლად 1 200 (დიახ, დიახ! ათას ორასი) დოლარი გადაურიცხეს.

დამეთანხმებით, ასეთი „ასტრონომიული“ თანხებით დაფინანსებული ბეჭდური გამოცემების წინააღმდეგ ბრძოლა ერთობ რთული საქმეა! მით უფრო, წელიწადში „სულ რაღაც“ რამდენიმე ასეული მილიონის დამხარჯავი ტელევიზიისთვის.

**წეღან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ვახსენე და, კვესიტაძის „გადაცემა-შედევრის“ კიდევ ერთი სიდებილე იყო ის, რომ „პრორუსულ“ გამოცემებს სწორედ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის „სახელის გატეხაში“ დასდო ბრალი.**

კერძოდ, კვესიტაძისა და მისი არანაკლებ სულელი რესპონდენტების განცხადებით, თურმე „ქართული პრორუსული გამოცემები“ აშშ-ის მთავრობას ცილს სწამებენ, თითქოს ისინი სრულიად მსოფლიოში ლობირებენ „ერთსქესიანთა ქორწინებას“...

არადა, **თეთრმა სახლმა ოფიციალურად განაცხადა — „პირობას ვდებთ, რომ მალე ერთნაირსქესიანთა ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაკანონდება!“-ო.**

**და რადგან მე და კიდევ არაერთ ჩემს კოლეგასა თუ თანამოქალაქეს ამერიკელთა ეს ამპარტავნული, „მსოფლიოს მპყრობელური“ განცხადება არ მოგვეწონა და გავაკრიტიკეთ, ესე იგი რუსეთზე ვგიჟდებით?!**

**მაშინ იქნებ კვესიტაძემ ან მისმა რომელიმე რესპონდენტმა, რომელიც 40 მილიონიდან მსუყე ნაჭერს ელოდება, დაასახელოს, სად და როდის გავამართლეთ კრემლის რომელიმე ანალოგიური განცხადება? და თუ დავუდებ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ კონკრეტულ მასალებს, რომლებშიც მკაცრად ვაკრიტიკებ კრემლის წარმომადგენელთა მსგავს განცხადებებს, გამოდის, რომ პროდასავლელი და პროამერიკელი ვარ?!**

აკი, ლოგიკა იგივეა — თუკი ამერიკისა და დასავლეთის კრიტიკოსი უპირობოდ პრორუსია, მაშინ რუსეთის კრიტიკოსი ხომ ავტომატურად პროდასავლელი და პროამერიკელი უნდა იყოს?

აი, ასე გამოვდივარ მე ერთდროულად პრორუსიცა და პროდასავლელიც!

აი, ასე ხეთქს ქვას კვესიტაძისა და მისნაირთა შესაშური ლოგიკა!

ისე, მართლა საინტერესოა, **ეს ადამიანები რეალურად ფიქრობენ, რომ, თუკი ტყუილს ბევრ საეთერო დროს დაუთმობენ, ამ ტყუილს მაყურებელი ასე მარტივად „შეჭამს“?**

მაგალითად, უკვე კარგა ხანია, ქართულ ტელეარხებზე გადის **ევროკავშირის რეკლამები.**

ამ რეკლამების სიუჟეტები აწყობილია სხვადასხვა კონკრეტული ქვეყნის მაგალითებზე, ანუ იმაზე, როგორი ჩამორჩენილი და უბედური იყო ესა თუ ის ქვეყანა და როგორი განვითარებული და ბედნიერი შეიქნა მას შემდეგ, რაც ევროკავშირში შევიდა...

სიმართლე ითქვას, **ცოტა უხერხულიც კია ამ ტიპის რეკლამების გაშვება საბერძნეთში მიმდინარე „ევრომოვლენების“ ფონზე და, პრინციპში, სათქმელიც აღარაფერია, მაგრამ მაინც გამაოცა ასეთმა ტექსტმა:**

**„რუმინეთი საბჭოთა პერიოდში ჩამორჩენილი, ეკონომიკურად გაჩანაგებული ქვეყანა იყო... ევროკავშირში შესვლის შემდეგ კი რუმინეთის ეკონომიკა შეუქცევად ზრდას განიცდის...“**

სიმართლე გითხრათ, ზუსტად ვერ გეტყვით, ამჟამად რას განიცდის რუმინეთი და მისი ეკონომიკა, მაგრამ ეს პირდაპირი ტყუილი, რომ თურმე რუმინეთი საბჭოთა პერიოდში ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მართლა ვის რაში სჭირდება, ძალიან გაუგებარია.

სინამდვილეში, **რიგითი საბჭოთა მოქალაქეები რიგში იდგნენ, რათა ორგანიზაციებიდან რუმინული წარმოების ავეჯი თუ სხვა საყოფაცხოვრებო საგნები გამოეტანათ თავიანთი ბინებისთვის. რუმინული პროდუქცია ერთ-ერთი მოწინავე იყო ე.წ. სოციალისტურ ბანაკში და ეს ქვეყანა წარმატებულ ინდუსტრიულ ქვეყნად ითვლებოდა.**

მაგრამ — არა, უნდა შევჩერდეთ! სიმართლე არ უნდა ვთქვათ, რადგან იმწამს „რუსეთუმეებად“ გაგვასაღებენ კრებითი „კვესიტაძეები“!

უნდა დავეთანხმოთ, რომ რუმინეთი იყო ჩამორჩენილი, ჩასვრილი, გაპარტახებული ქვეყანა და რუმინელებს სული სძვრებოდათ შიმშილით!

ერთი ეგ არის, **ვერ გამიგია, რისთვის სჭირდება აყვავებულ და ზე დემოკრატიულ ევროპას ჩვენნაირი ქვეყნების მისაზიდად ასეთი მოკლეფეხიანი, მაგრამ გრძელეთერიანი ტყუილები?**

კითხვა, მგონი, რიტორიკულია...

## სირცხვილი არ არის, როდესაც შენს ტერიტორიაზე არსებული აეროპორტი თურქეთის შიგა მიმოსვლის აეროპორტად არის რეგისტრირებული საერთაშორისო ავიადისპეტჩერებთან?

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### გელა ხუციშვილი:

# ევროპულ ცივილიზაციას მართლმადიდებელი საქართველოსთვის კარი არასდროს გაუღია

**უკვე რამდენიმე დღეა, საზოგადოების ყურადღება ხურვალეთსა და ორჭოსანში მიმდინარე პროცესებისკენ არის მიპყრობილი. ხელისუფლება ცდილობს, ვითარება გაანეიტრალოს და ამ მიზნით ყურადღებას არ აქცევს „ნაციონალების“ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა თუ საპროტესტო აქციებს.**
**მაგრამ სპეციალისტებს აინტერესებთ, როგორ აპირებს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი რუსეთის იძულებას, საქართველოს საზღვრები საბჭოთა კავშირისდროინდელ საზღვრებში დააბრუნოს.**
**შეგახსენებთ, თავდაცვის მინისტრის განცხადებას: „მინდა, დაგარწმუნოთ, რომ საქართველო ამ 20 მეტრს ან 2 კილომეტრს კი არა, იმ 20%-ს დაიბრუნებს და რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსფარანტების თუ ტრაფარეტების, რომლებსაც დგამენ ჩვენს მიწაზე, უკან, ოფიციალური, საბჭოთა კავშირისდროინდელი საზღვრისკენ გადაწევა“.**
**საინტერესოა, რომელი პერიოდისა და წლების სამართალმემკვიდრეა საქართველო?! რა ხდება რეალურად სოფელ ხურვალეთთან და რა ვითარებაა ქვეყნის საზღვრებზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სასაზღვრო საკითხების ექსპერტი გელა ხუციშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო გელა, თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ რუსეთი თვითონვე დააბრუნებს საქართველოს იმ საზღვრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო. რომელი პერიოდის სამართალმემკვიდრეა დღეს საქართველო თავის საზღვრებით? რომელ საზღვრებზე საუბრობდა თავდაცვის მინისტრი?**

— თინათინის განცხადება ცოტა ხნით განზე გადავდოთ...

დიდი ხანია, ჩვენს სახელმწიფოს ვერდიქტი გამოტანილი აქვს. იმ პერიოდისთვის, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 198 სახელმწიფოს ითვლიდა, დღეს კი 250-ზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტენდენციაა პატარა სახელმწიფოების შექმნა. საქართველოს ამისთვის ყველა წინაპირობა ჰქონდა...

პროცესები, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს, სპონტანური და გაუთვლელი არ არის. ეს ცივილიზაციების ომია. **ევროპულ ცივილიზაციას კი საქართველოსთვის, მართლმადიდებელი საქართველოსთვის კარი არასდროს გაუღია. ევროპული ცივილიზაციის მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ რუსეთმა მართლმადიდებლობის რწმუნების სიგელი მიიღო, და ამ ცივილიზაციის ნაწილი ჩვენც ვართ.** ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი, აღარ არის დრო, როდესაც ერთს ამბობ და სხვას აკეთებ.

**საქართველო არც ერთი პარამეტრით სახელმწიფო არ არის. დღეს ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა ეკონომიკური ექსპანსია დაგვისრულა, მან ყველა სტრატეგიული საკვანძო მიმართულება დაიკავა, თანაც წარმატებით თანამშრომლობს რუსეთთან კასპიის ეკონომიკურ სივრცეში.**

მეორე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა **სომხეთი.** შეიქმნა ეკონომიკური რეგიონი, რომელსაც „ევრორეგიონარმენია“ ეწოდება. **ამ პროექტის ფარგლებში, რომელშიც მარნეული, გარდაბანი, ნინოწმინდა, დმანისი აქტიურად არის ჩაბმული, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, აღორძინდეს საწარმოები. ეკონომიკური ექსპანსია იწყება საქართველოს სამხრეთ მიმართულებაზე. ამ რეგიონს რა მდგომარეობაში აგდებს თურქეთი, კარგად მოგეხსენებათ.**

**საქართველო არავის აინტერესებს, ჩვენ ერთი ფუნქცია გვაქვს — ყველას სურს, რომ პლაცდარმად ვიქცეთ.** სტრატეგიული თვალსაზრისით კი, პლაცდარმი ან უნდა გაამაგრო, ან გაანადგურო. ყველა შემთხვევაში წამგებიან მდგომარეობაში ვართ.

რა სპექტაკლები იდგმება ხურვალეთში?! **დალოცვილებო, ასორმოცი სოფელი საქართველოს საზღვრის მიღმა რომ აღმოჩნდა, პირწმინდად გამოთავისუფლდა მოსახლეობისაგან, მაშინ რატომ არავინ ამოიღო ხმა? აღარც ცხინვალში და აღარც აფხაზეთში მხარდამჭერები აღარ გვყავს, რუსეთს კი მოსახლეობის ორი მესამედი მხარს უჭერს.**

ყველა დაკარგული ტერიტორია ხვალ რომ დაგვიბრუნონ, ადამიანური რესურსი აღარ გვეყოფა, ხელახლა რომ ავითვისოთ. მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

**საქართველოს ტერიტორია ხომ მისი მიწის ცალკეული მონაკვეთისგან შედგება? ეს მიწები განუსაზღვრელი ვადით უცხოელის ხელში რომ გადადის, ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვას არ ნიშნავს? ასეთი ქმედება ღალატის ტოლფასია. ვინც მიწის პრივატიზებას უჭერს მხარს, მოღალატეა. მიწის გამყიდველი ამ ტერიტორიაზე დამარხვის ღირსი არ არის, ის 4 კვადრატულიც არ ეკუთვნის, რომელზეც უნდა დამარხონ.**

დადგა დრო, ყველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება — შევინარჩუნოთ ის, რაც დაგვრჩა და აღვადგინოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, თუნდაც 1991 წლის დროინდელი.

გაიძახიან — ოკუპაცია, ოკუპანტიო და რა ვიცი, კიდევ რას. საზღვარი ჩვენსა და რუსეთს შორის იქ არ გადის, სადაც ახლა ხელს ადებენ. ბანერის გადაწევა გადმოწევას რა აზრი აქვს?!

აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონებს ძალიან მოწყვლადი ვითარება ჰქონდათ. აფხაზეთს ჰქონდა კოდორის ხეობა, რომელსაც ვერ აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ადმინისტრაციულ სივრცეში იყო; ასეთივე იყო ოსეთისთვის ახალგორი, ამ მიზეზით მათ არ შეეძლოთ, დაეყენებინათ თვითგამორკვევის საკითხი, ვინაიდან მოსაწესრიგებელი ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. ჯადოსნურმა ხელმა აფხაზეთსა და ოსეთს ეს ყველაფერი „გაუპრავა“ და საშუალება მისცა, ვენის კონვენციის თანახმად, საქართველოს გამიჯვნოდნენ.

**43 უღელტეხილიდან 25-ს რუსეთი აკონტროლებს. როგორ დავთმეთ მამისონის უღელტეხილი, რას მოეწერა ხელი, რა შეთანხმებები დაიდო 2008 წელს, ვინ განსაზღვრა საოკუპაციო ზონები, არავინ დაინტერესებულა. არადა, ამის გამკეთებლებმა ერის, ხალხისა და მომავლის წინაშე პასუხი უნდა აგონ.** არ უნდა ჰქონდეთ ლაპარაკის უფლება იმ ადამიანებს, რომლებიც კურდღელებივით სოროებში შეძვრნენ და მოსახლეობა ბედის ანაბარა მიატოვეს.

დღეს ხურვალეთში კარვების დადგმა და დროშების ფრიალი უშველის ადგილობრივ მოსახლეობას, ხვალ რომ მათ წინააღმდეგ ვიღაცამ აგრესიული მოქმედებები დაიწყოს? იმ ხალხს ვინმე პასუხს გასცემს? **რა დააშავა ხურვალეთის მოსახლეობამ, რატომ ეწირება ვიღაცის უპასუხისმგებლო პოლიტიკას? ვფიქრობ, საქმე სხვა რაღაცაშია: უბრალოდ, ხურვალეთის ნაყოფიერი მიწების გასხვისება გადაწყვიტეს და ბანერის ამბავიც ამიტომ მოიგონეს. მსოფლიო შიმშილობს, ჩვენ კი სამოთხეში ვართ. ამ სამოთხეში ყოფნას დიდხანს არავინ გვაცლის.**

გადავრჩებით, თუ სასწრაფოდ შევწყვეტთ მიწის პრივატიზაციას და შევქმნით სამუშაო ადგილებს, ავამუშავებთ საწარმოებს, დავიცავთ ეკლესიას.

**— ამბობთ, რომ ჩვენი გადარჩენის გზა არსებობს. იქნებ თინა ხიდაშელმაც იცის ეს გზა და ამიტომაც განაცხადა, წართმეულ ტერიტორიებს რუსეთი თავის ხელით დაუბრუნებს საქართველოსო?**

— შესაძლებელია, იცის, მაგრამ არ ვენდობი რესპუბლიკელებს, მათი მსოფლმხედველობა ვიცი. ჩემი და მათი თვალსაზრისი ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელისუფლება კოაბიტაციამ დაასაჭურისა.

დავუბრუნდები თინა ხიდაშელის ნათქვამს, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელ საზღვრებში დავბრუნდებით.

იცის თინამ, ვინ ვართ — პირველი რესპუბლიკის თუ საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრეები? 1937 წლის კონსტიტუციით საქართველო რომელი ტერიტორიითაც შევიდა საბჭოთა კავშირში, ზუსტად იმ ტერიტორიით გამოვიდა 1991 წელს. გამოდის, რომ ყველანაირი სუვერენული უფლება დაცული იყო.

საქართველოს საზღვრების შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს საქართველოს სახელმწიფოს სადემარკაციო-სადელიმიტაციო კომისიის მიერ.

**— არსებობს ასეთი კომისია?**

— ეს კომისია გვქონდა და, თუ დღეს აღარ არსებობს, დავქცეულვართ. მაგრამ ერთი კია, როგორ უნდა იმუშაოს ამ კომისიამ, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს ქვეყანასთან, რომელთანაც 700-კილომეტრიანი საზღვარი გვაკავშირებს?! აბაშიძე-კარასინი და ჟენევის ფორმატი ამ საკითხებს ვერ მოაგვარებს. ჩვენ რა, სახლობანას ვთამაშობთ?! ჩვენ პრობლემა სახელმწიფოსთან გვაქვს. **ქვეყნის ყველა სტრატეგიული ობიექტი სხვა სახელმწიფოს ხელშია და, თუ მასთან სალაპარაკოდ არ მიდიხარ, ეს საეჭვოს ხდის ბევრ რამეს.**

ან რომელ სახელმწიფო საზღვრებზეა საუბარი? ჩვენ არ ვიცით, ქვეყნის შეგნით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა როგორ ხდება. ვერ გაიგებ, რომელი სოფლის რომელი ტერიტორია ვის ეკუთვნის. ვიღაცას სურს, ეს სოფელი იქ არ იყოს, სადაც მდებარეობს. 30-40 ჰექტარი მიწის ფართობი უპრობლემოდ გადადის სხვა სოფლის ტერიტორიაზე. საჯარო რეესტრში ნახაზი უცბად იცვლება ამა თუ იმ თანამდებობის პირის ინტერესების გათვალისწინებით.

**— რა საშინელი სურათი დახატეთ... გამოსავალს ხედავთ?**

— კი, ძალიან ძლიერი, არაორდინარული, სამშობლოს მოყვარული ადამიანი უნდა გამოჩნდეს, მუშტი დაჰკრას და ყველაფერი აღკვეთოს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატრიარქის წინაშე ხატზე უნდა დაიფიცონ და პირობა მოგვცენ, რომ სიცოცხლეს შესწირავენ ქვეყნის ინტერესებს. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. რას მიქვია მილიონერები! ვინ არიან ამ პატარა ქვეყანაში მილიონერები და საიდან მოვიდნენ? ფული ქვეყნის დაზარალებით იშოვეს. საფლავში არავის არაფერი წაუღია და ვერც ესენი წაიღებენ, შესაძლოა, ქართული მიწა არც ეღირსოთ.

ვუყურებ ბარამიძეებს, ბარნოვებს, მინაშვილებს და ვგიჟდები მათ ტაკიმასხარაობაზე. ამას ბოლო ხომ უნდა მოეღოს?! ისინი ხომ ხელისუფლებას უტევენ? ხელისუფლება კი უსუსურია. ყველას თავისი ინტერესი აქვს, ყველას რაღაც აქვს ამოსაქექი.

**— ბანერი გადმოწიეს, რეაქცია ვიღაცას ხომ უნდა ჰქონოდა?**

— რა ბანერი გადმოწიეს, ვინ გადმოწია? **ჩვენს ქვეყანაში ბანერების მეტი რა დგას. წავიდნენ შატილში, ნახონ, სად გადის საზღვარი. დიკლოსთან ნახონ, 400 ჰექტარი მიწა სად არის; ავიდნენ დარიალის ხეობაში და ნახონ, რა ხდება. ყველგან იგნორირებულია ჩვენი ინტერესები. სირცხვილი არ არის, როდესაც შენს ტერიტორიაზე არსებული აეროპორტი თურქეთის შიგა მიმოსვლის აეროპორტად არის რეგისტრირებული საერთაშორისო ავიადისპეტჩერებთან?**

ხელისუფლებას მართვის სადავეები გაექცა, აღარაფრის გაკეთება აღარ შეუძლია. რეალური ხელისუფალნი დღეს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები არიან, რაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ თავიდანვე გათვალისწინებული და დაგეგმილი იყო. 2008 წელს დაიგეგმა, რომ „ნაციონალებს“ რესპუბლიკელები ჩაანაცვლებდნენ. წინა ხელისუფლებას ყველაფერი უნდა დაენგრია და გაენადგურებინა და შემდეგ ე.წ. ინტელექტუალურ ძალას გაეპრავებინა, ეს ძალა კი რესპუბლიკელები არიან.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მსოფლიო

## ჟურნალმა „თაიმმა“ აღიარა, რომ აშშ „ისლამურ სახელმწიფოს“ ეხმარება

**ინტერნეტგამოცემა New Eastern Qutlook-ის მიმომხილველი ტონი კარტალუჩი წერს, რომ ჟურნალმა „თაიმმა“ ახლახან გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში აღიარა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს სპონსორობას აშშ უწევს.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ ათეულობით დოლარის ღირებულების იარაღით, ამუნიციითა და აღჭურვილობით სავსე ქარავნები რეგულარულად კვეთენ თურქეთ-სირიის საზღვარს და ამით ისლამისტებს პრაქტიკულად ამოუწურავ რესურსს უქმნიან რეგიონში ომის საწარმოებლად.

ტონი კარტალუჩი წერს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ გარეშე ვაშინგტონს გაუჭირდებოდა რეგიონზე გავლენის მოპოვება და იძულებული იქნებოდა, თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ დაპირისპირება საერთაშორისო ნორმების ჩარჩოებში მოექცია. სწორედ ამიტომ აშშ ყოველდღე უგზავნის იარაღსა და აღჭურვილობას ამ ტერორისტულ ორგანიზაციას. ამ არხების გადაკეტვის გარეშე კი არც ერთ ახლო აღმოსავლურ სახელმწიფოს არ ძალუძს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ გამკლავება.



ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არტისტული ბღავილის დოდოსტატი ბარნოვი, მოგეხსენებათ, ამავე რეგიონის ყოფილი გუბერნატორია. ერთი წამით წარმოიდგინეთ: მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ბანერები გადმოჰქონდა, არამედ რეალური ხოცვა-ჟლეტა მოჰქონდა მტერს ამ ტერიტორიებზე, აი, იმ ხელისუფლების პირობებში რომელიმე ყოფილი გუბერნატორი, თუნდაც ლევან მამალაძე, ასე რომ მივარდნოდა რომელიმე პოლიციელს და ასეთი ხმითა და ასე დამამცირებლად ებღავლა, რა დაემართებოდა მას?**

# სელფ-პატრიოტიზმი, და ბანერული ყვარყვარიზმი

**გეთანხმებით, ერთობ გაურკვეველი სათაურია, თუკი მშვიდად, გონების თვალით არ შეხედავთ საქართველოში შექმნილ ვითარებას და იმავე პროპაგანდისტული პატრიოტიზმის ტყვეობაში ჩარჩებით, რომელსაც დღეს გვთავაზობს ორივე დაპირისპირებული პოლიტიკური ერთეული საქართველოში.**



დიახ! ჩვენი ქვეყანა დღეს სწორედ პროპაგანდისტული პატრიოტიზმის ასპარეზად არის ქცეული და ნამდვილი პატრიოტების, ანუ ქვეყნისთვის რეალურად სასიკეთო ან, თუნდაც, მინიმალურად საზარალო გადაწყვეტილებების მიმღები ადამიანები განუკითხავად ინათლებიან სამშობლოს მოღალატეებად.

კატასტროფული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა გასულ კვირაში ბანერებით ატეხილმა „ომმა" საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე — კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის მიმდებარე სოფლებში.

**სხვადასხვა პოლიტიკური ძალის, ამ ძალთა ქვემდებარე „არასამთავრობო ორგანიზაციებისა" და კიდევ მათი ქვემდებარე მედიასაშუალებების წარმომადგენლები ისეთი გავეშებით ეტაკნენ ე.წ. სასაზღვრო ბანერებს, გეგონებათ, ბანერებთან ჯიკაობით მართლა კეთდებოდეს რამე.**

შთაბეჭდილებაც ისეთია, **თითქოს ვინც უფრო გულმოდგინედ წაშლის ამ ბანერებზე დაწერილ „რესპუბლიკა ირისტონს", უფრო მაგარი „დავით აღმაშენებელი" იქნება, ხოლო მერე ვინც უფრო მკვეთრი ფერებით დააწერს ბანერზე „პატრიოტი ვარ", — უფრო მაგარი დემეტრე თავდადებული.**

რეალურად, ამ ხალხის წივილ-კივილს არაფერი მოაქვს სასიკეთო და, თუკი საზარალოს არაფერს მოუტანენ მთლიანად ქვეყანას და განსაკუთრებით, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, მადლობელი უნდა დავრჩეთ.

ზუსტად ვიცი — ჩემთვის წამგებიანი პოზიციიდან ვსაუბრობ. გაცილებით უფრო ეფექტიანია წარბების შეკვრა, — „ნახეთ, რა პატრიოტი ვარ!" — გამომეტყველების მიღება და ტლიკინი: „ჩვენ არ უნდა შევეგუოთ ოკუპაციას!" ან „ჩვენ აქტიურად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს!", ან „ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, არ დავუხაროთ თავი!", „მე არ მსურს დაჩოქილ საქართველოში ცხოვრება!"...

რა გამოლევს შთამბეჭდავ „პატრიოტულ" ლოზუნგებს!

ერთი ეგ არის, რომ შედეგი არავის აინტერესებს.

არადა, მართლა ვერ ვხვდები, **რატომ არის რთული, ჩაჯდე კომფორტულად მანქანაში, მიხვიდე ბანერის „დარჭობის" ადგილზე, ეჯიკაო იმ ბანერს, იყვირო, იბღავლო და შემდეგ ასევე მშვიდობიანად დაბრუნდე შინ?!**

მაპატიეთ და, მართლა შევიშალეთ ქართველები. დავიჯერო, ასეთ „მატრაკვეციზმს" საქართველოს მოსახლეობის მართლა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს პატრიოტულ საქციელად?

მაშინ პირდაპირ ვიტყვი: უმცირესობაში ვარ და მიმაჩნია, რომ **ბანერებთან „საომრად" გავარდნილი ადამიანები იქ საკუთარი თავის რეკლამირებისთვის უფრო აღმოჩნდნენ, ვიდრე სამშობლოს სიყვარულით!**

ე.წ. სასაზღვრო **ბანერებთან მასობრივად გადაღებულმა „ფეისბუქ-სელფებმა" კი გენიალური ქართველი დრამატურგის — პოლიკარპე კაკაბაძის უკვდავი გმირი ყვარყვარე თუთაბერი და მასთან „დიდების მოსაპოვებლად" მისული „სტრატეგი" ტიტე ნატუტარი გამახსენა.**

აბა, მკითხველო, კიდევ ერთხელ გადახედე ბოლო კვირის „სელფ-პატრიოტიზმის" ამსახველ ფოტოებს და შემდეგ გაიხსენე, როგორი რიხით „ამარცხებენ" მტერს და როგორი მონდომებით უბარტყუნებენ მინავლული ბუხრის ნაცარში თუთაბერი და ნატუტარი ჯოხებს და ერთმანეთს შესძახიან: **„შენც გიყვარს ბუხრის წინ სამშობლოზე ჩაფიქრება, ნაცრის ქექვა და ბღდვირის ადენა?!"**

აი, პირდაპირ ვიტყვი, რომ ნებისმიერ იმ „სელფ-ფოტოს" მოუხდებოდა ეს წარწერა!

წინასწარ ვიცი, ზოგიერთის შესაძლო კომენტარიც ამ სტატიაზე:

„მანდ ჯდომას და კლავიატურაზე კაკუნს, სჯობდა, წასულიყავი და ოკუპანტის მიმართ პროტესტი გამოგეხატა!"

კი, წავალ!

ოღონდ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს და განსაკუთრებით იქ მცხოვრებ ადგილობრიოვ მოსახლეობას ჩემი მატრაკვეცული „ვაჟკაცობით" ზარალს არ მოვუტან!

წავალ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ მაქვს იმის თავი, იმ დარჭობილ ბანერს რომ ამოვაძრობ მიწიდან, იქვე კი არ დავაგდებ ან მომდევნო „მარიაჟობისთვის" თბილისში კი არ ჩამოვიტან, არამედ ავიღებ და პირდაპირ როკის გვირაბთან გადავიტან!

აი, მაშინ ნამდვილად წავალ, ნამდვილად ვერავინ დამასწრებს წასვლას...

მანამდე კი მაინტერესებს და **ვეკითხები ამ უპასუხისმგებლო და უტვინო ადამიანების ბანდას:**

**რომ გაიძახით, „დაჩოქილ საქართველოში ცხოვრება არ მინდა"-ო, ამიხსენით, რას უწოდებთ თქვენ „დაუჩოქებელ საქართველოს". იმ საქართველოს ხომ არა, რომლის მთავარსარდალმა 3 დღეში ოფიციალურად შეწყვიტა სამხედრო წინააღმდეგობა და ყველა სამხედრო შენაერთს დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნება უბრძანა, მიუხედავად იმისა, რა დღეში იყო იმ დროს მშვიდობიანი მოსახლეობა იმ ტერიტორიებისა, რომლებზეც, მისივე ავანტიურის წყალობით, მტერს ომის განახლების საშუალება მიეცა?**

გიმეორებთ: მაშინ, **როდესაც ქართული სამხედრო შენაერთების ადგილებზე დაბრუნების, ყოველგვარი წინააღმდეგობის შეწყვეტისა და დანებების ბრძანება გაიცა, მტერს „ბანერები" კი არ გადმოჰქონდა რამდენიმე ასეული მეტრით, არამედ ცოცხალი ძალით იკავებდა ათეულობით კილომეტრ ტერიტორიას! სახლ-კარს უწვავდა ადამიანებს; არბევდა, კლავდა, სპობდა და ამცირებდა კონკრეტულ ადამიანებს!**

მინდა, მივმართო ე.წ. ჟურნალისტების იმ ნაწილს, რომელთა ინიციატივითაც იქ მოქალაქეთა ჯგუფი მივარდა და ბანერებს ჯიკაობა დაუწყო: **აი, მაგ ბანერებს უკან ტანკები, ტყვია და ცეცხლი რომ მოჰყვეს, გავარდებით ისევ ხურვალეთში, დიცში და კიდევ სხვა სოფლებში და გაუწევთ წინააღმდეგობას რეალურ მტერს თუ მხოლოდ ბანერებთან ჯიკაობა შეგიძლიათ?**

პირდაპირ ვკითხოთ ბიბლიოთეკარ **ბარნოვს, — მაშინ რატომ არ მივარდა იქ და რატომ არ ბღაოდა მთელი ხმით: „სად არის სპეცრაზმი?",** აკი, იმ დროს ხსენებული ტერიტორიებიდან არა მხოლოდ სპეცრაზმი, არამედ ყველა სამხედრო თუ პოლიციური დანაყოფიც მოიხსნა და სრულიად დაუცველი მშვიდობიანი მოსახლეობა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საჯიჯგნად დაუტოვა თავისივე უგუნური ქმედებებით გაგულისებულ მტერს!

არტისტული ბღავილის დოდოსტატი ბარნოვი, მოგეხსენებათ, ამავე რეგიონის ყოფილი გუბერნატორია. ერთი წამით წარმოიდგინეთ: მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ბანერები გადმოჰქონდა, არამედ რეალური ხოცვა-ჟლეტა მოჰქონდა მტერს ამ ტერიტორიებზე, აი, იმ ხელისუფლების პირობებში რომელიმე ყოფილი გუბერნატორი, თუნდაც ლევან მამალაძე, ასე რომ მივარდნოდა რომელიმე პოლიციელს და ასეთი ხმითა და ასე დამამცირებლად ებღავლა, რა დაემართებოდა მას?

რა თქმა უნდა, ნებისმიერს ძალაუნებურად გაახსენდება „ნაციონალებთან" სამარცხვინოდ დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საგანი — **ცოცხი...**

და **ეს სამარცხვინო ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს უტიფარი ადამიანები, ნაცვლად იმისა, რომ სირცხვილით სოროებში ჩაძვრნენ, კიდევ ბედავენ ღრიალს, თანაც იმ თემაზე და იმ ტერიტორიაზე, რომლის დაკარგვასა და გაპარტახებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით!**

სხვათა შორის, ანდროს მოგვარე მწერალს — **ვასილ ბარნოვს** აქვს ერთი მოთხრობა სათაურით „ნამეტნავისაგან გულისა", რომელშიც ძალიან შეყვარებული ბიჭი ეზოში მოფუსფუსე გოგოს, სხვას ვერაფერს რომ ვერ მოიფიქრებს, დაუყვირებს: „შეგიჭამე ცოცხი!".

დიდი მწერალი ამ პატარა ნოველას იუმორის ტონით წერს. **მისი გვარის შემარცხვენელ ანდროს საქციელს კი იუმორთან ვერაფრით დავაკავშირებთ, თუმცა მართლაც მწარე ირონიით შეგვიძლია ვუთხრათ ამ „ნამეტნავისაგან გულისა" მოყვირალ ტუტუცს — „შეგიჭამე ცოცხი!"...**

არადა, მხოლოდ ანდროს პრობლემა რომ იყოს, კიდევ არაფერი!

ფაქტია, „ნაციონალების" მონების, ჟურნალისტებად წოდებული სამარცხვინო და უპასუხისმგებლო ადამიანების პოპულისტურ მოწოდებას იოლად წამოეგო არაერთი ჩვენი კოლეგა. დავუშვათ, — ზოგი გულწრფელად, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ მათი უმეტესობა „სელფ-პატრიოტიზმის" მიმდევარი არ იყოს!

„უმოქმედობას არ შევეგუებით", — გაჰკივიან ეს უტვინო და უნამუსო ადამიანები!

კარგი და, აი თქვენნაირი ტუტუცების „მოქმედებამ" რა შედეგი მოუტანა ჩვენს ქვეყანას?

რა თქმა უნდა, უმოქმედოდ არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ქვეყნის საზიანო და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზარალის მომტან „მოქმედებას" იქნებ უმოქმედობაც კი სჯობდეს — ამაზე დაფირებულა ვინმე?

აჰ, თუმცა, როგორ არა! დაფიქრებულა!

ისევ და ისევ „ნაციონალების" წარმომადგენელი! „პატრიოტიზმი" ხომ მათი „პრივატული სივრცეა" და ვინ პატრიოტია და ვინ მოღალატე, ამასაც ხომ ისინი განსაზღვრავენ, ერთპიროვნულად და უშურველად არიგებენ იარლიყებს!

ა, ბატონო, პარლამენტარი **გოგა ხაჩიძე: „ააა, ომი არ გინდათ? არ გამოდის აბა, ისე!"**

გოგა-ბატონო, „ისე არ გამოდისო" რომ გაიძახი, „ასე", ანუ ომით გამოვიდა რამე თავის დროზე?

ააა, ომი გინდა?

გასაგებია, რაშიც არის საქმე! **სწორედ „ნაცებს" აძლევთ ახლა ხელს ომი ყველაზე მეტად. ზუსტად ისევე, როგორც 2008-ში, მართლაც გაფარჩაკებულებს ომზე რომ გადაეტანათ ყველას ყურადღება.**

არ დამიწყოთ ახლა დემაგოგია, თთქოს ვამბობდე, ომი საქართველომ დაიწყოო!

არა! **ომი კავკასიაში რუსეთმა დაიწყო 300 წლის წინათ! მაგრამ 2008 წლის კონკრეტული სამხედრო ეპიზოდი სწორედ „ნაციონალების" უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგია, რამაც ოკუპანტს მისთვის სასარგებლოდ და სასურველად მოქმედების შანსი გაუჩინა!**

დღესაც, **უკვე საბოლოოდ მიფარჩაკებულ „ნაციონალურ მოძრაობას" მხოლოდ ომი და სამხედრო კონფლიქტის კერა თუ გადაარჩენს, რადგან სხვა შემთხვევაში ისინი ჩაფიქრებულ სამხედრო ავანტიურას ვერ განახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში!**

ხოლო რას დაკარგავს ქვეყანა, რამდენი სამხედრო პირი და რამდენი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპება, მათ არც არასოდეს აღელვებდათ და არც ახლა აღელვებთ!

მახსოვს, ანსამბლი „ივერია", საბჭოთა პერიოდში ერთ სახუმარო სიმღერას მღეროდა: **„ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ ხინკალი!".**

აი, ცხელი და ნამდვილი ომის დამქაშები როგორ სასჯელს იმსახურებენ, ამას, ალბათ, ადრე თუ გვიან, გადაწყვეტს და განახორციელებს კიდეც ქართველი ხალხი!

ეს მაშინ მოხდება, როდესაც საზოგადოება მეტად „გაიზრდება" და პროვოკატორი და უპასუხისმგებლო ნაც-არასამთავრობოებისა და ნაც-მედიის ავანტიურისტულ მოწოდებებს ასე იოლად და ბრმად აღარ აჰყვება ე.წ. გულწრფელი საზოგადოება და მედიის „გულწრფელი" ნაწილი!

მანამდე კი, **როგორც ვხედავთ, „ბანერული ტიტენატუტარიზმი" ყვავის საქართველოში და ყვარყვარე ბარნოვისა და ყვარყვარე ხაჩიძის მსგავს „ლიდერებს" ნატუტარ-სტრატეგოსთა გარემოცვა არ აკლია...**

და აქვე გენიოსი პოლიკარპე კაკაბაძის კიდევ ერთი გენიალური პიესის მთავარი ლაიტმოტივი და კითხვა მინდა გავიმეორო: **როდემდე უნდა გვეგონოს კახაბერი ყველა ის ნაცარქექია, რომელიც ბუხარში მინავლულ ნაცარში შემთხვევით კახაბერის ხმალს იპოვის?**

**ბაკურ სვანიძე**

„დღეს ევროპა უღმერთოდ ცხოვრობს და ევროპელების არჩევანი არის უღმერთობა; დასავლეთი თავს გვახვევს არაქრისტიანული ცხოვრების წესს და ამის დაშვება არ შეიძლება, თორემ ქართველი ერი დაიღუპება. ჩვენ ვდგავართ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე და ქართველმა ხალხმა ამ გზას არ უნდა გადაუხვიოს“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა არჩილი (ქიტუაშვილი):

# ანტიდასავლური განწყობა იმიტომ იზრდება, რომ დღეს დასავლეთი სიბილწესთან ასოცირდება

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დაბა კაზრეთის წმინდა სამების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი არჩილი (ქიტუაშვილი).**

**— მამაო არჩილ, ბოლო ხანს ქართველ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობა მძლავრობს და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეს ერთობ აშფოთებს. ხშირად კეთდება განცხადებები, რომ სახელმწიფომ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას, მოსახლეობას სწორი ინფორმაცია რომ ჰქონდეს დასავლურ კულტურაზე, ღირებულებებზე. რა არის დღეს რეალურად დასავლური ფასეულობები, დასავლური დემოკრატია? რა იდეოლოგია დგას ამ ყველაფრის უკან?**

— მოდი, ასე ვთქვათ, ანტიდასავლური განწყობა იმიტომ იზრდება, რომ დღეს დასავლეთი ასოცირდება სიბილწესთან. ამ ყველაფერს თვითონ შეუწყვეს ხელი და, ბუნებრივია, მსოფლიოს რიგი ქვეყნებისა არ იღებს იმ გარყვნილებას, რომელიც იქიდან მოდის. ქართველი კაცი თავისი იდეოლოგიითა და ფასეულობებით ქრისტიანია, ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის კი აღვირახსნილობა მიუღებელია. ეტყობა, ამას ვერ ითვალისწინებს ის ხალხი, რომელსაც ვერ გაუგია, რატომაა მოსახლეობაში ასეთი უარყოფითი განწყობა ე.წ. დასავლური „ნეოლიბერალური“ იდეოლოგიისადმი. როგორც ჩანს, მათთვის სრულიად უცხო და გაუგებარია ქართული ეროვნული სულისკვეთება, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს არ ესმით ან ესმით, მაგრამ ერთობ დამახინჯებულად, ეროვნული ცნობიერებისა და იდენტობის მნიშვნელობა...

**— ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ დასავლეთი არც ჩვენ და არც სხვა რომელიმე პარტნიორ სახელმწიფოს არაფერს აძალებს, ანუ საქართველოსგან არავინ ითხოვს ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების გაზრდას, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და ა.შ. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— განცხადებები გასაგებია, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ვხედავთ აბსოლუტურად საპირისპირო სურათს. **გვაძალებენ კიდეც და პირდაპირ გვეუბნებიან: ან შეასრულებთ ყველაფერს, რასაც ჩვენ გეუბნებით, ან ევროკავშირს და ნატოს დაემშვიდობეთო.**

ჯერ ერთი, ვინ გვილებს ან ევროკავშირში, ან ნატოში, მაგრამ ფაქტია: დირექტივები დირექტივებს მოსდევს... ზუსტად **ასე იყო ძველათაც, როცა დიდ სახელმწიფოებს საქართველოს დაპყრობა სურდათ. იმხანად ჩვენს მეფეებს ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ ქრისტიანობის უარყოფას და მტრის სარწმუნოებაზე გადასვლას სთხოვდნენ. ფაქტობრივად, დღესაც იგივეა...**

**— რამდენიმე წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი და საზოგადოებას წარმოდგენაც არ ჰქონდა, მალე რა ნაბიჯების გადადგმას დაიწყებდა კოალიცია ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად, „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან, იგი ზედმიწევნით პროგნოზირებდა დღეს მიმდინარე პროცესებს. ამ ინტერვიუში რესპონდენტი ხაზგასმით აცხადებდა, რომ მალე საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზეც დაიწყებენ საუბარსო. როგორ ფიქრობთ, რეალურია ეს ყველაფერი?**

— საღად მოაზროვნე ადამიანები, რასაკვირველია, იმთავითვე მიხვდნენ, რა უბედურება მზადდებოდა, და ხალხს აფრთხილებდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა არც ეკლესიის აზრი და არც საზოგადოების. იმ საშინელი კანონის მიღებით, ფაქტობრივად, პირველი ნაბიჯი გადაიდგა. რაც შეეხება ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ამაზე, ალბათ, უკვე მუშაობენ გარკვეული ჯგუფები და დარწმუნებული ვარ, ახლო მიმავალში ეს საკითხი წინა პლანზე წამოიწევს. თავდაპირველად, ალბათ, რამე მიმანიშნებელი განცხადებები გაკეთდება, ძალას მოსინჯავენ და მერე დაიწყება პროცესი... ასე მოხდა თავის დროზე დასავლეთის ქვეყნებშიც. მაგალითად, **საფრანგეთში ჯერ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, შემდეგ ე.წ. სექსუალურ უმცირესობას კიდევ გაუზარდეს უფლებები, მერე აღლუმების ჩატარება დაიწყეს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ ერთნაირსქესიან წყვილებს შვილის აყვანის უფლებაც მისცეს...**

**— თუმცა არის ერთი მომენტი: თვით ამერიკაშიც და საფრანგეთშიც კი, სადაც „ნეოლიბერალური დემოკრატია“ ზენიტშია, ათეული წლები დასჭირდა პროპაგანდას, რომ საზოგადოებაში ნიადაგი შეემზადებინა იმ საკანონმდებლო ცვლილებებისთვის. როგორ ფიქრობთ, საქართველოში რა დრო დასჭირდება, ანალოგიურმა პროპაგანდამ შედეგი რომ გამოიღოს?**

— ნათქვამია, წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო. ვფიქრობ, მათ საქართველოში გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდებათ, იმიტომ, რომ უკვე აქვთ გამოცდილება. პრინციპში, ჩვენთან უკვე მიმდინარეობს ეს პროცესი და თუნდაც ის, რომ ჩვენ ორი ახლა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, ამის დასტურია. მაგრამ მინდა, მჯეროდეს, რომ ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს უზნეობის დაკანონებას და ხელისუფლების ჯანსაღი ნაწილიც წინ აღუდგება ამ პროცესს.

**— ხშირად გვესმის, რომ ევროკავშირი და ევროატლანტიკური სტრუქტურები საქართველოს ისტორიული არჩევანია. სწორია ეს პოზიცია? და, როგორ ფიქრობთ, რა გვაკავშირებს ჩვენ ისტორიულად ევროპასთან?**

— ერთადერთი, რაც ჩემთვის ისტორიულ არჩევანში შეიძლება იგულისხმებოდეს, ქრისტიანობაა. ვის რა კრიტერიუმით ჰგონია რომელიმე ქვეყანა ან ქვეყანათა გაერთიანება ისტორიული არჩევანი, გაუგებარია. რაც შეეხება ევროპას, თუ ის აირჩევს ჭეშმარიტ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მაშინ ცხადია, მასთან მეგობრობის საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, **მაგრამ დღეს ევროპა უღმერთოდ ცხოვრობს და ევროპელების არჩევანი არის უღმერთობა; დასავლეთი თავს გვახვევს არაქრისტიანულ ცხოვრების წესს და ამის დაშვება არ შეიძლება, თორემ ქართველი ერი დაიღუპება. ჩვენ ვდგავართ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე და ქართველმა ხალხმა ამ გზას არ უნდა გადაუხვიოს.** სხვანაირად ამ ქვეყანას მომავალი არ ექნება, რადგან უღმერთოდ დარჩენილი საქართველო ვერც ერთ განსაცდელს ვერ გაუძლებს...

**— ფაქტია, რომ საინფორმაციო სივრცე და პროპაგანდის საშუალებები თითქმის მთლიანად დასავლური ძალების ხელშია, მათ აქვთ ყველანაირი ბერკეტი, რათა საზოგადოებრივი აზრი მართონ. ამ პირობებში რა ძალა შეიძლება მათი საპირწონე გახდეს, რა იდეოლოგია შეიძლება ამ ყველაფერს დაუპირისპირდეს?**

— ძალა არის ისევ და ისევ საზოგადოება. ხალხი ძალიან კარგად ხედავს, ვინ არის მეგობარი და ვინ — დამპყრობელი.

დასავლეთს რაც შეეხება: თუ მათ პარტნიორობა და მეგობრობა უნდათ, კარგად უნდა ხვდებოდნენ, რომ მათი რიტორიკა ამ კონტექსტში ვერ ჯდება. თუ ადამიანმა დაგიმონა, ის უკვე მეგობარი არ არის, შენ მისი მონა ხდები და მონა კი ყოველთვის იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად...

**— რას გულისხმობთ მონობაში?**

— კიდევ ვიმეორებ, **ჩვენ დღეს პირდაპირ გვეუბნებიან: ის კი არ არის სწორი, თქვენ რასაც ფიქრობთ, ჩვენ რომ ვფიქრობთ, ის და თქვენც ასე უნდა იაზროვნოთო. ზუსტად ამის საწინააღმდეგო განწყობა იზრდება საქართველოში და, ვიღაც-ვიღაცები რომ ამბობენ, ანტიდასავლურ განწყობას მიზანმიმართულად აღვივებენო, მათ ვეტყოდი, რომ მიზეზები საკუთარ თავში ეძებონ, ნაკლები ილაპარაკონ, ნაკლები დაგვაძალონ და ნაკლები იქნება ანტიევროპული განწყობაც.**

**— ამ საუბრის შემდეგ დასავლეთიდან დაფინანსებულმა ნეოლიბერალურმა ძალებმა თქვენ წინააღმდეგ შეიძლება შავი კამპანია დაიწყონ და რუსეთის აგენტობა დაგწამონ. მსგავსი რამ უკვე არაერთი სასულიერო პირის წინააღმდეგ დაიწყეს. რას უპასუხებთ მათ?**

— მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენ არ ვართ არც პრორუსულები, არც პროდასავლურები და არც სხვა რომელიმე პოლიტიკური პოლუსის აპოლოგეტები, ჩვენ ვართ პროქრისტიანული... **თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ დღეს ამერიკის ან ევროპის ცხოვრების წესი არის ქრისტიანული, ბოდიშს მოვიხდი და ვიტყვი, რომ ჩემი პოზიცია მცდარია, მაგრამ სინამდვილეში ხომ ყველამ ვიცით, ეს რა ძალებია...**

ნეოლიბერალებს კი ვეტყოდი, რომ მათი **პროპაგანდა, ვინც დასავლეთისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი, თითქოს ყველა პრორუსია, აღარ მუშაობს.** პირიქით — ამ პროპაგანდით ისინი თვითლუსტრირებას ახდენენ და კიდევ უფრო აღრმავებენ ანტიდასავლურ განწყობებს იმიტომ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე ისედაც იცის, რა არის რეალურად დასავლური ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია.

**— წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ეკლესიაზე სერიოზულად ზემოქმედებდნენ, რომ სასულიერო პირებს ღიად არ გამოეხატათ თავიანთი პოზიცია ევროინტეგრაციაზე. თქვენი აზით, რა გავლენა მოახდინა ამ ყველაფერმა სამღვდელოებაზე?**

— ეკლესია ყოველთვის იდგა და მომავალშიც იდგება ხალხის გვერდით, სამღვდელოება ყოველთვის იტყვის სიმართლეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვიღაცას შეიძლება არ მოეწონოს. კიდევ ვიმეორებ: ვერანაირი პროპაგანდითა და შავი პიარით ვერ გაგვაჩუმებენ და ნებისმიერი მცდელობა, რომ აგენტის იარლიყი მოგვაკერონ, არ გამოუვათ. მანამდე არაფერი ეტკინოთ, პირში წყალი ჩავიგუბო და ხმის ამოღების შემეშინდეს, როცა ვხედავ, რა უბედურებას გვიმზადებენ... **ამას ეკლესია არ დაუშვებს, საქართველო არასოდეს მიიღებს იმ ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელსაც დასავლეთი გვახვევს თავს...**

**— საქართველო მეტისმეტად მცირერიცხოვანი ქვეყანა ხომ არ არის იმისთვის, რომ ამ იდეოლოგიას მარტო დაუპირისპირდეს?**

— საქართველო მარტო არასდროს ყოფილა მტრის პირისპირ. ყოველთვის, როცა განსაცდელი დგებოდა და გამოსავალს ვეძებდით, ჩვენ გვერდით ღმერთი იყო. ასეა დღესაც, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, რა საფრთხეები გვემუქრება. **თუ ღმერთს ავირჩევთ, მერწმუნეთ, ყველა განსაცდელიდან გამოვალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი კაცი თავს წააგებს. ვერანაირი კავშირები და ორგანიზაციები ვერ დაგვიცავს. ამიტომ სულ ვამბობთ ჩვენ, სასულიერო პირები, რომ საქართველოს გზა — ეს არის ქრისტეს გზა, საქართველოს მომავალი — ეს არის ქრისტე!**

«ასე იყო ძველადაც, როცა დიდ სახელმწიფოებს საქართველოს დაპყრობა სურდათ. იმხანად ჩვენს მეფეებს ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ ქრისტიანობის უარყოფას და მტრის სარწმუნოებაზე გადასვლას სთხოვდნენ. ფაქტობრივად, დღესაც იგივეა»...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## უკრაინას შიმშილის წლები ელის

**უკრაინის უზრუნველყოფას სურსათ-სანოვაგით საფრთხე ემუქრება — ფასები იმატებს, წარმოების მოცულობა მცირდება, წლის პირველი ნახევრის სტატისტიკური მონაცემები კი საგანგაშოა.** უკრაინელი პოლიტიკოსი **ვიქტორ მედვედჩუკი** დარწმუნებულია, რომ შექმნილ სავალალო სიტუაციაში დამნაშავენი არიან უკრაინის ავტოინტეგრაციის იდეოლოგები.

„ისინი ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ სამამულო აგროსამრეწველო კომპლექსი შეუფასებელი, უზარმაზარი რესურსია და მათი, ევროინტეგრატორების, ხელმძღვანელობით ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუტების წარმოებას საგრძნობლად გაზრდის. 2015 წლის პირველი ნახევრის შედეგები კი საწინააღმდეგოზე მიუთითებს. უკრაინის სახსტატის მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-ივნისში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,3%-ით შემცირდა, პროდუქტები კი 60%-ით გაძვირდა.

წარმოების მოცულობის შემცირება და პროდუქტების გაძვირება გვაიძულებს, ვიფიქროთ სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე, თუმცა ხელისუფლება სხვა რამით არის დაკავებული — უცხოეთში კრედიტორების ძიებით“, — განაცხადა უკრაინელმა პოლიტოლოგმა.



რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იმის მაგივრად, რომ მოეწოდებინა ხალხისთვის, დაემხოთ „მამაცურად“ გაქცეული სააკაშვილის ხელისუფლება, ხოლო შიშით პარალიზებული, დეზერტირი „მთავარსარდალი“ დაეპატიმრებინა და სასწრაფოდ გაესამართლებინა, შემდეგ სახელმწიფო დამნაშავედ გამოეცხადებინა სააკაშვილი და მისი ხროვა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ქართველების და ოსების წინაშე, სასწრაფოდ გაფრენილიყო მოსკოვში და გაემართა მოლაპარაკებები რუსეთის მთავრობასთან, რათა არ დაეშვა ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან სეპარატისტული კუთხეების — აფხაზეთისა და შიდა ქართლის დამოუკიდებლობის ცნობა, ქალბატონმა ბურჯანაძემ საპირისპირო „ჩაიდინა“...

# გეშინოდეთ ბურჯანაძის, რომელსაც მოაქვს ძღვენი!

## გუშინ ლონდონიდან და ვაშინგტონიდან გვმოძღვრავდა, ამჟამად მოსკოვიდან მოგვმართავს...

**ახლახან ყური მოვკარი ქალბატონი ნინო ბურჯანაძის სიტყვებს, — საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განლაგებას მიუღებლად მივიჩნევო; და კიდევ — ანტირუსული განწყობა იყო და არის, რადგან ბოლო წლებში ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობდნენო... დავიწყებ ბოდიშის მოხდით იმის გამო, რომ გამეორება მიწევს ადრინდელი წერილების ფრაზებისა, რომლებიც მივუძღვენი ქალბატონ ექსსპიკერს; თუმცა, ჩემი აზრით, ისინი ძალიან მნიშვნელოვანია და შესაძლოა, ბევრი მას პირველად წაიკითხავს.**



არ შემიძლია, არ გავიხსენო „უმაღლესი რანგის პოლიტიკოსის“, ქალბატონი ნინოს გახმაურებული გამოსვლა **2007 წლის 9 ნოემბერს**. აქვე, ზოგიერთს შევახსენებ, რომ ბურჯანაძის გამოსვლამდე ორი დღით ადრე, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა მხუთავი ნივთიერებები. აი, რას „ბრძანებდა“ პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე (სტილი დაცულია):

**„ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება შედგა... კარგად დაუფიქრდით, რა საფრთხე ელოდა ჩვენ ქვეყანას... ეს იყო მცდელობა ულტიმატუმისა, ეს იყო მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ძალების ხელისუფლების და ქვეყნის დაშანტაჟებისა. ნებით თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომელსაც ძალიან კონკრეტული გვარი და სახელი მართავდა... ძალიან კონკრეტული ქვეყნის ინტერესში შედიოდა ეს და ძალიან კონკრეტული ძალის ინტერესებში შედიოდა ის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო არასტაბილურობა და ქვეყანაში ყოფილიყო სერიოზული საფრთხე მომავალი განვითარებისა“...** როგორც ხედავთ, ქალბატონი ბურჯანაძის რწმენით, უდანაშაულო ხალხის ცემა-ტყეპა და მხუთავი აირით მოწამვლა სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებაა. **„კონკრეტული გვარი და სახელი“ ბადრი პატარკაციშვილია, „ძალიან კონკრეტული ქვეყანა“ კი — რუსეთი...**

კიდევ: **„ესენი (ოპოზიციონერები — ავტ.) არიან ის ადამიანები, ვინც მხილებულნი არიან კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ამ ადამიანებთან სალაპარაკო ჩვენ არაფერი გვაქვს!“** (ტაში დარბაზში — ავტ.). „კონკრეტულ სპეცსამსახურებში“ ქალბატონი ბურჯანაძე უეჭველად გულისხმობდა რუსეთის სპეცსამსახურებს. აკი, „რუსთავი 2“ თითოეულ ოპოზიციონერს ამხელდა რუსეთის აგენტობაში. და ვინ მართავდა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“, ბოდიში და, ყროყინს? — ხელისუფლება, რომლის მეორე პირი ქალბატონი ბურჯანაძე გახლდათ.

რა მარტივია, არა? **უსავარძლოდ დარჩენილი ქალბატონი ნინო მოსკოვიდან ადანაშაულებს „ქოცებს“, — „ვაჟკაცობა არ ჰყოფნით, რუსეთთან მოლაპარაკებაზე ღიად წავიდნენო...“ არადა, ანტირუსული განწყობის ჩამოყალიბებაში თვითონაც ხომ „ღირსეული“ წვლილი შეიტანა?!** რას აკეთებდა ქალბატონი ბურჯანაძე თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროს, მაშინ რატომ არ გამოიჩინა პოლიტიკური სიბრძნე და მოქალაქეობრივი სიმამაცე? რატომ გაუშვა ხელიდან ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობა, აგვისტოს დღეებში ძალაუფლება ხომ ქუჩაში ეგდო?

აი, სინამდვილეში რას აკეთებდა „ცხინვალის ომის“ დღეებში ნინო ბურჯანაძე: იმის მაგივრად, რომ მოეწოდებინა ხალხისთვის, დაემხოთ „მამაცურად“ გაქცეული სააკაშვილის ხელისუფლება, ხოლო შიშით პარალიზებული, დეზერტირი „მთავარსარდალი“ დაეპატიმრებინა და სასწრაფოდ გაესამართლებინა, შემდეგ სახელმწიფო დამნაშავედ გამოეცხადებინა სააკაშვილი და მისი ხროვა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ქართველების და ოსების წინაშე, სასწრაფოდ გაფრენილიყო მოსკოვში და გაემართა მოლაპარაკებები რუსეთის მთავრობასთან, რათა არ დაეშვა ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან სეპარატისტული კუთხეების — აფხაზეთისა და შიდა ქართლის დამოუკიდებლობის ცნობა, ქალბატონმა ბურჯანაძემ საპირისპირო „ჩაიდინა“... თუმცა, თვითონ მას მოვუსმინოთ:

**„...როცა რუსები თბილისისკენ დაიძრნენ, მე დავურეკე მიშას და ვუთხარი, რომ შევკრებდი ქალებს და გადავეღობებოდით რუსების ტანკებს. შევეკითხე: ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე — დროშით თუ ავტომატით ხელში?“**

ანუ ქალბატონი ნინო მზად იყო, გაეწყვიტა ▶

# ბატონო პრემიერო, რუსთავის ციხეს, ერთი კი არა, უამრავი «ნაკლი» აქვს!

## ქართული მართლმსაჯულება დაკოდილია და პროკურატურის ყაყანს «დემოკრატიული დასავლეთი» აინუნშიც არ აგდებს

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 16 ივლისს რუსთავის №16-ე დაბალი რისკის განახლებული დაწესებულება გახსნა, სასჯელაღსრულების მინისტრთან ერთად საპყრობილის ინფრასტრუქტურა დეტალურად დაათვალიერა და ბოლოს შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ჟურნალისტებთან განაცხადა: „დაწესებულებას ერთადერთი ნაკლი აქვს — სააკაშვილი აკლია!“**

მართალია, ამ ფრაზის თქმისას პრემიერს გამომეტყველება ოდნავ შეეცვალა და სახეზე ჯოკონდას ღიმილმა დაჰკრა, მაგრამ ცხადია, არ უოხუნჯია. ღარიბაშვილმა თქვა ზუსტად ის, რასაც მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს და ამით საზოგადოებას გული მოჰფხანა. მეტიც, ბევრს გარკვეულწილად, იმედიც დაუბრუნა, რომ ყბადაღებული სამართლიანობა, ადრე თუ გვიან, აღდგება, დამნაშავეები დაისჯებიან და „ნაცრეჟიმის“ ცხრაწლიანი ბოროტების მთავარ შემოქმედ მიხეილ სააკაშვილს ციხეში ვიხილავთ. მარტივად რომ ვთქვათ, ღარიბაშვილის განცხადებამ „ნაცებსა“ და განსაკუთრებით — მათ „მამამთავარს“ შიგ გულის ფიცარში „ჰგლიჯა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ განცხადებამ გარკვეული უკმარისობის განცდაც დატოვა. **თითქოს პრემიერს კიდევ რაღაც უნდა დაემატებინა, უნდა განევრცო და საკითხი გაეშალა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ გარისკა, ბოლომდე ეთქვა სიმართლე, რომელიც დღეს ყველას მწარე რეალობად გვაქვს ქცეული. იმის თქმა მინდა, რომ რუსთავის ციხეს არა ერთი და ორი, არა სამი და ოთხი, არამედ, საუბედუროდ, კიდევ მრავალი „ნაკლი“ აქვს. ამ ციხეს არა მხოლოდ სააკაშვილი, მასთან ერთად კიდევ არაერთი სახელმწიფო დამნაშავე, კრიმინალი და დამაქცევარი აკლია.** მაგალითისთვის მხოლოდ **ზღულაძე-კვიტაშვილი** და უკრაინის ხელისუფლებაში შეყუჟული დანარჩენი ნაცკრიმინალებიც საკმარისია, თუმცა სხვა უფრო დიდი „დანაკლისებიც“ არსებობს. მაგალითად, **ზურაბ ადეიშვილი, კაცი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებდა ბოროტებას, რეჟიმს და ტერორს, დღეს ხელუხლებელია, საქართველოს პროკურატურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, საზღვარგარეთ მისი დაკავება და საქართველოში ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.** მეტიც, იმ დროს, როცა ქართული მართლმსაჯულება მტკიცებულებებს მტკიცებულებებზე გზავნიდა და „მეგობარ დასავლეთს“ დამნაშავის დაკავებაში დახმარებას სთხოვდა, იქიდან თითი დაგვიქნიეს, — პოლიტიკურ დევნას შეეშვითო. ბოლოს ინტერპოლმაც თავსლაფი დაგვასხა და კრიმინალი ადეიშვილი ძებნილთა ნუსხიდან ამოიღო. ცხადია, ეს კაცი ერთობ აკლია რუსთავის დაწესებულებას, საკანს და, საზოგადოდ, ქართულ ციხეს...

რაც შეეხება სხვებს, **კეზერაშვილი** და მისი ამფსონები ყველას გახსოვთ, — სააკაშვილმა მისი სახით თავის დროზე ბიზნესს ნამდვილი რისხვა მოუვლინა. ქვეყანაში ჩიტი ვერ შემოფრინდებოდა და ფოთოლი ვერ გატოკდებოდა ისე, რომ წილი არ ეძლია ამ კაცისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ „ურჩ“ ბიზნესმენს გლდანის საპყრობილე, იქ კიდევ ცოცხი, „დუბინკა“ და სკამის ფეხი ელოდებოდა. მოკლედ, **კეზერაშვილის სახელი, ისევე, როგორც უგულავა-მერაბიშვილის, არაერთი ბიზნესმენის გაკოტრებასა და გაცამტვერებას უკავშირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას, რომ იტყვიან, ყველაფერი ხახვივით შერჩა.** ქართული მართლმსაჯულების ყეფამ „ქარავანი“ ვერც ამ შემთხვევაში შეაჩერა და რამდენჯერაც პროკურატურამ დახმარებისთვის ინტერპოლს მიმართა, იმდენჯერვე „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ ბრანწი უჩვენა. რა თქმა უნდა, ეს კაციც მეტისმეტად აკლია რუსთავის ციხეს...

ახლა საზღვარგარეთ გახიზნული **ლევან რამიშვილიც** გავიხსენოთ, დღეს საქართველოში სამი წლის ბავშვმაც იცის, რომ მერაბიშვილთან, ბოკერიასთან, ადეიშვილსა და სხვა „ნაციონალ მსხვილფეხოსნებთან“ ერთად ის იყო რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, რომელმაც 2003 წლიდან მოყოლებული უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების ცნობიერებაში ე.წ. მენტალური რევოლუციის განხორციელებაში. მეტიც, რამიშვილი იყო განათლების სისტემაში გატარებული ე.წ. რეფორმების ერთ-ერთი აპოლოგეტი და მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ქვეყანაში, სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე, გამძვინვარებული ანტიმართლმადიდებლური კამპანია. ეს კაცი რომ რუსთავის ციხეს ერთობ აკლია, ცხადზე ცხადია, მაგრამ, როგორც გითხარით, **ქართული მართლმსაჯულება დაკოდილია და პროკურატურის ყაყანს „დემოკრატიული დასავლეთი“ აინუნშიც არ აგდებს.**

დასასრულ, ორიოდე სიტყვას **ბაჩო ახალაიას ძმაზე — დათა ახალაიაზე** და სააკაშვილის პირად ჯალათ **მეგის ქარდავა-** ▶

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ბერია 1938 წლის 25 ნოემბერს დაინიშნა. ასე რომ, წინა წლის „ტერორთან“ მას არაფერი აკავშირებს. პირიქით, თავისი პირველი ბრძანებით, რომელიც 1938 წლის 26 ნოემბრით არის დათარიღებული, (№00762), მან გასცა განკარგულება, უმკაცრესად დაეცვათ სოციალისტური კანონიერება. ამ ბრძანებით, წარმოებაში არსებული საქმეებისთვის ხელახლა უნდა გადაეხედათ, უდანაშაულოები გაეთავისუფლებინათ, უსამართლოდ გადასახლებულები დაებრუნებინათ.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ქართველი მდედრი, ოლონდაც მის მიშიკოს ხელისუფლება შეენარჩუნებინა; და, კიდევ — ეს სიტყვები ადასტურებს, რომ ექსსპიკერს არ ძალუძს გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად. აბა, დაუკვირდით — დალუპვის ვარიანტებსაც კი „ბრიყვ სააკაშვილთან“ (ასე აფასებს ახლა ქ-ნი ნინო ნაპრეზიდენტალს — ავტ.) ათანხმებს — **„ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე — დროშით თუ ავტომატით ხელში?“**

დღეს პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავქალი გაშმაგებით იბრძვის ხელისუფლების სათავეში მოსაკალათებლად. ამ მიზნის მისაღწევად ქალბატონი ნინო ყველაფერზეა წამსვლელი. გუშინ ლონდონიდან და ვაშინგტონიდან გვმოძღვრავდა, ამჟამად მოსკოვიდან მოგვმართავს. არ გეგონოთ, რომ მისი „ქამელეონობა“ საქართველოს არგებს. თვალები ხომ გვაქვს და ვხედავთ, რით მთავრდება ქვეყნისთვის ქალბატონი ბურჯანაძის ე.წ. პოლიტიკური თამაშები? — როგორც წესი, „ვარდების რევოლუციით“, 2007 წლის 7 ნოემბრით და „ბელა ჩაოთი“...

ამიტომ, როდესაც ნინო ბურჯანაძე მოვა თქვენთან 2016 წლის არჩევნების წინ ხმების სამათხოვროდ, თუნდაც საჩუქრით — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაპირებით, გაიხსენეთ ქალაქ ტროას ქურუმი **ლაოკოონი** და შეეცადეთ მისი გაფრთხილების პერიფრაზირებას დაახლოებით ასე:

**გეშინოდეთ ბურჯანაძის, რომელსაც მოაქვს ძღვენი!**

**გიორგი კორძაძე**

◀ **ზეც** ვიტყვი. ამ ორი კრიმინალის სახელი დღეს საქართველოში დიდმა და პატარამ იცის. საკმარისია, ან ერთი, ან მეორე სადმე ახსენო, უმალ ყველას ცოცხი, „დუბინკა“ და იატაკის საწმენდი ჯოხი ახსენდება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ **სერგო თეთრაძის** სისხლი ჯერაც მიწას არ შეშრობია, რომ მანიაკი ქარდავა პატიმართა ცოლებს კაბინეტში რიგ-რიგობით იბარებდა და იქიდან ტანსაცმელშემოხეულებსა და გაუბედურებულებს უშვებდა. მოკლედ, ერთიცა და მეორეც არათუ აკლია, ჰაერივით სჭირდება რუსთავის ციხეს. ეს აშკარაა და რაც დრო გადის, ამ „საჭიროებას“ სულ უფრო მძაფრად განიცდის საზოგადოება. ისე, პრინციპში, რუსთავის ციხის „დანაკლისის“ ჩამოთვლა კიდევ შეიძლება (ბარამიძე, ბოკერია, გოგორიშვილი, წიკლაური, გაბაშვილი ხომ სწორედ ამ ნუსხაში არიან), მაგრამ ამ ყველაფერს, ალბათ, აზრი არ აქვს; რაც უნდა ხშირად შევახსენოთ ჩვენს თავს მწარე სიმართლე, ამით უფხო ქართულ მართლმსაჯულებას არაფერი ეშველება. ასე მხოლოდ ივანიშვილის ხელისზიჭუნას შეიძლება ვუკიჟინოთ, რომ სააკაშვილი ერთადერთი „დანაკლისი“ არ არის, სააკაშვილი ცხრათავა გველეშაპის მხოლოდ ერთ-ერთი თავია...

**ჯაბა ჟვანია**

# დაიწყოს რეაბილიტაცია

**საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებზე უამრავი გამოკვლევა ჩატარდა, უფრო მეტი მასალა გამოქვეყნდა — ტენდენციური, მიკერძოებული, არის ობიექტური პუბლიკაციებიც, რომლებიც ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად იბეჭდება პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. პუბლიცისტ ვადიმ ბონდარის წერილი „დაიწყოს რეაბილიტაცია“ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის ლაკონურად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბების მცდელობაა.**





1934 წლის 10 ივლისს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შინაგან საქმეთა საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“. ამ ორგანიზაციაზე ბოლო 25 წლის განმავლობაში უამრავი ყალბი მითი გამოქვეყნდა. რეჟისორები თავიანთ მოვალეობად თვლიან, ნებისმიერ რეტროფილმში ჩააკვეხონ შინსახკომის თანამშრომელი და ჩატენონ ამ პერსონაჟში მაქსიმალური რაოდენობის უარყოფითი თვისება. არადა, ამ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებმაც უზრუნველყვეს ეკონომიკური მშენებლობის არნახული ტემპები, ჰიტლერული გერმანიის განადგურება, ქვეყნის უშიშროება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ხალხმა წარმატებებს ხელისუფლების მხარდაჭერის წყალობით მიაღწია, გადახრებს მიღმა შეძლო დიადი სახელმწიფოს აშენების ურყევი ნების დანახვა.

ახლა კი ყველაზე უფრო გავრცელებული მითების შესახებ.

**პირველი მითი — 1937 წლის „დიდი ტერორი“.** ეს ტერმინი „თავისუფალ ცურვაში“ გაუშვა დიდბრიტანელმა სოვეტოლოგმა **რობერტ კონკვესტმა,** რომელიც მუშაობდა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის კვლევის განყოფილებაში. ეს სტრუქტურა შეიქმნა საბჭოთა პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ **ისტორიული რეალობა ადასტურებს, რომ საბჭოთა სინამდვილეში არავითარი ტერორი, მით უფრო — „დიდი“, არ იგრძნობოდა.** ისტორიკოსი, მიხეილ შოლოხოვის პრემიის ლაურეატი **იური ემელიანოვი** წერს: **„1936, 1937 და 1938 წლებში სსრკ-ში აღინიშნებოდა შობადობის არნახული ზრდა, ამიტომ იყო, რომ სკოლებში იქმნებოდა უამრავი პარალელური კლასი ამ წლებში დაბადებული ბავშვებისთვის. როგორ ავხსნათ ასეთი შეუთავსებლობა: ქვეყანაში მძვინვარებს შინსახკომი, შობადობა კი არნახულად იზრდება და ხალხს სჯერა ნათელი და ბედნიერი მომავლის?! ოქსფორდში დაწერილი „XX საუკუნის სრული ქრონოლოგიის“ ავტორებმა დასაბუთებულად ვერ მიიჩნიეს „არნახული რეპრესიების“ პერიოდად 1937 წლის გამოცხადება.**

**მითი მეორე — ქვეყნის ანტიგმირია ლავრენტი ბერია**, რომლის პიროვნება აუცილებლად ასოცირდება შინსახკომთან. აქაც მორიგი ისტორიული სიყალბე: **შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ბერია 1938 წლის 25 ნოემბერს დაინიშნა. ასე რომ, წინა წლის „ტერორთან“ მას არაფერი აკავშირებს. პირიქით, თავისი პირველი ბრძანებით, რომელიც 1938 წლის 26 ნოემბრით არის დათარიღებული (№00762), მან გასცა განკარგულება, უმკაცრესად დაეცვათ სოციალისტური კანონიერება.** ამ ბრძანებით, წარმოებაში არსებული საქმეებისთვის ხელახლა უნდა გადაეხედათ, **უდანაშაულოები გაეთავისუფლებინათ, უსამართლოდ გადასახლებულები დაებრუნებინათ.** ყველა დაკავებული კანონიერების სრული დაცვით 48 საათის განმავლობაში ან უნდა გაეთავისუფლებინათ, ან უნდა დაეკავებინათ. შინსახკომის ყველა თანამშრომელს დაურიგდა იმ პერიოდში მოქმედი კოდექსები, რათა ესარგებლათ მხოლოდ ამ საკანონმდებლო აქტების დებულებებითა და მუხლებით.

**ომის წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა გააუვნებლეს 147 183 დამნაშავე. 100 000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. 200-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა**

**კიდევ ერთი მითი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელი წარმოდგენილია სისხლისმსმელ მონსტრად**, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ დაუნდობლად ხვრეტს ყველას.

**სიმართლე კი ასეთია:** დიდი სამამულო ომის ყველა გადამწყვეტ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ შინსახკომის ნაწილების მებრძოლები. მოსკოვის დაცვაში — 7 დივიზია, 3 ბრიგადა და 3 ჯავშნოსანი მატარებელი. ლენინგრადის მისადგომებს თავდადებით იცავდნენ შინსახკომის შინაგანი ჯარების პირველი, მე-20, 21-ე, 22-ე და 23-ე დივიზიების მებრძოლები და მეთაურები. 1942 წლის აგვისტოში შინსახკომის მე-10 დივიზიამ გერმანიის მე-6 არმიას საშუალება არ მისცა, პირველივე შეტევით აეღო სტალინგრადი. 1942-43 წლების ზამთარში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩამოაყალიბა ცალკე არმია, რომელსაც შემდგომ 70-ე არმია ეწოდა. ცენტრალური ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად მან შეაჩერა ჰიტლერელთა დამრტყმელი დაჯგუფება, რომელიც კურსკისკენ გაჭრას ცდილობდა. **შინსახკომის თანამშრომლებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს პარტიზანული მოძრაობის გაშლაში. ამ ყველაფრის გარდა იყო დაზვერვა, კონტრდაზვერვა, დასავლეთ უკრაინაში ბანდერას ბანდების ლიკვიდაცია, დეზერტირობის, ბანდიტიზმისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა.** ომის წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა გააუვნებლეს 147 183 დამნაშავე. 100 000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას; 200-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

**დასასრულ, ბოლო მითი: სტალინისა და ბერიას დროს ქვეყნის ნახევარი სასჯელს იხდიდა, მეორე ნახევარი — ყარაულობდა.** 1935-53 წლებში საბჭოთა კავშირის ყველა საპყრობილეში (ციხეები, ბანაკები, კოლონიები და ა.შ.) ერთდროულად წელიწადში საშუალოდ 2 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა. და ეს „დიდი ტერორია“ ომის, მასობრივი ღალატის, დეზერტირობის და ა.შ. პირობებში. შეადარეთ: 2013 წელს კეთილდღეობით გამორჩეულ აშშ-ში პატიმართა რაოდენობა 2,2 მილიონი იყო.

**მითი: სტალინისა და ბერიას დროს ქვეყნის ნახევარი სასჯელს იხდიდა, მეორე ნახევარი — ყარაულობდა. 1935-53 წლებში საბჭოთა კავშირის ყველა საპყრობილეში (ციხეები, ბანაკები, კოლონიები და ა.შ.) ერთდროულად წელიწადში საშუალოდ 2 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა. და ეს «დიდი ტერორია» ომის, მასობრივი ღალატის, დეზერტირობის და ა.შ. პირობებში. შეადარეთ: 2013 წელს კეთილდღეობით გამორჩეულ აშშ-ში პატიმართა რაოდენობა 2,2 მილიონი იყო**

**ცნობისთვის: ამერიკაზე მოდის მსოფლიოს პატიმართა საერთო რაოდენობის 25 პროცენტი, რაც ნორმალურად ითვლება. მარშალის ამერიკული უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი გორდონ კრუზი ამტკიცებს, რომ ამერიკელებს უყვართ ადამიანების უმკაცრესად დასჯა, ე. ი. მათთვის დაhსაშვებია, სხვებისთვის — არა.**

**ყველაფერი ის, რასაც მიაწერენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ორმაგი სტანდარტების გამოვლენის გავრცელებული პრაქტიკაა.**

**ვადიმ ბონდარი**

## კახი მამულაშვილმა დანაშაული აღიარა

**ნარკოდანაშაულში ბრალდებულმა კახი მამულაშვილმა, რომელსაც პატიმრობა შეეფარდა, დანაშაული აღიარა.**

„არასოდეს შემომიტანია საქართველოში ნარკოტიკი. არც ვეწევი და არც ვსვამ, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა კოკაინი გამისინჯავს უცხოეთში. ის ოდენობა, რომელიც ახლა მქონდა, მივიჩნიე, რომ არ იყო დიდი. ვინმესთან ერთად რომ ვყოფილიყავი, ასეთ რამეს არ გავაკეთებდი. ვერავინ იტყვის, რომ ნარკოტიკთან მქონდა შეხება. საგამოძიებო პროცესში ეს ორი თვე მჭირდება, რომ ოჯახი შევაგუო იმას, რომ შესაძლოა, დანაშაულისთვის პასუხისგება მომიწიოს“, — განაცხადა კახი მამულაშვილმა, რომელიც 10 ათასლარიანი გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და მას აღმკვეთი ღონისძიების სახით 55-დღიანი პატიმრობა შეუფარდა. „დანაშაული ჩემი უგუნური ქმედების შედეგად ჩავიდინე“, — განაცხადა მამულაშვილმა მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე.



ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად განაგრძობენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“ განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელი“.**

# რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული «ღირებულებების» გაზიარებას?

**ამა წლის 26 ივნისს აშშ-ის ყველა შტატში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების ლეგალიზებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად შეხვდნენ, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამერიკელთა ამ გადაწყვეტილებას ქვეყნების ხელისუფლებები და მოქალაქეები შეხვდნენ სხვადასხვანაირად, რადგან, აშშ-ის ვასალობის მიუხედავად, ევროპის ბევრ ქვეყანაში ე.წ. სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება გაცილებით მკაცრია, ვიდრე აშშ-ში. ამას მოწმობს პარიზსა და რომში გამართული ელგბტ-თემის წინააღმდეგ მიმართული გრანდიოზული საპროტესტო აქციები, რომლებშიც მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა, აგრეთვე, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის რამდენიმე დღისწინანდელი განცხადება, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება.**

აშშ-ის ყველა შტატში ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების შემდეგ პრეზიდენტ ბარაკ ობამას გამაოგნებელი განცხადება — ეს ამერიკის გამარჯვებააო, და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, შეუნილბავ მუქარას — ვეცდებით, ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დავაკანონოთო, ოდნავაც არ შეუცვლია ტრადიციული რელიგიების წარმომადგენელთა — კათოლიკების, მართლმადიდებლების, მუსლიმანების, ბუდისტებისა თუ იუდეველების — ნეგატიური დამოკიდებულება პედერასტიისა და, საერთოდ, ჰომოსექსუალიზმის მიმართ. პირიქით, ამ ამბით გაღიზიანებულმა ზიმბაბვეს პრეზიდენტმა **რობერტ მუგაბემ** ბარაკ ობამას დაცინვით ხელი სთხოვა, — დემოკრატიულობა გამოიჩინე და ცოლად გამომყევიო. დასავლეთის ზოგ ქვეყანაში, სადაც მაღალი რანგის სახელმწიფო პირი მამაკაცები მამაკაცებს მიჰყვებიან ცოლად თუ პირიქით — მამაკაცს ცოლად ირთავენ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება პროგრესულ მოვლენად, მეტ თავისუფლებად აღიქმება, ხოლო სხვა ქვეყნებში, სადაც ჯეროვნად არ ყვავის „ამერიკული დემოკრატია“, ამას აშშ-ისა და ევროპის გახრწნად, ზნეობრივ დაცემად აფასებენ.

საქართველოში კი ყიჟინა ატეხეს ლგბტ პირების უფლებათა დამცველმა, ამერიკული გრანტებით ნაკვებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრმა **თამარ კორძაიამ**, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს ადამიანის უფლებების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯია“.

ამერიკელთა მიერ გულუხვად დაფინანსებულ-მხარდაჭერილი არასამთავრობოებისა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა ყიჟინას ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის ისეთი აღშფოთება მოჰყვა, რომ საქართველოს პრემიერმინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** იძულებული შეიქნა, საჯაროდ განეცხადებინა: „ყველაფერს გავაკეთებ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს — ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა!“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრს აშფოთებს ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების პერსპექტივა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ ტრადიციული ფასეულობების მქონე მართლმადიდებელ ქვეყანაში ასეთი რამ შეუძლებელია.

**არის თუ არა შეუძლებელი საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება და რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული „ღირებულებების“ გაზიარებას?** — ამ საკითხზე 2 წლის წინათ ისაუბრა ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში: **„თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს — დავიღუპებით“** (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №19, 29 მაისი — 4 ივნისი, 2013 წ.). როგორც ამ ინტერვიუს ქვემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, ბატონი ალექსანდრეს კიდევ ერთი პოლიტიკური პროგნოზი (როგორც მანამდე — არაერთი) ზედმიწევნით ასრულდა:

## გეიიდეოლოგიით განმსჭვალული ახალგაზრდები და თანამედროვე ევროპული „ღირებულებები“

„არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში, უცხოელებთან ურთიერთობისას; და **არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.**

**აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად განაგრძობენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ განაგრძობენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელია.** მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინათ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გაზულუქებული მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ „მოდა“ იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიულ პერიოდში.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, **ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლება საზოგადოებისთვის ისეთი დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი შექნენ, მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი.** ქრისტიანულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან **ინკვიზიცია.** მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ **ოსკარ უაილდი**, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. სწორედ მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მსოფლიოში. **ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენას განიცდის, იძულებულია, ერთნაირ სქესიანთა კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს.** აშშ-ის ჯარში ერთნაირ სქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე...

უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს“, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია“.**

> **«ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენას განიცდის, იძულებულია, ერთნაირ სქესიანთა კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თვით აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს»**

## საქართველოს მთავარი ეროვნული ინტერესი

„საქართველო, პირველ რიგში, უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელიწადია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არ არის საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის „უმცროს ძმად“ ყოფნა ულირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების „უმცროსი პარტნიორები“ ვართ და ეს დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონდეს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, უნდა ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არ არის — ის ლაქიაა, მონა. **საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.**

უნდა ავუხსნათ „უფროს პარტნიორს“, რომ, **როდესაც საქართველო იყო „უმცროსი ძმა“, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში; ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო „პედერასტი“ სალანძღავი სიტყვა იყო.**

**როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის „უმცროსი პარტნიორი“, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო მოკვდავობისა კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს; ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია; ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთნაირსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი „პარტნიორობის“ კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს“.**

## ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა

„ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. **15 წლის წინათ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებ-** ▶

**„როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის „უმცროსი პარტნიორი“, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო მოკვდავობისა კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთნაირსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი „პარტნიორობის“ კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს“.**

ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რივი განვითარების სტრატეგია“, რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე.** მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — „ქართველობის გადასარჩენად!“. ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთმა „ილორმა“. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე „ნაციონალისტი“ და „კრემლის რუპორი“ მიწოდეს; პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც საკუთარ თავს „ოპოზიციას“ ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი „ანტიამერიკანიზმი“ და „ანტიევროპეიზმი“. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... **თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წლის განმავლობაში უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო “ბრუნდება” ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ.** სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი მნიშვნელოვანი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ გამოხატეს დამოკიდებულება საქართველოს „ევროპულ იდენტობასთან“.

**საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან.** მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში „თერგდალეულთა“ — დიდი ქართველი განმანათლებლების — დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა, მაგრამ იმხანად ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზემოქმედებით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.

**დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარ არის. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — „უმცირესობათა“ მოთხოვნებმა.** გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნება უგულებელყვეს.

**მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებული არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც თავიანთ ნორმებსა და ქცევის წესებს დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი.** საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან. წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინათ იგივე ხდებოდა პარიზში. **ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებით, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია.** ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. **თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით“.**

## როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესია

„წიგნების გამომცემელთა, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგან ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. **სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს; ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს.** ბუნებრივია, საუბარი არ არის ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილი ნაწარმოებების აკრძალვაზე. ყველას წაგვიკითხავს **მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის** რომანები, **რემბოსა** და **ვერლენის** ლექსები, მოგვისმენია **ელტონ ჯონისა** და **ფრედი მერკურისთვის**, მაგრამ, ალბათ, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ, ამერიკელი **ვიდალ გორი** ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

**პედერასტიის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედება არ არის მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთი მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან, მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მიეცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის, რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცით.** ამან შეიძლება იმუშაოს“.



ცნობისთვის:

*** ამჟამად ერთნაირსქესიანთა ქორწინება ნებადართულია მსოფლიოს 20 ქვეყანაში (პირველი ასეთი ქორწინების რეგისტრაცია მოხდა ჰოლანდიაში — 2001 წ.), დიდი ბრიტანეთის დიდ ნაწილსა და მექსიკის რამდენიმე შტატში.**

* ერთი და იმავე სქესის პირებს ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ უფლება აქვთ, იშვილონ ბავშვი და იყვნენ მშობლები.

*** სახელმწიფოს მიერ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების აღიარება და რეგისტრაცია ცვლის პრინციპებს სამოქალაქო კანონმდებლობისა, რომელშიც სიტყვები — „ქმარი“ და „ცოლი“, „მამა“ და „დედა“ იცვლება ზოგადი ტერმინებით: „მეუღლე 1“, „მეუღლე 2“, „მშობელი 1“, „მშობელი 2“. ამასთანავე, უქმდება ადამიანის იდენტობის პრინციპი სქესობრივი განსხვავებულობისა და ნათესაური კავშირის შესახებ და ყალიბდება კავშირის ახალი ფორმა — სოციალური, რომელიც, ადამიანურ რეალურ ბუნებასა და სქესობრივ კუთვნილებაზე კი არა, ცხოვრების სტილსა და სექსუალურ ორიენტაციაზეა დამოკიდებული.**

## რისთვის უნდოდა ხალხს ხელისუფლების შეცვლა

ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალთა“ მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისთვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, რომ მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ **ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რომ საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები; მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციო-კულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება.** ამას დაგვპირდა „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია“.

**აი, ამას ამბობდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია 2 წლის წინათ, თუმცა მისი შეფასებები და დასკვნები დღესაც აქტუალურია.**

ვასალ ხელისუფლებას და, მით უმეტეს, მის სიუზერენს, საქართველოს შემთხვევაში — დასავლეთს, კონკრეტულად კი, აშშ-ს, არ სურს, ჰყავდეს განათლებული მოქალაქეები, რომლებიც ყველა საკითხში გაერკვევიან, რადგან გაუნათლებელი ადამიანების მართვა გაცილებით იოლია. **პირველი, რაც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა საქართველოში მოიმოქმედეს,** განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ნგრევა იყო; ამას მოჰყვა იერიში ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებზე, მართლმადიდებლობაზე, რაც დღესაც გრძელდება იმიტომ, რომ **სურთ, ახალი ჯიშის ქართველი გამოიყვანონ — გაუნათლებელი, უკულტურო, უტრადიციო, ზნეობრივად დაცლილი; ქართველი, რომელიც 30 ვერცხლის (გრანტის) სანაცვლოდ ყველაფერზე თავს დაუკრავს, ყველაფერს მიესალმება, რასაც დასავლეთი უბრძანებს და რაც მის ეროვნულ იდენტობას გაანადგურებს.**

გაიხსენეთ, რა იყო ე.წ. დასავლური დემოკრატიის პირველი ნაბიჯი საქართველოში. — **პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება.** ამას მოჰყვა ე.წ. **ანტიდისკრიმინაციული კანონი** (2014 წლის მაისში), რომელიც საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო და რომელმაც საფუძველი მოუმზადა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას ჩვენს ქვეყანაში.

შედეგად, ლგბტ თემი ისე გააქტიურდა, რომ აღარც მალავს განზრახვას — აშშ-ის მხარდაჭერით, ერთნაირსქესიანთა ქორწინება აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირე საქართველოშიც მალე დაკანონდებაო.

**მართალია, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა და, საერთოდ, სექსუალური უმცირესობების მიმართ, და პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებ, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი, ქორწინება მამაკაცისა და ქალის ერთობლიობაა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც სავსეა პროამერიკელი რესპუბლიკელებით და უსიტყვოდ ასრულებს აშშ-ის მითითებებს, შეიძლება ვერ გაუძლოს ამერიკელთა წნეხს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ კანონის შემოღებაზე დაიწყოს საუბარი.**

ამიტომ ამ საკითხზე აუცილებელია სრულიად საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაცია. მხოლოდ ერთობით, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება, აღვუდგეთ წინ ამ საშინელ ჭირს, რომლის გავრცელებითაც აშშ გვემუქრება და რომელიც გააქრობს ქართველობას, როგორც ერს.

**«ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რომ საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები; ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები; მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციო-კულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება»**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გამოხმაურება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამათმავლობას რომ მიუღებლად თვლიდე, ამისთვის სულ არ არის საჭირო, რომ აუცილებლად მართლმადიდებელი იყო და ეკლესიურად ცხოვრობდე. ის იმდენად საძაგელი ცოდვაა, რომ თანაბრად მიუღებელია როგორც ქრისტიანისთვის, ისე ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, თუნდაც ათეისტისთვისაც.**



# რომელ უფალს ემონები? რატომ აიტაცეს ასეთი სიხარულით «17 მაისის» საიტმა და სხვა ლიბერასტებმა მამა პეტრე კვარაცხელიასთან ინტერვიუ?

**მე, მამა პეტრეს „17 მაისისთვის“ მიცემულ ინტერვიუს, გავკადნიერდები და „ბოროტ ნააზრევს“ ვუწოდებ და თუ რატომ, ამას ქვემოთ აგიხსნით.**
**(და ამისთვის ტექსტის თითქმის ზედმიწევნითი განხილვა და ციტირება დამჭირდება)**

1. რა დონის ცოდვაა მამათმავლობა?

თუ ერთი ხელით მამა პეტრე თითქოს აფიქსირებს ეკლესიის სწავლებას, რომ მამათმავლობა უდიდესი ცოდვაა: „თუ ეს დანაშაული და ცოდვაა, თუ ეს მიუღებელი ცოდვაა და, რა თქმა უნდა, ეს ასეა“, მეორე ხელით, ის მის თითქოსდა შემსუბუქებას ეწევა.

მამათმავლობა გაყავს ჩვეულებრივ მრუშობაში:

„მამა პეტრე კვარაცხელია: — როდესაც ჰომოსექსუალურ აქტს უკრძალავ, ეს ჩემთვის სავსებით გასაგები და მისაღებია, რადგან ჩვენ ვიცით – „არ იმრუშო“ ათი მცნებიდან. როდესაც ეკლესიურად ცხოვრებას, ქრისტეს მიმდევრობას ვცდილობთ, ასეთ ცოდვაზე, რა თქმა უნდა, უარი უნდა ვთქვათ.“

ჩვეულებრივ მრუშობას მე ვუწოდებ ბუნებით ცოდვას, ხოლო მამათმავლობას უკვე ბუნების საწინააღმდეგოს. ეს მოსაზრება გაზიარებულია ბევრი წმინდა მამის მიერ და შეუძლებელია ეს მოძღვარმა არ იცოდეს.

2. მამა პეტრე ამბობს, რომ თუ ეკლესიურად ვცხოვრობთ, ქრისტეს მიმდევრობას ვცდილობთ, მაშინ გასაგებია, რომ ჰომოსექსუალურ აქტს ვეწინააღმდეგებითო.

ა) ჯერ ეს ერთი, ქრისტიანულად არა მარტო „ამ აქტს“ მივიჩნევთ ცოდვად, არამედ უკვე თუნდაც ამ ცოდვის ნებისმიერ ხელშეწყობასაც და აფიშირებას. და პირიქით, ეს აქტის ჩადენაზე უარესიცაა.

ბ) მამათმავლობას რომ მიუღებლად თვლიდე, ამისთვის სულ არ არის საჭირო, რომ აუცილებლად მართლმადიდებელი იყო და ეკლესიურად ცხოვრობდე. ის იმდენად საძაგელი ცოდვაა, რომ თანაბრად მიუღებელია როგორც ქრისტიანისთვის, ისე ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, თუნდაც ათეისტისთვისაც. და ის რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მორალი და ზნეობა, მაგრამ არ გააჩნდეს მართალი სარწმუნოება და ცოცხალი რწმენა, ესეც უდავოდ ცნობილი უნდა იყოს მოძღვრისთვის.

3. მამა პეტრე თითქოს აბუნდოვნებს ცოდვის ობიექტურ მნიშვნელობას და მას სუბიექტური შეგრძნებებით განიხილავს: „ჩვენ ცოდვას გააზრებულად უნდა ვებრძოლოთ. ცოდვასთან გააზრებულ ბრძოლას, რაც არ უნდა ხანგრძლივი და რთული პროცესი იყოს, შედეგი მოაქვს, მაგრამ გაუაზრებელ ბრძოლას მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ გითხრა – იცი რა, ეს ცოდვაა და შეკითხვის უნარიც არ გაგაჩნია, თუ რატომ არის ცოდვა, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ შენ ვერ გაგიგია, რა არის ცოდვა და რა – მადლი. აქედან გამომდინარე, ვერასდროს ვერ გაიაზრებ შენს სულიერ მდგომარეობას.“

რას ნიშნავს „ვიღაცამ გითხრა?“

ცოდვა რომაა, მაგალითად, კაცის კვლა, ამას რა, შენ სულში გააზრებით სჭირდება კიდევ დამატებით დადასტურება?

ამას მე დავარქმევდი ძალით „გასაწყლებულ“ ნააზრევს.

და მართლაც, „17 მაისის“ კორესპონდენტიც კი გაკვირვებული რჩება და, შესაბამისად, ასეთ შეკითხვას სვამს:

„— და რა არის ცოდვა?“

(ანუ მამა პეტრეს პასუხიდან, მართლაც გაუგებარი იყო, ცოდვა ობიექტურობაა თუ პირადი შეგრძნებებია)

მამა პეტრეს პასუხი:

„— ცოდვა არის ის, რაც მე მაწუხებს ღმერთთან მისასვლელ გზაზე; რაც მეღობება და დაბრკოლებას მიქმნის“.

კვლავ უზუსტობა და შერბილება (და შეუგნებელი? მე მგონი, შეგნებული).

რა თქმა უნდა, ჩვენ ცოდვა მართლაც გვაწუხებს და გველობება უფლის გზაზე, მაგრამ ეს არ არის საკუთრივ ცოდვის არსის გაგება.

ვინაიდან ღმერთთან მისასვლელ გზაზე, ჩვენ შეიძლება გვაწუხებდეს და დაბრკოლებებს გვიქმნიდეს არა მხოლოდ ცოდვა, არამედ სულ სხვა, ობიექტური გარემოც.

მაგალითად თუნდაც ის, რომ ჩვენ შეიძლება ვცხოვრობდეთ ქალაქში, სადაც არ არის ეკლესია და ეს გვაწუხებდეს და გვიქმნიდეს პრობლემას.

ასევე შეიძლება ეს არ იყოს გამოკვეთილი ცოდვა, მაგრამ იყოს ჩვენი პირადი ხასიათის სისუსტე, მაგალითად, მოუთმენლობა. და შეიძლება ვთქვათ, რომ ის გვაწუხებს და დაბრკოლებებს გვიქმნის, ან იმავე სტილში, შეიძლება ვთქვათ, რომ სიზარმაცე გვაწუხებს და გვაბრკოლებს უფლის გზაზე და ა.შ.

ანუ, თითქოსდა, მსუბუქ მსჯელობებზე გადავდივართ და ეს მას შემდეგ, როდესაც ცოტა ხნის წინათ ყველაზე საზარელ ცოდვაზე, სოდომიაზე იყო საუბარი. უცებ ასე „უვნებელ, მაღალ მატერიებში“ გადავედით ცოდვასთან მიმართებაში.

და აკი „17 მაისის“ კორესპონდენტის გაოცება კვლავ გრძელდება და იგი უკვე ასეთ ინტერპრეტაციაში გადადის:

„— მაგრამ ამ მსჯელობის თანახმად, ცოდვის აღქმა ინდივიდუალური გამოდის, რამდენადაც ადამიანი ამას შინაგანი მორალური ღირებულებით განსაზღვრავს...“

მამა პეტრე, იმოწმებს რა ცდომილებაში მყოფ ცნობილ ფილოსოფოსს კანტს (სამწუხაროა მამა პეტრეს ციტირება, წმინდა მამების ნაცვლად, საეჭვო ფილოსოფოსების ნააზრევიდან რომ უნდება), დასძენს:

„— კანტი ამბობს: ორი რამ მაოცებს — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრივი კანონი ჩემში. კანონის ნორმები შინაგანად თუ არ გაქვს, გარედან ვერასოდეს ვერ აითვისებ, თვითონ თუ არ თქვი პიროვნულად ცოდვაზე უარი, მღვდლის შიშით შეიძლება რაღაც ეტაპი გაძლო, მერე საბოლოოდ ადგები და წამოხვალ მისგან. ანუ საკუთარ თავს ვერ აუკრძალავ, თუ ეს აკრძალვა შინაგანად არ მოდის. ასეთი აკრძალვა იქნება ფასადური, ფარისევლური და დროებითი“.

ანუ თურმე, ზნეობრივი კანონი მხოლოდ ჩვენში ყოფილა, ხოლო გარეთ, ზემოთ ცაში, მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა და არა უფალი.

ან რა შუაშია მღვდლის შიში?

ესეც სპეციალურადაა მოყვანილი, რომ თითქოს ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უჯერებდეს („ზნეობრივი კანონი ჩემში“) და არა სხვა ადამიანს — ანუ მღვდელს.

აქ სპეციალურად გავუსვი ხაზი ადამიანს.

თუმცა მამა პეტრემ შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ ადამიანს სინამდვილეში განა მღვდლის პიროვნული შიში აქვს, არამედ იმისი, ვისაც მღვდელი წარმოადგენს, ანუ ღმერთის. და ეს შიში არა ხელოვნურია, რომ „რაღაც ეტაპი გაძლო...“, არამედ თუკი ადამიანს მართლაც აქვს ღვთის შიში, ეს სათნოებაა.

ამის შემდეგ, ტექსტში კვლავ ყურადსაღები პასაჟია: „როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: რჯულის აღსრულება სიყვარულია, რელიგიამ ადამიანი არ უნდა დაიმონოს, რელიგიამ ადამიანი ყოველგვარი მონობისგან უნდა იხსნას, პირველ რიგში, საკუთარი თავისაგან.“

პავლე მოციქულის სიტყვები „რჯულის აღსრულება სიყვარულია“, რა თქმა უნდა, მართებულია, თუმცა ამას თითქოსდა ისევ პავლე მოციქულის სიტყვები გრძელდებოდესო, მოსდევს მამა პეტრეს, როგორც ადრე ვთქვი,“ ბოროტი ნააზრევი“.

კერძოდ, რას ნიშნავს „რელიგიამ ადამიანი არ უნდა დაიმონოს“? რომელ რელიგიაზეა საუბარი, ცრუზე თუ ჭეშმარიტზე? თუ ჭეშმარიტზე, მაშინ ეს იგივეა, რომ თქვა, რომ ღმერთმა ადამიანი არ უნდა დაიმონოს, რაც თავისთავად აბსურდი და მკრეხელობაა.

ხოლო, თუ იმაზეა საუბარი, თუ ჩვენ ვის უნდა დავემონოთ, ცხადია, რომ ჩვენ უნდა დავემონოთ უფალს და არა მამონას.

ასევე გაუგებარია ტერმინი „რელიგიამ ადამიანი უნდა იხსნას საკუთარი თავისგან“. და აქაც ეჭვი მიჩნდება, რომ ეს ასოციაციურად, უფრო საკუთარი სინდისისგან გათავისუფლებაზე მიგვანიშნებს და არა თავსმოხვეული მანკიერებებისგან.

საბოლოოდ, ისეთ რაღაც ცრუ, მონათმფლობელურ როლში დახატა მამა პეტრემ რელიგია, რომ „17 მაისის“ კორესპონდენტს კვლავ ბუნებრივი შეკითხვა დაებადა:

„— ლგბტ თემს, რეალურად, ღმერთთან აქვს პრობლემა თუ ეკლესიასთან, როგორც ინსტიტუციასთან?“

ეს მართლაც ბუნებრივი შეკითხვა იყო, რადგან გაურკვეველი იყო მამა პეტრე რელიგიაში ეკლესიას მოიაზრებდა თუ თვითონ ღმერთს და ამით თითქოს კორესპონდენტმა მას დაუტოვა შანსი, რომ პირდაპირ ღმერთს კი არა, არამედ მხოლოდ ეკლესიას მაინც დაპირისპირდებოდა (თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ერთი და იგივეა).

და მამა პეტრე ამ შანსს იყენებს და პასუხობს, ეკლესიას:

„— ეკლესიასთან. იცით, რატომ? საეკლესიო სწავლება არასდროს არ გულისხმობს ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2013 წლის 17 მაისს მე შემეშინდა. იმ დღეს, მე და არა მხოლოდ მე, ძალიან ბევრმა დავინახეთ ჩვენი მომზადების დონე. თურმე, სად ვყოფილვართ. ჩემთვის ყველაზე დიდი ცოდვაა სიძულვილი და აგრესია, როდესაც ქრისტიანობა არის სიყვარულის რელიგია. მე, მამა პეტრე, როცა შენთან მოვდივარ, არ მომეწონე და ცემა დაგიწყო, ეს ქრისტეს გაუხარდება?! აბსოლუტურად წინააღმდეგობრივია ეს ქრისტეს სწავლებასთან, მე ამას ვფიქრობ და ხმამაღლა ვამბობ. 17 მაისმა ეკლესიას აჩვენა ის, რომ ძალიან ბევრია გასაკეთებელი და კიდევ ის, რომ ჩვენ მართლმადიდებლობა, თურმე, არასწორად გვცოდნია. ჩემთვის ქრისტეს სახელით ძალადობა და აგრესია ძალიან მიუღებელია“.

ამ პასუხში შემდეგი ქვეტექსტი გამოსჭვივის:

1. ის, რომ ზოგადად ქართულმა ეკლესიამ გამოამჟღავნა არატოლერანტულობა (17 მაისს) მამათმავლების მიმართ და იგი მოძალადეა. თორემ, სინამდვილეში, ქრისტეს ეკლესია შემწყნარებელი და მოსიყვარულეა.

2. თურმე მამათმავლობაზე უარესი ცოდვებიც არსებობს, მაგალითად აგრესია.

ანუ ერთბაშად ორ კურდღელს კლავს: ერთი იმით, რომ მამათმავლებზე ბუნებრივ რისხვას ამტყუნებს და, მეორე, იმ აზრს გვიქარწყლებს, რომ მამათმავლობა ყველაზე უარესი ცოდვაა.

განიკითხავს რა ლგბტ კორესპონდენტის სტილში (ტაბურეტკიანი მამები) ხალხის სამართლიან აღშფოთებას, მთავრობისგან დაცული მამათმავლობის მოძალადე პროპაგანდისტების მიმართ, მამა პეტრეს, ბილწი ლგბტ თემი დამატებით ახალ ხარისხში აჰყავს:

„— თუ თვლი, რომ ადამიანი ავადმყოფია, და ბევრი თვლის ასე, ის არ უნდა მოკლა, პირიქით — უნდა უკურნო“.

ამ პასუხში მე შემდეგ მოსალოდნელ ქვეტექსტს ვხედავ:

1. რომ მამათმავლობა უკვე (შეუგნებლად? მე ვიტყოდი შეგნებულად) ცოდვად აღარ იხსენიება და მხოლოდ ავადმყოფობადაა წარმოდგენილი და თურმე „ბევრი თვლის ასე“.

2. (აქ მე მგონი, უკვე უბრალოდ გაუაზრებელი შეცდომაა)

ვინ თვლის, რომ ადამიანი მხოლოდ იმიტომ არ უნდა მოკლა, რომ ავადმყოფია, და ამიტომ უნდა უკურნო. რა, ავადმყოფი რომ არ იყოს და კურნება არ სჭირდებოდეს, ამიტომ შეგიძლია მოკლა? (ჩემი აზრით ეს ლაფსუსიც ზოგადად მამა პეტრეს ნაძალადევი, კვლავ განვმეორდები, „ბოროტი ნააზრევის“ შედეგია).

ამ ბოლო, არაძალადობისა და კურნების პასაჟებით თითქოსდა დაკმაყოფილებულ კორესპონდენტს კვლავ ლეგიტიმური კითხვა უჩნდება:

„— ლგბტ ადამიანებმა საკუთარი უფლებებისთვის უნდა იბრძოლონ?“

მამა პეტრეს პასუხი კვლავ მრავალმხრივი ბოროტაზროვნებითი შინაარსისაა:

„— ადამიანმა პირველ რიგში საკუთარ თავთან უნდა იბრძოლოს, რომ მან აღიაროს, ვინ არის ▶





თვითონ; რომ მან დაინახოს, სად არის, როგორი დაიბადა და უკვე მეორე ეტაპია საკუთარი თავის შეცვლა უნდა თუ არა. მაგრამ თუ ის საკუთარ თავს გაურბის და ეს საკუთარ თავთან წინააღმდეგობა სხვისდამი აგრესიასა და ზიზღში გადასდის, დამერწმუნეთ ასეთი ადამიანი ბევრად უფრო საცოდავია და უბედურია, ვიდრე ის, ვინც ამ ცოდვაში იმყოფება, მაგრამ სინანული გააჩნია. იმიტომ, რომ მას არ ღებულობენ, რადგან თვითონ საზოგადოებაც არ არის ამისთვის მზად; შეიძლება, უფრო მეტად არ ღებულობენ ისინი, ვინც ასეთია და თვითონაც მალავს საკუთარ თავში".

1. პასუხი „ადამიანმა პირველ რიგში საკუთარ თავთან უნდა იბრძოლოს, რომ მან აღიაროს, ვინ არის თვითონ", უკვე თავისთავად მოიცავს პასუხს, რომ მეორე რიგში რატომაც არ შეიძლება იბრძოლოს ლგბტ უფლებებისთვის.

2. ხოლო ციტატის გაგრძელება"რომ მან დაინახოს, სად არის, როგორი დაიბადა და უკვე მეორე ეტაპია საკუთარი თავის შეცვლა უნდა თუ არა", უკვე ლგბტ კულმინაციის ნიშნებს შეიცავს. აქ გაუცნობიერებელ მკითხველსაც კი გაუჩნდება ეჭვი, რომ „სქესის შეცვლაზე" შეიძლება იყოს მინიშნება. (შეუგნებლად? მე მგონი, შეგნებულად)

3. შემდგომ ტექსტში განიხილავს რა მამა პეტრე მამათმავლების (შემცდარ თუ შეუმცდარ) გრძნობებს, ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათ იმიტომ „არ ღებულობენ, რადგან თვითონ საზოგადოებაც არ არის ამისთვის მზად; შეიძლება, უფრო მეტად არ ღებულობენ ისინი, ვინც ასეთია და თვითონაც მალავს საკუთარ თავში". აქაც, რა თქმა უნდა, ლგბტ ლოგიკაა, რომ ჩვენ, საზოგადოება, არ ვართ მზად იმისთვის, რომ სქესგამოცვლილი ადამიანები ბუნებრივად მივიღოთ (აღარ გავაგრძელებ, სამარცხვინოა).

კვლავ მივყვეთ ტექსტს:

„თუმცა, თუ ადამიანი რამე ცოდვას სჩადის, ამის აფიშირებას არ უნდა აკეთებდეს და არ უნდა მაიძულებდეს, მეც ამ ცოდვის თანაზიარი გავხდე.

მაგრამ, მეორე მხრივ, — „საქართველოში სოდომის და გომორის ცოდვას არ დავუშვებთ" — ამას გაჰყვირის ის ადამიანი, ქართველი ვაჟკაცი, მართლმადიდებელი და ჰომოსექსუალებს ებრძვის მაშინ, როცა ცოლს ღალატობს და სხვა ქალთან ცხოვრობს. ამიტომ, არ მესმის ცოდვასთან ბრძოლის მეთოდები. თუ ის ცოდვაა, რასაც შენ ქუჩაში გამოეკიდე და ხმამაღლა გაჰკივი, რომ ეს ცოდვაა და ამას შენს ქვეყანაში არ დაუშვებ და არ გაატარებ — მივესალმები და ქედს ვუხრი, მაგრამ ამის თქმის მორალური უფლება უნდა გქონდეს. თუ ის ცოდვაა, რატომ შენი ცოდვა არ გახსოვს? საკუთარ ოჯახს რომ ღალატობ, საკუთარ მორალს, ზნეობას, შვილებს, სარწმუნოებას... თუ ის ნაკლები ცოდვაა, რომ უღალატო?! არა. ცოდვა ცოდვაა, ქრისტე გვეუბნება, არ იმრუშო და თუ ჰომოსექსუალობა ცოდვაა და საშინელი ცოდვაა, კი ბატონო, ამას ერთხმად აღვნიშნავთ, მაგრამ ის ცოდვა ცოდვა არ არის, რასაც შენ ემონები და ემსახურები?! ამიტომ, ჩვენ ვერ გავიაზრეთ, რა არის სოდომის და გომორის ცოდვა და იმიტომ გაჰკივიან ქუჩაში — ჩვენ ვებრძვით სოდომს და გომორს. ამ დროს ყველა ჩვენთაგანი ქვეცნობიერად სოდომის და გომორის ცოდვას ვატარებთ."

კვლავ იგივე ხდება, როდესაც მამა პეტრე ერთი ხელით მამათმავლობის აფიშირების და თანაზიარობაში ჩათრევის უარყოფით ქმედებებზე გვესაუბრება, იგი მეორე ხელით კვლავ მამათმავლობას არბილებს (მე ვიტყოდი ესარჩლება).

თურმე ცოლის ღალატი არ ყოფილა ნაკლები ცოდვა.

და, საერთოდ, თურმე სხვის ცოდვას როგორ აღნიშნავ, როცა შენ თვითონ ცოდავ, შვილებს რომ ღალატობო და ა.შ.

ამ ტექსტის დედააზრი შემდეგია (შეუგნებლად? მე მგონი შეგნებულად):

საერთოდ აღარ ვახსენოთ სოდომ-გომორი რომ ცოდვაა, ეს თემა დავივიწყოთ (თუ მივუშვათ?), იმიტომ რომ ჩვენ ხომ ყველა ცოდვილები ვართ. და შემდგომ, კიდევ უფრო დიდ მოტივაციას ნახულობს ჩვენი პასიურობისთვის, „ჩვენ ვებრძვით სოდომს და გომორს. ამ დროს ყველა ჩვენთაგანი ქვეცნობიერად სოდომის და გომორის ცოდვას ვატარებთ"-ო.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ანუ რა გამოდის, ჩვენ თუ სოდომის ცოდვას ვატარებთ, მაშინ სხვებისგან რაღა გვინდა?

კი მაგრამ, მამა პეტრე, თუ ჩვენ სოდომიას ვატარებთ, მაშინ რომელ ცოდვას არ ვატარებთ? პედოფილიას ვატარებთ? მანიაკობას ვატარებთ? ჯადოქრობას ვატარებთ?

არც ერთ ცოდვას აღარ ვებრძოლოთ?

მამა პეტრემ არ იცის (შეუგნებლად? მე მგონი შეგნებულად), რომ ადამიანი თავისთავად ატარებს მხოლოდ მის წმინდა სულს. ხოლო ცოდვები,სოდომიები და ა.შ. არის არა ჩვენი არსი, არამედ გარედან მოხვეული, ეშმაკის მოქმედებაა?

მაგრამ მამა პეტრეს აზროვნება, ჩემი აზრით (შეუგნებლად? მე მგონი შეგნებულად), ერთბაშად კვლავ ორ კურდღელს კლავს:

1. იმას, რომ ჩვენ თვითონ ყველანაირი ცოდვა გვაქვს და ამიტომ სხვის ცოდვებს უნდა წავუყრუოთ (შეიძლება ეს მართალია, მაგრამ აქ ხომ მათ პირად ცოდვებზე არ არის საუბარი, არამედ დაპირისპირებაა იმ სოდომისტებთან, რომლებიც ამ ცოდვას გვიქადაგებენ და თავს გვახვევენ ჩვენ და ჩვენ შვილებს, მაგრამ ეს ნიუანსი მივიწყებულია).

2.

ა) რომ ჩვენ თუ სოდომგომორის ცოდვას ვატარებთ, ეს იმის ნიშანია, რომ მამათმავლობა ბუნებრიობაა და ის, ისევე როგორც ქალურობა ან კაცურობა, ადამიანში თავისთავად შეიძლება იდოს.

ბ) და რომ სოდომ-გომორი არ არის რაიმე არაბუნებრივი ცოდვა და ისევე შეიძლება იდოს ჩვენში, როგორც, მაგალითად, გემოთმოყვარეობა, მრუშობა, სიფიცხე და ა.შ.

გავდივართ რა ინტერვიუს ბოლოში, რომელი ინტერვიუც პრინციპში „თანაზიარს" ხდის ჰომოსექსუალობას, ლგბტ-ცნობიერებას ადამიანის ბუნებრიობასთან, ბოლო კითხვა ჩნდება, და ამის ყველაფრის მისაღწევად რა არის გასაკეთებელი.

შესაბამისია „17 მაისის" კორესპონდენტის ბოლო კითხვაც:

„— როგორ წარმოგიდგენიათ საზოგადოებაში ამ პრობლემის დაძლევა?"

პასუხი გამაოგნებელია და მართლაც ლგბტ-აზროვნების ერთ-ერთ უდიდეს სიმაღლეს წარმოადგენს. და ვიტყოდი ბევრად უფრო სახიფათოს ვიდრე ეს შეიძლება მოდიოდეს, მაგალითად თუნდაც ლგბტეების პრეზიდენტის ირაკლი ვაჭარაძის მხრიდან, ვინაიდან მისი ავტორი მართლმადიდებელი მღვდელია.

„ცხვრის ტყავში გახვეული მგლისა" არ იყოს.

კონკრეტულად:

„ვფიქრობ, რომ პრობლემა მაინც არსებობს. იცით, რატომ? არც ერთი და არც მეორე მხარე არ ცდილობს მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომას და ამაზე საუბარს. ამ თემას სიკვდილივით კი არ უნდა გავურბოდეთ, პირიქით – უფრო დაუფარავად უნდა ვმსჯელობდეთ, გამოსავალს ვეძებდეთ. უნდა დავიბაროთ, ვისაც ხელეწიფება, ვისაც ამის ინტელექტუალური ცოდნა, რწმენაც აქვს და მუშტი-კრივზე არ გადავა. თანამშრომლობა უნდა ხდებოდეს. როდესაც საზოგადოებაში ასეთი ადამიანები არსებობენ, ამასთან ბრძოლით, წინააღმდეგობით და გმობით პრობლემა არ მოგვარდება იმიტომ, რომ ბუნებაში ეს არსებობს, ასეთი ადამიანები ჩვენს გვერდით არიან რეალურად და იმაზე მეტი, ვიდრე ვინც გამოდის და საკუთარი უფლებების დაცვას ითხოვს. ამიტომ საპატრიარქოს, სასულიერო პირებს ყველაზე მეტად ხელეწიფებათ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა; ოღონდ, რა თქმა უნდა, სარწმუნოების ყველა ინტერესებისა და უფლებების დაცვის ფარგლებში."

1. გამოთქმაში „მაინც არსებობს", უკვე თავის თავად იკითხება შინაარსი, რომ პრინციპში პრობლემა არ უნდა არსებობდეს.

და თურმე პრობლემა მხოლოდ იმაშია (და არა არსში), რომ „არც ერთი მხარე არ ცდილობს მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომას."

ანუ ამ პრობლემას ორი თანაბარე მხარე ჰყოლია. და ვინ არის ეს ორი მხარე? თუ უტრირებას გავუკეთებთ, ეს არის ღმერთი (მისი მცნებების, სიწმინდის დამცველნი) და ეშმაკი (სიბილწის და გარყვნილების მქადაგებელნი). და როგორ ესახება (ღმერთმა შემინდოს ამ შედარებისთვის), მამა პეტრეს ღმერთი და ეშმაკი ერთად მსხდარნი მოლაპარაკებების მაგიდასთან? (საშინელი მკრეხელობაა).

(რა თქმა უნდა, აქ გასაგებია, რომ ადამიანებზეა ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ლგბტ-სა და ეკლესიას ორ მხარედ განიხილავ, რომლებიც მოლაპარაკების მაგიდასთან ერთად უნდა ისხდნენ, ასეთი ასოციაცია ბუნებრივია)

2. მამა პეტრეს შემდგომი ციტატა: „ამ თემას სიკვდილივით კი არ უნდა გავურბოდეთ".

ამ კონტექსტში, კვლავ მამათმავლობის ცოდვის შემსუბუქების მცდელობა იკითხება. კერძოდ, რომ მამათმავლობა სასიკვდილო ცოდვა არაა, მას „სიკვდილივით კი არ უნდა გავურბოდეთ".

3. კვლავ ბოროტებისა და სიკეთის თანამშრომლობაზე:

„თანამშრომლობა უნდა ხდებოდეს. როდესაც საზოგადოებაში ასეთი ადამიანები არსებობენ, ამასთან ბრძოლით, წინააღმდეგობითა და გმობით პრობლემა არ მოგვარდება იმიტომ, რომ ბუნებაში ეს არსებობს, ასეთი ადამიანები ჩვენს გვერდით არიან რეალურად და იმაზე მეტი, ვიდრე ვინც გამოდის და საკუთარი უფლებების დაცვას ითხოვს."

საოცარი ლგბტ პასუხია.

სურათი ნათელია.

ასეთი ადამიანები არსებობენ, მათთან ბრძოლა, ან თუნდაც გმობა როგორ შეიძლება, იმიტომ რომ ისინი ბუნებაში არსებობენ („იმიტომ, რომ ბუნებაში ეს არსებობს") და ეს ბუნებრივია.

ეს უკვე, მე ვიტყოდი, „ოდაა ლგბტ თემის", ჩვენდა სამარცხვინოდ, მართლმადიდებელი მღვდლის მიერ ნამღერი.

და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ფონზე ცინიკურად და სარკასტულად გამოიყურება მამა პეტრეს მიერ ამ ინტერვიუს დამაბოლოებელი წინადადებაც:

„ამიტომ საპატრიარქოს, სასულიერო პირებს ყველაზე მეტად ხელეწიფებათ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა; ოღონდ, რა თქმა უნდა, სარწმუნოების ყველა ინტერესისა და უფლების დაცვის ფარგლებში".

დასასრულ, ეპილოგში (მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, მამა პეტრემ და ბევრმა თქვენგანმა ეს იცის) კიდევ ერთხელ მინდა დავამოწმო ეკლესიური სწავლების ორი გამორჩეული მაგალითი მამათმავლობის უდიდეს ცოდვად დადასტურების შესახებ:

რუის-ურბნისის ძეგლისწერა:

„მრავალგზის, მრავალი მოდგმის მიერ მრავალი და ურიცხვი ცოდვა ყოფილა ჩადენილი, როგორიცაა: მტრობა, შური, სიძულვილი, კაცისკვლა, მრუშობა, ცრუფიცობა, ბოლოს ყოველი ბოროტების საწყისი — კერპთმსახურება და თაყვანისცემის გადატანა დამბადებლიდან დაბადებულთა მიმართ. მაგრამ არც ერთი ამათგანის გამო არ აღელვებულა აუღელვებელი ღმერთი, როგორც თვითონ უთხრა აბრაამს: "სოდომისა და გომორის ღაღადება მოვიდა ჩემამდე და ჩამოვედი სანახავად, არის თუ არა მათი ღაღადებისამებრ მათი საქმეები" (შდრ. დაბ. 18, 20-21)."

წმ. იოანე ოქროპირი:

„სოდომია უფრო საშინელია, ვიდრე მრუშობა, რომელიც მართალია უკანონოა, მაგრამ ბუნებრივია, მამათმავლობა კი უსჯულოებაცაა და ამავე დროს, ბუნების წინააღმდეგ მიმართული ცოდვაც. რომ არ ყოფილიყო გეენა, მაშინ მამათმავლობა იქნებოდა ყველაზე დიდი სასჯელი... უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი სიბილწით ცხოვრება. მკვლელი სულსა და ხორცს გაჰყრის ერთმანეთისგან, მამათმავალი კი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც ამ უსჯულოებას შეედრება და მასში მყოფნი რომ ამ ცოდვის სიმძიმეს აცნობიერებდნენ, ამ სისაძაგლეში ჩავარდნას მრავალგზის სიკვდილს არჩევდნენ."

და, ბოლოს, მამა პეტრე, შემინდეთ, კვლავ გავკადნიერდები (ვნახე რა, ამ ყველაფერთან ერთად, თქვენი ლამაზი ფოტოები, ყელყელაობით და ყაყაჩოებში ჩამუხლული) და ასე მოგმართავთ:

მამა პეტრე, თქვენ თქვენ სულიერ გარეგნობას მიხედეთ და ეს უმჯობესი იქნება ჩვენთვის, თქვენთვისაც და ყველასთვისაც.

ქრისტესმიერი სიყვარულით მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი,
გურამ ფალავანდიშვილი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1922 წელს გამოცემული დეკრეტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკას ჩრდილოეთ კავკასიაში, მახაჭყალასა და ასტრახანს შორის მდებარე ნოღაის კასპიისპირა სტეპებში მუდმივი სარგებლობით გადაეცა 740 000 ჰექტარი მიწის ფართობი.**

# სტალინი და ყიზლარის ზამთრის საძოვრები

**აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ოდითგანვე მეცხვარეობით იყო დაკავებული. სახნავ-სათიბი მიწების სიმცირის გამო მთის მოსახლეობას ყოველთვის უჭირდა ზამთრის პერიოდში ცხვრის გამოკვება, რის გამოც ქართველი კაცი ცდილობდა, ცხვარი მთიდან გაეყვანა უთოვლო და შედარებით თბილ კლიმატურ პირობებში, ცხვრელებს თვითონვე რომ გამოეკვებათ თავი. კახეთის ბარის მოსახლეობამ ცხვარს შირაქისა და ელდარის შედარებით თბილი ადგილები დაუთმო საძოვრებად, მაგრამ მთის რაიონები, ცხვრის ზამთარში გამოკვების თვალსაზრისით, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ცხვართან ერთად თვითგადარჩენისთვის მეცხვარეც იბრძოდა და ეს ბრძოლა ხშირად აღემატებოდა ფრონტის წინა ხაზზე გასული მეომრების ბრძოლას.**



მეომრებს ბრძოლის ველზე მეთაური ჰყავთ, აქვთ იარაღი, ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა; მეცხვარე კი ყოველგვარი დახმარების გარეშე ებრძვის ბუნებას, ნადირს, ყაჩაღს. მეცხვარის ყოფა ხშირად არის გაუსაძლისი. ქვემოთ ფაქტებით გიამბობთ მათ რთულ ცხოვრებაზე, მაგრამ ჯერ მინდა, გითხრათ, რამდენი ბრძოლა და სისხლის გაღება დასჭირდა ქართველ კაცს გადაელახა კავკასიონის ქედი და თავისი მკლავით, თავისი სისხლით სხვის ქვეყანაში, სხვა ხალხში ადგილი დაემკვიდრებინა.

**ყიზლარში ქართველი მეცხვარის გმირობის აღწერა შემთხვევითი „მწერლუკას“ ხვედრი არ არის. ყიზლარი ქართველი კაცისათვის უცხო მიწაზე მოგებული დიდგორია, მარტყოფი და ტაშისკარია... და ვინ არის ამ ურთულესი და უგრძესი ომების მთავარსარდალი და გენერალური შტაბის უფროსი? — მეცხვარე, ქართველი მეცხვარე თავისი თუშური ქუდითა და კომბლით ხელში.**

მეცხვარე **სეთურიძე** მიყვებოდა: „უკვე 57-ედ ჩამოვედი წელს ყიზლარში. თუ გავითვალისწინებთ, რომ იქეთ და აქეთ, საქართველოში წასვლა-წამოსვლას სჭირდება 1700 კილომეტრის გავლა და, თუ ამ 1700-ს 57 წელზე გავამრავლებთ, გამოდის, რომ მხოლოდ ყიზლარში ჩასვლა-ჩამოსვლით 100 000 კილომეტრზე მეტი მაქვს გავლილი. ამას დაუმატეთ ამ ხნის განმავლობაში ულოგინობა, უძილობა და ათასგვარი ხიფათი გზაზე, — აი ასეთია მეცხვარის ცხოვრება“.

გიყვებით იმას, რაც მინახავს და გამომიცდია, მაგრამ არც ის იქნება ინტერესმოკლებული, რაც არ მინახავს...

ბათუმის ციხის საკანში **სტალინთან** ერთად პოლიტპატიმარი **ელიბო ჩოფიკაშვილიც** იყო გამოკეტილი. მოხევე კაცს ცხვარ-მეცხვარეობაზე აქტიური თემა არ აქვს. სტალინს თანამესაკნე ელიბო დაწვრილებით უყვებოდა მთაში თუ ბარში ცხვარში გატარებული დღეების ქრონიკებს:

„საზაფხულო იალაღებზე წასულ ფარებში გარკვეულ განცალკევებულად მდგარი გოლიათი ვერძები და დუმადასქელებული დედალი ცხვრები იალაღებზე გაილაღებენ და ერთმანეთშიც აირევიან. სწორედ ამ პერიოდში შედის მეცხვარეც თვეობით მიტოვებულ თავის ოჯახში და, მსგავსად იმ გოლიათი ვერძებისა, ვეფხვი მეცხვარეც მის გასაკეთებელ საქმეს აკეთებს თავის ლოგინში, ამიტომ არის, რომ ვაჟკაცების დოლიც და ცხვრის ფარებში დოლიც მთასა თუ ბარში თებერვალ-მარტში იწყება და აპრილში მთავრდება. სულ სხვა ამბავია ნაბიჭვარი ბატკანი, რომელიც საეჭვო პირობებშია დაბადებული. ყიზლარში ამბავი ჩამოვიდა, ბინაში მცხოვრები შვიდი მეცხვარის მეუღლეებიდან ერთი ცუდ საქმეზე დადისო (ბოზობს). ექვსმა მეცხვარემ გადაწყვიტა ხინკლის მოხარშვა და ერთ-ერთ ხინკალში საცვლიდან აწყვეტილი ღილის ჩადება. თანაც, გამოაცხადეს, რომ, ვისაც ღილიანი ხინკალი შეხვდება, იმისი ცოლი ცუდ გზას ადგას, ამიტომ ოჯახი უნდა მოინახულოს და ცოლს მიხედოსო. ექვსმა მეცხვარემ იცის, რომ ის ღილიანი ხინკალი მეშვიდეს უნდა არგუნონ, რათა აიძულონ, სახლში წავიდეს და ცოლთან ურთიერთობა გაარკვიოს. ეჭვმიტანილ მეცხვარეს ღილიანი ხინკალი კი არგუნეს, მაგრამ მეცხვარემ არ გათქვა, რომ ეს ხინკალი მას ერგო და ღილიანად გადაყლაპა, გადაყლაპა არა მხოლოდ ღილი, არამედ სირცხვილიც“.

არ ვიცი, მოსწონდა თუ არა სტალინს ეს მონათხრობი, მაგრამ ელიბო განაგრძობდა:

„როდესაც ცხვარი მთიდან ყიზლარისაკენ მიგვყავს, უნდა გავიაროთ ოსეთი, რუსეთი, ჩეჩნეთი, ყალმუხეთი. კასპიის ზღვამდე გადასარეკი ტრასა 700 კილომეტრზე მეტია, ჩვენ უსაფრთხოდ ერთი კილომეტრის გავლაც არ შეგვიძლია, გზაზე ცხენოსანთა შეიარაღებული ბანდები გვხვდებიან. მათ ხელში გრძელი თოკის გორგალი უჭირავთ. ფარაში თოკის გორგალს ოსტატურად გასტყორცნიან, მეორე მხარეს მდგომი თოკის ბოლოს ხელში იჭერს და ნახევარ ფარას მოსწყვეტენ, შემდეგ კი იწყება სროლა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფარას გაყოლილი შვიდი მეცხვარიდან შვიდივე დაუხოცავთ. ეს ერთ და ორ წელს კი არა, ასეულობით წელია, ასე ხდება. სხვა შემთხვევაში ცხვრის გადასარეკ ტრასებზე თხრიან ორმოებს, რომლებსაც ზემოდან ძეძვსა და ბალახს აყრიან. ცხვარი ზედ გავლისას შიგ ვარდება, მეცხვარე კი ამას ვერ ამჩნევს, ამიტომ მეცხვარეებს უამრავი დანაკლისი აქვთ.

ქართველი მეცხვარეები შეუიარაღებლები არიან, ისინი მხოლოდ კომბლებითა და ხანჯლებით ებრძვიან კბილებამდე შეიარაღებულ ბანდებს. თუ დღემდე ნოღაის ველები შენარჩუნებული გვაქვს, ეს ხდება ქართველი მეცხვარის სისხლის ფასად“.

ამ და სხვა მაგალითების თხრობაში ბევრი უძილო ღამე გაუტარებიათ თანამესაკნეებს.

ბრესტ-ლიტოვსკიდან (სადაც სტალინი მეთვალყურედ იყო მივლინებული ლენინის მიერ) სტალინი საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ უკან ბრუნდებოდა, რომ გზად გუდაურში შეჩერდა — „ფოშტის“ შენობაში, სადაც ოდესღაც **ილია ჭავჭავაძემაც** ღამე გაათია. სწორედ აქ იცვლებოდა ფაეტონში შესაბმელი ცხენებიც.

სტალინი მასპინძელს გამოელაპარაკა და, როდესაც შეიტყო, მოხევე იყო, სიტყვა ელიბო ჩოფიკაშვილზე ჩამოუგდო და მისი ამბავი იკითხა. მასპინძელმა სტალინს აცნობა, რომ ელიბო ყაზბეგში იყო, მისივე თხოვნით „ფოშტის“ გამგემ წინასწარვე შეატყობინა ელიბოს, რომ უცხო სტუმარს, რომელიც ყაზბეგისკენ მიემართება, მისი ნახვა სურს. სტალინი და ელიბო ერთმანეთს ხევში შეხვდნენ და მასპინძელმა ვლადიკავკაზამდე მეგზურობაც შესთავაზა სტუმარს. სტალინმა სხვა საკითხებთან ერთად მეცხვარეობის მდგომარეობაც გამოკითხა და ელიბოსგან კიდევ უფრო მძიმე ამბები შეიტყო. გზაზე სტალინს ტიფი შეეყარა, რის გამოც ძალზე გართულდა როგორც მისი მოგზაურობა, ასევე ზოგიერთი საკითხის სწრაფად მოგვარებაც. კავკასიაში შექმნილმა რთულმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ და კუთხურმა დაპირისპირებებმა შექმნა იმის აუცილებლობა, რომ სახკომსაბჭოში ჩამოყალიბდა კავკასიის მიწათმოწყობის სახელმწიფო საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარეობაც ერთპიროვნულად კავკასიელ სტალინს დაეკისრა. **1922 წელს გამოცემული დეკრეტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკას ჩრდილოეთ კავკასიაში, მახაჭყალასა და ასტრახანს შორის მდებარე ნოღაის კასპიისპირა სტეპებში, მუდმივი სარგებლობით გადაეცა 740 000 ჰექტარი მიწის ფართობი.**

დეკრეტის უგულებელყოფა არავის შეეძლო და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში, თუმცა ის რუკაზე არასოდეს ყოფილა მონიშნული საქართველოს ტერიტორიად.

როგორც ყველა საკითხს, სტალინი დეტალებამდე ჩაუღრმავდა ქვეყნის მიწათსარგებლობის საკითხსაც. და, **როდესაც სტალინის ყურს მისწვდა, რომ საქართველოდან ნოღაის ველებზე გადასასვლელ ტრასებზე კვლავ ძალმომრეობა ხდებოდა, 1940 წლის 5 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს №2005 დადგენილებით, დაკანონდა, რომ საქართველოს სსრ-ს ყაზბეგის რაიონის საზღვრიდან (დარიალის ხეობა) კასპიის ზღვამდე გადასარეკ ტრასაზე არსებული მიწის ნაკვეთი — 49 000 ჰექტარი, მასზე განლაგებული არტეზიული ჭებით, დასასვენებელი მოედნებით, ცხვრის დასაწყურებელი ადგილებითა და კაპიტალური თუ დროებითი ნაგებობებით სათანადო ინვენტარით რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საკუთრებიდან მიეყიდოს საქართველოს სსრ-ს, რომლის სანაცვლოდაც მყიდველმა გამყიდველს უნდა გადაუხადოს 200 000 მანეთი.** დადგენილებაზე ხელს აწერს **მოლოტოვი.**

ასე აღმოჩნდა საქართველოს საკუთრებაში არა მხოლოდ 740 000 ჰექტარი საძოვარი, არამედ საძოვრებამდე მისასვლელი პირველხარისხოვანი სახნავ-სათესი ფართობი — 49 000 ჰექტარი, რომელიც მდებარეობდა საბჭოთა კავშირის 4 რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

**1953 წელს ყიზლარის საძოვრებზე ცა ჩამოიქცა და ტრაგედია დატრიალდა. აღელვებულმა კასპიის ზღვამ საძოვრებს შეუტია, რასაც თან დაერთო გაუგონარი თოვლი და ყინვები. სტიქიურმა უბედურებამ 2 მილი-** ▶

## პოროშენკო: მოკალით ადგილზე!
## ანუ ნულოვანი ტოლერანტობა უკრაინულად

**უკრაინაში სამართალდამცავ ორგანოებს შეეძლებათ, კონტრაბანდისტებს გაუფრთხილებლად გაუხსნან ცეცხლი და ადგილზე მოკლან. უკრაინის პირველი პირის გადაწყვეტილებით, ყველა იარაღიანი სამოქალაქო პირი ტერორისტს გაუტოლდება.**

„გაიცემა ბრძანება კონტრაბანდისტების ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ, გარდა ამისა, ქუჩაში ავტომატით ან ტყვიამფრქვევით გამოსული ყველა პირი, რომლებიც სახელმწიფოს სამართალდამცავი და შეიარაღებული უწყების თანამშრომელი არ არიან, შეფასდება ტერორისტად და სამართალდამცავები ისე მოექცევიან, როგორც ტერორისტს“, — განაცხადა პოროშენკომ ტელეარხ „112 უკრაინა“-ს ეთერში.



**მოიყარა რა ერთ ხელში თავი ყველა ძალაუფლებამ, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე სტალინმა რამდენიმე დივიზია შიშველი ხელებით ბამიდან გადმოტანილი რკინიგზის რელსებს შეუსია და დღე და ღამე მუშაობით ხუთ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული ეშელონები კასპიის ზღვის ნაპირებისკენ დაიძრა. სტალინის გენიით შექმნილი მახაჭყალა-ასტრახანის სარკინიგზო მაგისტრალი რომ არა, გროზნოსა და ბაქოს ნავთობსაბადოებს ვერაფერი გადაარჩენდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ონამდე ცხვარი შეიწირა. მეცხვარეები, რომლებმაც მილიონობით ცხვარი ჩარეკეს ყიზლარის საძოვრებზე, შინ მხოლოდ კომბლებით დაბრუნდნენ.**

**მეტი საბაბი რა უნდოდა ქართველთმოძულე ხრუშჩოვს და მან საგანგებოდ მოწვეულ პარტიულ ფორუმზე განაცხადა, რომ სტალინი დამპყრობი და მოღალატე იყო, ამის დამადასტურებელ მაგალითად კი საქართველოს მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში 740 000 ჰექტარი მიწის „დაპყრობა" მოიყვანა. იქვე იქნა გამოტანილი დადგენილება, რომ საქართველოს ჩამორთმეოდა სტალინის მიერ უკანონოდ ნაჩუქარი ნოღაის ველის მიწები.**

უამრავი ფაქტის მოყვანა გახდა საჭირო, დაემტკიცებინათ ხრუშჩოვისთვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ექვს რაიონს არ შეუძლია არსებობა ყიზლარის გარეშე. ხრუშჩოვის ნება ვერაფერმა გატეხა და ბოლოს მაინც იქამდე მივიდა, რომ საქართველოს ჩამოართვა 400 000 ჰექტარი საძოვარი და დარჩენილი 340 000 ჰექტარი 20 წლის ვადით, 1974 წლამდე, დროებით სარგებლობაში დაუტოვა ჩვენს ქვეყანას. ამას მოჰყვა ყიზლარით მოსარგებლე ქართული რაიონების შემცირებაც და ის 6-დან 5 რაიონამდე შემცირდა — ახმეტის რაიონი აღარ იყო ყიზლარით მოსარგებლე.

ახლოვდებოდა 1974 წელი, დროებით სარგებლობაში დატოვებულ ზამთრის საძოვრების ექსპლუატაციას, რა თქმა უნდა, ქართველები ეწეოდნენ, მაგრამ არავინ ფიქრობდა მის პერსპექტივაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცხვარ-მეცხვარეს ყიზლარში მზრუნველობა არასოდეს მოჰკლებია.

1970 წლიდან ყიზლარში არავითარი კაპიტალური დაბანდება აღარ განხორციელებულა, მეცხვარეობაზე საერთო გულაცრუება დაიწყო.

1972 წელს რესპუბლიკაში ხელისუფლების შეცვლამ და ქვეყნის სათავეში შევარდნაძის მოსვლამ ბევრი რამ შეცვალა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშნით. ამის გარჩევას აქ არ ვაპირებ.

1974 წელს გაზაფხულზე ყიზლარის საძოვრები **ედუარდ შევარდნაძემ** მოინახულა. უკიდეგანო ველების დანახვამ მასზე შთაბეჭდილება მოახდინა და თბილისში დაბრუნებისთანავე შექმნა ყიზლარის გადარჩენისა და პერსპექტივის განსაზღვრის სამთავრობო მუშა ჯგუფი.

ჯგუფს ადგილზე უნდა განესაზღვრა ყიზლარის ადგილი საქართველოს მეცხოველეობის განვითარებაში და მისი აღორძინების კონკრეტული გეგმა მთავრობისთვის წარედგინა.

ყიზლარის განვითარებისთვის შექმნილი მუშა ჯგუფის წევრთა შერჩევის პერიოდში შევხვდი ბატონ **ნოდარ ჭითანავას**, რომელმაც თავისი ინიციატივით ყველაფერი გააკეთა, ვყოფილიყავი ამ კომისიის წევრი და შემდგომში — ჩვენ მიერ შექმნილი ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსი.

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე 5 ქართული რაიონი ზამთრობდა: ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი, ლენინგორი და ჯავა. შესაბამისად, ყიზლარში დაკავებული ჰქონდათ: ყაზბეგს — ლაპასი, დუშეთს — ბაჯიგანი, თიანეთს — სუხოკუმსკი, ლენინგორს — ზელიონი, ჯავას — „მეცამეტე ასახვევი".

ყიზლარში 2 მილიონზე მეტი ცხვარი იყრიდა თავს, დიდი რაოდენობით იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც. ზოგადი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ

საქართველოს სსრ. ქლუხორისა და ახალხევის რაიონები. 1945 წ.




**დღე-ღამეში თითქმის 150-200 ბატკანი იბადება ერთ ბრიგადაში, ცხვრების ნახევარზე მეტს ბატკნის გაჩენაში მეცხვარე ეხმარება. უნდა ნახოთ, როგორ მუშაობს ამ დროს მეცხვარე მშობიარე დედალ ცხვრებს შორის. ზოგიერთი გაგუდული ნაყოფი პირთან მიაქვს, სველ ნაყოფს ტუჩებზე ტუჩებს ადებს და ძლიერად ჩაბერავს, ფილტვები რომ გაუხსნას. ახალშობილიც ამოიკვნესებს და... სიცოცხლეც გაჩენილია. საძოვარზე გაყვანილი ცხვრების მიერ დაყრილი ბატკნები მეცხვარეს ხშირად უბით, ჩანთით, კისერზე შესმული, იღლიაში ამოდებული მოჰყავს — 5-6 ბატკნის თანხლებით დაღლილ-დაქანცული მიდის ბინაში**

ამ უზარმაზარ მასივზე, უნდა გითხრათ, რომ **აქ საქართველოს ცხვრის ფარებს თითქმის 1 მილიონი ბატკანი ემატებოდა ყოველწლიურად, დასაქმებული იყო 3 000-მდე კაცი.** ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა 1974 წელს ყიზლარის საძოვრების კიდევ 20 წლით დატოვება საქართველოს გამგებლობაში. უზარმაზარი პროექტი, რომელიც ერთპიროვნულად ედუარდ შევარდნაძის უშუალო მითითებითა და კონტროლით ხორციელდებოდა, მოიცავდა უდიდეს სამუშაოებს — სტეპის 20 000 ჰექტრის გასარწყავებას, მრავალწლიანი ბალახების უმაღლესი ტექნოლოგიებით თესვასა და სასუქების შეტანას, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი სადენების გაყვანას 700 კილომეტრზე, ყველა ფერმისა და ბინის ელექტროფიკაციას. კატეგორიულად აიკრძალა ნაკელის ცეცხლზე საჭმლის დამზადების პრაქტიკა, ყველა ბინას გაზით მომსახურეობას ვუწევდით, რისთვისაც დაბა კოჩუბეიში თხევადი გაზის ბაზაც შევქმენით.

**დაბა კოჩუბეიში ავაშენეთ მეცხვარეთა ქალაქი „ივერია" საავადმყოფოთი 100 საწოლზე, კულტურის სახლით, ფოსტა-ტელეგრაფით, ქართული სკოლითა და საბავშვო ბაღით, ხორცის გადამამუშავებელი კომბინატით, მუშათა სასადილოთი, სასტუმროთი, მუშამოსამსახურეთათვის საცხოვრებლი ბინებით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით, სასპორტო მოედნითა და სხვ.**



მოსკოვიდან ჩამოსული სპეციალური კომისია, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა საჩივრის საფუძველზე იკვლევდა დროებით სარგებლობაში მიცემულ მიწაზე კაპიტალური მშენებლობის წარმოების კანონიერებას, მივიდა დასკვნამდე, რომ ეშუამდგომლა საკავშირო მთავრობაში ქართული მხარისთვის ამ მიწების მუდმივ სარგებლობაში გადაცემაზე. საკავშირო მთავრობამ მოიწონა ჩვენ მიერ გაწეული მუშაობა, როგორც სტეპის გასარწყავება-გაკულტურების საქმეში, ასევე კულტურის იმ ცენტრების შექმნაში, რომლებსაც ვაშენებდით თვალუწვდენელი სტეპებისა და დასახლებულ ადგილებში.

ყიზლარში დოლი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პერიოდი იყო მეცხვარეეებისთვის. დაძაბული შრომა და დოლის პერიოდში ყოველთვის ავდარი ორმაგად ძაბავდა ვითარებას და იმატებდა ნერვიულობა. მეცხვარეები ამბობენ, რომ დოლის მიმდინარეობის პერიოდში, თუ ცხვრის ბინაზე მიხვალ, მეცხვარეს არც კი უნდა მიესალმო, რადგან პასუხის გაცემის დროსაც ვერ პოულობს. **დღე-ღამეში თითქმის 150-200 ბატკანი იბადება ერთ ბრიგადაში, ცხვრების ნახევარზე მეტს ბატკნის გაჩენაში მეცხვარე ეხმარება. უნდა ნახოთ, როგორ მუშაობს ამ დროს მეცხვარე მშობიარე დედალ ცხვრებს შორის. ზოგიერთი გაგუდული ნაყოფი პირთან მიაქვს, სველ ნაყოფს ტუჩებზე ტუჩებს ადებს და ძლიერად ჩაბერავს, ფილტვები რომ გაუხსნას. ახალშობილიც ამოიკვნესებს და... სიცოცხლეც გადარჩენილია.** საძოვარზე გაყვანილი ცხვრების მიერ დაყრილი ბატკნები მეცხვარეს ხშირად უბით, ჩანთით, კისერზე შესმული, იღლიაში ამოდებული მოჰყავს — 5-6 ბატკნის თანხლებით დაღლილ-დაქანცული მოდის ბინაში, მას ხომ მხოლოდ კავკასიური თუ მოხეური ჯიშის ნაგაზები ჰყავს თანამგზავრად და დამხმარედ. ასეთია მეცხვარის რთული გზა, რომელიც შრომის კლასიფიკაციაში ყინულოვან ოკეანეებში მომუშავე მეთევზეების შემდეგ მეორე ადგილზეა სირთულის მიხედვით, მეშახტეებისა კი — მეშვიდეზე.

ჩვენს მეცხვარეებს ახსოვდათ 1942-43 წლები, როდესაც მახაჭყალა-ასტრახანის რკინიგზას აშენებდნენ. ამ გზის მშენებლობის ისტორია ცალკე თემაა, მაგრამ აქაც შეიძლება ითქვას, რომ ეს სარკინიგზო მაგისტრალი სტალინის ბრძანებით შენდებოდა. და შენდებოდა შემდეგი გარემოებების გამო:

როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა ძალზე გართულდა და არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება იყო საჭირო, სტალინმა ბრძანება გასცა, აეყარათ ბაიკალ-ამურის მშენებარე რკინიგზა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოესროლათ. **მოიყარა რა თავი ერთ ხელში ყველა ძალაუფლებამ, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე სტალინმა რამდენიმე დივიზია შიშველი ხელებით ბამიდან გადმოტანილი რკინიგზის რელსებს შეუსია და დღე და ღამე მუშაობით ხუთ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული ეშელონები კასპიის ზღვის ნაპირებისკენ დაიძრა. სტალინის გენიით შექმნილი მახაჭყალა-ასტრახანის სარკინიგზო მაგისტრალი რომ არა, გროზნოსა და ბაქოს ნავთობსაბადოებს ვერაფერი გადაარჩენდა. მართალი იყო პოეტი, როცა ამბობდა:**

**„ყველგან სტალინის**
**სიბრძნე ანათებს**
**ყველგან ბელადის**
**მარჯვენა ვიცან".**

ყიზლარში დღემდე ახსოვთ ერთი საოცარი შემთხვევა:

„მეცამეტე ასახვევი", სადაც საძოვრები ლენინგორისა და ჯავის ცხვარ- მეცხვარეებს ეკავათ, სწორედ იმიტომ დაერქვა, რომ იმ ადგილზე გადიოდა ასტრახან-მახანჭყალის რკინიგზა. იმხანად კასპიისპირეთის სტეპისთვის უცხო ხილი იყო „რკინის რაში", რომელიც აღმა-დაღმა დაჰქროდა და მატარებლის ხმასა და სწრაფად ქროლვას ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული ცხვარი და მეცხვარე, რომ საძოვარზე ხმაურით მოახლოებულ ეშელონს ფარის მეთაურმა ვაცმა გადაურბინა. ცხვრის ფარა რისი ცხვრის ფარაა, მეთაურს ჩამორჩეს და, ვიდრე მატარებლის შემადგენლობა ფარის ადგილსამყოფელს მთლიანად გასცდებოდა, 1200 სული ცხვარი ჩაუვარდა მატარებელს ბორბლებში.

ყაზბეგის საძოვრებზე, კლდის კორწოხზე შეფენილმა ცხვრის ფარამ თვალი მოჰკრა, რომ მეთაურმა ვაცმა, რომელსაც ციცაბო კლდეზე ფეხი დაუცდა, ჰაერში შეიკუნტრუშა და ხევში ჩაიჩეხა. 300-მა სულმა ცხვარმაც კამარა შეკრა ჰაერში და ყველა კლდეზე გადაიჩეხა.

ასეთია ცხვარის ბუნება, იგი „ცხვარია", მაგრამ, თუ გაცხარდა, ცხარია.

მსოფლიო

## აშშ-მა და ირანმა ისტორიულ შეთანხმებას მოაწერეს ხელი

**ირანთან მოლაპარაკებებში მსოფლიო ექვსეულმა — აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა, რუსეთმა და გერმანიამ შეთანხმებას მიაღწიეს.** ირანი თანახმაა, მნიშვნელოვნად შეზღუდოს ბირთვული პროგრამა საერთაშორისო სანქციების გაუქმების სანაცვლოდ. როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, ამ შეთანხმებით ირანს ატომური ბომბისკენ მიმავალი ყველა გზა გადაეკეტა. ხოლო მისმა ირანელმა კოლეგამ ჰასან როუჰანიმ განაცხადა, რომ ირანმა მსოფლიოსთან ურთიერთობის ახალი თავი დაიწყო. მოლაპარაკებები ექვსეულსა და ირანს შორის 2006 წელს დაიწყო. ამ შეთანხმებას აშშ-სა და ირანის კონსერვატორები ეწინააღმდეგებიან. მისი წინააღმდეგია ირანიც, თუმცა ობამამ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ეს შეთანხმება ნდობაზე დაფუძნებული არ არის, არამედ შემოწმებაზე. მისივე თქმით, შეიქმნება ეფექტიანი მექანიზმი შეთანხმების პირობების განხორციელების შესამოწმებლად.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანა, რომელშიც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს და დიდი ზეიმითაც აღნიშნეს ეს „ღირსშესანიშნავი თარიღი“, ჩვენი ახალგაზრდობისთვის მისაბაძი სახელმწიფოა სიმდიდრით, ცივილიზაციის დონითა და ძლიერებით. ცუდ საქმეში მიბაძვა ყველაზე მეტად ეხალისება და ხელეწიფება ადამიანს. ამასთანავე, სოციალური უმწიფრობის გამო მოზარდმა თაობამ შეიძლება დაასკვნას (ძალიან დიდია ამის ალბათობა), რომ აშშ-ის წარმატებები და ცხოვრების მაღალი დონე სწორედ ანომალიური (პათოლოგიური) სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დამსახურებაა და სწორედ ისინი არიან მიბაძვის ღირსნი.**

# თქვენ რომ დაემუქრებით და თქვენი რომ შეეშინდება, ის ხალხი არ ვართ ჩვენ, თქვე ნუპაკო დემო(ტ)რაკებო!

**სათაურში გამოტანილი ტერმინი „დემო(ტ)რაკები“, ალბათ, ეხამუშა კიდეც ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილ ჩვენს მკითხველს, მაგრამ იმ მოვლენის დასახასიათებლად, რომელიც „დემოტრაკიის“ ცნებაში იგულისხმება, სხვა უფრო შესაფერისი ტერმინი არ მეგულება. იგი ქართულ მედიასივრცეში შესანიშნავმა პუბლიცისტებმა — დავით მხეიძემ და ბაკურ სვანიძემ შემოიტანეს და დაამკვიდრეს კიდეც. არ ვიცი, რომელმა მოიფიქრა იგი პირველად, რადგან ჩემთვის ფრიად პატივსაცემი გაზეთის ერთსა და იმავე ნომერშია დაბეჭდილი მათი სტატიები, რომლებშიც პირველად დაიწერა „დემოტრაკია“...**



აბა, მითხარით, რა შეიძლება ეწოდოს იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობასა და ზნეობრივ იდეოლოგიას, რომლის პრეზიდენტი კაცობრიობის წინაშე აცხადებს, ჩემი უმთავრესი მიზანი ერთნაირსქესიანთა ქორწინების („კაცი კაცთანა, კაცოო!“) დაკანონება იყო და მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ ეს მიზანი ჩემს სახელმწიფოში მიღწეულიაო. ის კი არ იყო ჩემი მიზანი, სიღატაკესა და შიმშილს შევჭიდებოდი, რომელიც ნახევარ მსოფლიოში მძვინვარებს, არამედ ის, კაცის კაცთან ჟიმაობა კანონიერ და ღირსეულ საქციელად ჩათვლილიყოო.

იმ ქვეყნის მეორე კაცმა, სახელმწიფო მდივანს რომ უწოდებენ, „დაგვაიმედა“: ეს ჩვენი მაგალითი სრულიად მსოფლიომ უნდა გაიზიაროს და ამაზე ჩვენ ვიზრუნებთო.

ჰოდა, თუ ეს არის დემოკრატია, მაშინ იმას რა ჰქვია, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში საბერძნეთში რომ დაამყარა **პერიკლემ**, მისი ცნობილი რეფორმების საშუალებით („დემოკრატია“ ხომ ბერძნული წარმომავლობის ტერმინია), ან მმართველობის რა ფორმა იყო ის, **ოლივერ კრომველმა** რომ დაამყარა ინგლისში თავისი პოლიტიკური ზეობის პირველ პერიოდში?

„დემოკრატია“ იყო ის, რაც იმ დიდმა კაცებმა უჩვენეს და გამოცდილებად დაუტოვეს კაცობრიობას, ხოლო **ის, რასაც ასე აგრესიულად და ზღვარგადასული აქტიურობით ამკვიდრებს დასავლური ლიბერასტული იდეოლოგია, სწორედაც რომ „დემოტრაკიაა“.**

რა ზუსტი განსაზღვრება მოუძებნეს ამ კარგი დედმამიშვილებმა იმ ჭირსა და ბელუთურს, რომელიც ასე გამალებით მოიწევს ჩვენკენ.

მოიწევს კი არა, მოსულიც არის! დაკანონებაღა აკლია მხოლოდ! დაკანონებას რაღა შეუშლის ხელს, ნეტავ? ის ქართული გულარხეინობა ხომ არა, რომელიც ათადან-ბაბადან მოგვდგამს; პედარასტები ცოტანი არიან, უმრავლესობა ჩვენ ვართ და რას გვიზამენო, — ფიქრობენ გულარხეინი ქართველები.

ჰო, აბა! კანონის სახით განა ცოტა რამე მოუხვევიათ ჩვენთვის თავზე ისეთი, უმრავლესობას რომ არ უნდოდა?! მოგვახვევენ ახლაც, თუ ფხიზლად არ ვიქნებით, რადგან ჩათლახები ცოტანი კი არიან, მაგრამ გაერთიანებულნი, ზნეობრივი ადამიანები კი — გათითოკაცებულნი. **ისინი ერთი ძუძუთი არიან გამოზრდილნი, ახლაც იმ გამზრდელის ძუძუ უდევთ პირში, ამიტომ არიან აგრესიულად სოლიდარულები დემოტრაკიის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში.**

ბოლო ხანს, საყოველთაო ზნეობრივი თუ ეკონომიკური გაჭირვების ჟამს, ერთი სასიკეთო ამბავი ჩვენშიც მოხდა, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“: **ქართველმა დემოტრაკებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღბები და ვიცით, უკვე ვინ ვინ არის! როცა იცი, საფრთხე საიდან მოდის, ის უკვე, თუ ბრიყვი არ ხარ, ისე საშიში აღარ არის.**

**ქართველი დემოტრაკების ლუსტრაცია გამოიწვია აშშ-ში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ ყველა შტატში და ამ საკითხზე საქართველოში გაკეთებულმა განცხადებებმა, რომ, „სტრატეგიული პარტნიორობის“ მიუხედავად, ამერიკის პედარასტული გამოცდილების ჩვენს ქვეყანაში გადმონერგვას არ დავუშვებთ.** რა კანონებიც უნდა მიიღოს აშშ-ის კონგრესმა და რა გადაწყვეტილებებიც უნდა გამოიტანოს მათმა უზენაესმა სასამართლომ, ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენა არ არის, რადგან იგი ბუნების კანონების საწინააღმდეგოა, ანომალიაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰომოსექსუალი მაინცდამაინც უნდა დავსაჯოთ. არა! მას უნდა დავეხმაროთ, თუ საამისო სურვილი აქვს, თუ არადა, — ჩუმად, სხვათა თვალთაგან შორს, რაც უნდა, ის ქნას, მხოლოდ ძალადობისა და შეცდენის გარეშე!

ეს არის ცივილიზებული, ჰუმანური, დემოკრატიის ერთგული ადამიანის კრედო, მაგრამ ქართველი დემოტრაკები ასე როდი ფიქრობენ...

აი, მაგალითი იმისა, ძია სემის ძღვენით გათავხედებული ქართველი დემოტრაკები რას ბედავენ, როგორ ემუქრებიან მსახიობ **მიშა გომიაშვილს**, რომელიც, ბევრისგან განსხვავებით, საჯაროდ გამოხატავს თავის კაცურ პოზიციას. **„მოვუწოდებთ ყველა დამსაქმებელს,** — წერენ დემოტრაკები, — **დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბატონ გომიაშვილთან ყოველგვარი თანამშრომლობა იქამდე, ვიდრე ის არ გააცნობიერებს ლგბტ კოლეგების წინააღმდეგ გადმონთხეული სიძულვილის მავნებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზრუნებთ იმაზე, რომ მისი ნებისმიერი დამსაქმებლისათვის ამიერიდან შეუძლებელი გახდეს ჰომოფობი დასის წევრებთან ერთად „გარყვნილ დასავლეთში“ გასტროლებით ტკბობა. ამიერიდან, ბატონ გომიაშვილსაც შეეძლება მსხვერპლად წარმოაჩინოს თავი“.**

**ვისი იმედით იმუქრებიან? გაღმელი ძიების იმედით, არა?** აბა, ჩვენ ვინღა ვგდივართ და გვაქვს კი უფლება არსებობისა, თუ ეს ვიგინდარები და უცხოქვეყნელთა ძღვენჭამიები, ჩვენს შანტაჟირებას ცდილობენ. მიშა გომიაშვილისა და სხვა მისნაირთა მიმართ გამოთქმული მუქარა ყველა ჩვენგანისაკენ მიმართული მუქარაა და ამას უნდა შევეგუოთ? არა! მათ მე ასე შევუძახებ, დათასავით: **თქვენ რომ დაემუქრებით და თქვენი რომ შეეშინდება, ის ხალხი არა ვართ ჩვენ, თქვე ნუპაკო დემოტრაკებო!**

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ძღვენიჭამია (გრანტიყლაპია) არასამთავრობო ორგანიზაციებთან (რომლებსაც მე ერის სხეულზე მისეულ მკბენარებას ვუწოდებ) ერთად, ჩვენში ისეთებიც არიან, რომლებიც თითქოს ეროვნულ ინტერესებს იცავენ და ირიბად დემოტრაკიასაც ეკეკლუცებიან. აბა, რა განცხადებაა ეს, რომელსაც ბევრი ჩვენი „წესიერი“ პარლამენტარი და პარლამენტს გარეთ მყოფი მოღვაწე აკეთებს: „არა, ჩვენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მხარს არ დავუჭერთ. ჩვენი საზოგადოება ჯერ ამისათვის მზად ►

**გარკვეული ძალები ფულს არ იშურებენ ე. წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდისა და გავლენის აგენტების დასაფინანსებლად. ჩვენში (ალბათ, სხვაგანაც) ფულზე დახარბებული ადამიანების მონახვა ძნელი როდია — როგორც «დათა თუთაშხიაში» ამბობენ, «ხუთ მანეთად ფოთის პოლიცმაისტერიც კი გაიხდის». ამ საყოველთაო ანტიადამიანური კამპანიის მიზანი ცხადია: უნდა შემცირდეს მსოფლიოს მოსახლეობა, უფრო კონკრეტულად კი, შეწყდეს გამრავლების ტემპი. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ეს გზა მილიარდიან ერებს თუ სასიკეთოდ წაადგებათ, ჩვენთვის და ჩვენნაირებისთვის ხომ დამღუპველია?!**

## «ქართუ» სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად დამატებით 8 მილიონ ლარს ჩარიცხავს

**ფონდი „ქართუ“ სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად დამატებით 8 მილიონ ლარს ჩარიცხავს. ამ ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ ავრცელებს.**

25 ივნისს „ბანკ ქართუმ“ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილ ანგარიშზე 2 250 000 ლარი გადარიცხა.

„საჯაროდ განვაცხადე და კიდევ გავიმეორებ, ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, მოიძიოს რესურსები, რათა მაქსიმალურად დაფაროს ის ხარჯები, რომლებიც სტიქიამ მოგვიტანა. რასაც ვერ შეძლებენ, ჩათვალეთ, რომ ყველა თანხა აქვთ. ასეთი დაზღვევა არსებობს ჩემი სახით. რასაც ვერ მოიძიებს ხელისუფლება, დავამატებ მე“, — თქვა ივანიშვილმა 18 ივნისს.

15 ივნისს ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის მზად არის, თბილისს ახალი ზოოპარკის აშენებაში დაეხმაროს.



## ანომალიური სქესობრივი ორიენტაციის ადამიანების უფლებათა დამცველი ორგანიზაციები რომ არსებობს, ჯანმრთელობის ანომალიური მდგომარეობის მქონე ადამიანთა უფლებებს რატომ არავინ იცავს? რატომ არავინ გამოდის საწინააღმდეგო აქციებით იმ შეზღუდვების აღსაკვეთად, რომლებიც დაწესებულია ჭლექიანების, ტიფიანების, ქოლერიანების, მუნიანების და ა. შ. წინააღმდეგ? თუმცა რა გასაკვირია, როდესაც ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა ნუსხიდან ამოიღეს, ხოლო იმ ნუსხაში შეიტანეს... სიყვარული... ჰო, ჰო, სიყვარული!

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არ არის“-ო, ჯერო! ანუ რაო? **მე იმიტომ არ დავუჭერ მხარს, რომ ჩვენი საზოგადოება საამისოდ არ არისო მზად, თორემ, მე კაი ხანია, მომწიფებული ვარო.** დემოტრაკიის მიმდევრობა სხვა არაფერია, პატივცემულო დეპუტატებო და სხვებო! ამას წინათ სრულიად სამართლიანად გირჩიათ ბატონმა თამაზ წივწივაძემ: **„თუ შეიძლება, ტრაკი დააყენეთ, ძვირფასო დეპუტატებო, ოღონდ კენჭისყრაზე კი არა... შარვალში!“** დაუჯერეთ ამ რჩევას, თორემ ერთხელაც იქნება, საზოგადოება გაგაგებინებთ, როგორი მოუმზადებელია იგი.

ნამდვილად ღვთის რისხვაა ის, რაც საზოგადოებას თავს დაატყდა ბოლო ხანს ჩვენშიც და სხვაგანაც. აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს გრიპის სახადივით გავრცელებულ სოციალურ-პოლიტიკურ სიბრიყვეს, რომლითაც ისინიც კი დასნებოვნდნენ, ჭკუის საკითხავ კაცებად რომ მიაჩნია ზოგიერთს დღესაც.

ამას წინათ ერთ-ერთი პოპულარული ქართული გაზეთი თავის მუდმივ ექსპერტ-ფილოსოფოსს საგაზეთო ინტერვიუში ეკითხება, **აშშ-ში ერთნაირ სქესიანთა ქორწინება რომ დააკანონეს, ამან ჩვენში ანტიამერიკული განწყობების გააქტიურება გამოიწვია და ეს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობაზე ხომ არ იმოქმედებსო? — კიო, — იმ „ფილოსოფოსმა“, ეს პუტინისტური ძალების გააქტიურებააო. რუსული პროპაგანდა, რა თქმა უნდა, სათავისოდ გამოიყენებს აშშ-ში ერთნაირ სქესიანთა ქორწინების დაკანონებისადმი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ტრადიციონალისტურ განწობებსო.** ეს აზრი იყო მის ნათქვამში, რომელიც ბრჭყალებში იმიტომ არ ჩავსვი, რომ მეტი საქმე არ მაქვს, ახლა მისი ნაბჟუტურევი სიტყვასიტყვით გადმოვცე.

მაინც რა მინდაო, იმ ფილოსოფოსმა, როგორია ჩემი ანალიტიკური ჭკუის შემფასებლური დასკვნაო? **როგორი და, თუ კაცის კაცთან ჟიმაობა ნორმალურ საქციელად არ მიგაჩნია, მაშინ პუტინისტური პროპაგანდის ტყვეობაში ხარ მოქცეულიო, ხოლო თუ ამ სიბინძურის დაკანონებას ტაშისკვრით ხვდები და იმასაც ნატრობ, ახ, ნეტავი ეს ხმა ტკბილი, გამაგონა ჩემს მამულშიო, მაშინ ხარ დემოკრატი და, მაშასადამე, ევროპელიო.**

**ეს ჩემის ფილოსოფოსი იმას ვერ ხვდება, რომ კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციები ადამიანის გულსა და გონებაში გადის და არა ტრაკზე?** **ხვდება, ალბათ, მაგრამ ისიც უცხოური ძღვენის ჭამაზეა დაგეშილი და ამიტომაც უკმევს გუნდრუკს დემოტრაკიას.** ისიც იცის, ალბათ, რომ უზნეობა, რომელმაც დასავლური სამყარო მოიცვა, წარმავალია, უკვალოდ გადაშენდება და თან გაიყოლებს მოუსავლეთში თავის ერთგულ მიმდევრებს, როგორც ეს რომსა და ბიზანტიას დაემართა, ბევრ სხვასთან ერთად, მაგრამ ამ დემოტრაკიის აქაურ თუთიყუშს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია და მისი „ფილოსოფიური“ თავი იმაზე ველარ ფიქრობს, ეს კვერცხი ქათმის არის თუ ბუსი. ისე არჩევანზე თუ მიდგა საქმე, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დემოტრაკები ბუს კვერცხებს ამჯობინებენ ქათმისას.

ღმერთი კაცს რომ გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლი-



> **აფრიკის ერთ-ერთი განვითარებადი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ერთნაირსქესიანთა ქორწინების, ანუ კაცთან კაცის ჟიმაობის დაკანონებით აღფრთოვანებულ უგანვითარებულესი და უძლიერესი სახელმწიფოს პრეზიდენტს წერილობით, მსოფლიოს გასაგონად, მიმართა, ცოლად გამომყევიო, ანუ შენი გაჟიმვა მწადიაო.**
> **ამ სარკასტული ხუმრობით მან თავისი და თვისტომთა კაცობა და ვაჟკაცობა უჩვენა მსოფლიოს, ხოლო ევროპის უგანვითარებულეს და დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოში რაინდის წოდება და ლორდის ტიტული მიანიჭეს კაცს, რომელმაც კაცი შეირთო ცოლად (თუ ქმრად)**

სო, — ნათქვამია. დღევანდელ სამყაროში ისე აირია ყველაფერი, ისე აითქვიფა ერთმანეთში ზოგადსაკაცობრიო და საბაზრო ღირებულებები, რომ აგერ ნახსენები ანდაზის ჭეშმარიტებაში ეჭვს ველარ შეიტანს კაცი. **აფრიკის ერთ-ერთი განვითარებადი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ერთნაირ სქესიანთა ქორწინების, ანუ კაცთან კაცის ჟიმაობის დაკანონებით აღფრთოვანებული უგანვითარებულესი და უძლიერესი სახელმწიფოს პრეზიდენტს წერილობით, მსოფლიოს გასაგონად, მიმართა ცოლად გამომყევიო, ანუ შენი გაჟიმვა მწადიაო. ამ სარკასტული ხუმრობით მან თავისი და თავის თვისტომთა კაცობა და ვაჟკაცობა უჩვენა მსოფლიოს, ხოლო ევროპის უგანვითარებულესი და დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოში რაინდის წოდება და ლორდის ტიტული მიანიჭეს კაცს, რომელმაც კაცი შეირთო ცოლად (თუ ქმრად).** მართალია ის კაცი — ქმარი თუ ცოლი, კარგად მღერის, მაგრამ ამისათვის არსებობს მაღალი ჰონორარები და მქუხარე აპლოდისმენტები, რაინდობა კი არაფერ შუაშია. ამ ქვეყნის დიდი შვილები — **რიჩარდ ლომგული, ოლივერ კრომველი** ან **ადმირალი ნელსონი** რომ გაცოცხლდნენ, სამეფო ტახტს მისი ვერც ერთი მემკვიდრე ვერ შერჩებოდა. ასე იქნებოდა ეს, უეჭველად!

ერთნაირსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებს ჰომოფობებს (კაცთმოძულეებს!) უწოდებენ ეს ნაძირალა დემოტრაკები. როგორც ამას წინათ **თამაზ წივწივაძემ** მოსწრებულად იხუმრა, კაცის კაცთან ხახუნის შედეგად მხოლოდ ოფლის სუნი შეიძლება დადგეს, შთამომავლობა არასგზით გაჩნდებაო, ანუ ერთნაირსქესიანთა ქორწინება ერის გადაშენების გზააო. ვაი, თქვენს ახლანდელ და ყოფილ პატრონებს, ლგბტ-ს აპოლოგეტო ლიბერასტებო!

ანომალიური სქესობრივი ორიენტაციის ადამიანების უფლებათა დამცველი ორგანიზაციები რომ არსებობს, ჯანმრთელობის ანომალიური მდგომარეობის მქონე ადამიანთა უფლებებს რატომ არავინ იცავს? რატომ არავინ გამოდის საწინააღმდეგო აქციებით იმ შეზღუდვების აღსაკვეთად, რომლებიც დაწესებულია ჭლექიანების, ტიფიანების, ქოლერიანების, მუნიანების და ა. შ. წინააღმდეგ? თუმცა რა გასაკვირია, როდესაც ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა ნუსხიდან ამოიღეს, ხოლო იმ ნუსხაში შეიტანეს... სიყვარული... ჰო, ჰო, სიყვარული!

ეჰ, ადრე მაინც სცოდნოდათ ეს, ხომ ასცდებოდა იმდენ ჭირსა და ვაგლახს **ტარიელი**, არც **ოტელო** დაახრჩობდა მშვენიერ **დეზდემონას.** იგი ყოველგვარი პათეტიკის გარეშე იტყოდა: თუნდაც მთელი ვენეცია ყოფილიყო დეზდემონასთან, რა ჩემი ფეხები დამაკლდებოდაო ამით (შექსპირთან ბოდიში!). მაგრამ იმხანად გაბლატავებული არ იყვნენ დემოტრაკები და რა ექნათ!

შეატყობდა ჩვენი გაზეთის გონიერი მკითხველი, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ილინცური პასაჟისა, ეს წერილი სახუმაროდ არ დამიწერია, თუმცა ახლა ერთ-ორ სიტყვას ნამეტნავი სერიოზულობით ვიტყვი:

ძალიან რთული და სახიფათო ვითარებაა დღეს ჩვენში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის **ქვეყანა, რომელშიც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს და დიდი ზეიმითაც აღნიშნეს ეს „ღირსშესანიშნავი თარიღი“, ჩვენი ახალგზრდობისათვის მისაბაძი სახელმწიფოა სიმდიდრით, ცივილიზაციის დონითა და ძლიერებით. ცუდ საქმეში მიბაძვა ყველაზე მეტად ეხალისება და ხელეწიფება ადამიანს. ამასთანავე, სოციალური უმწიფრობის გამო, მოზარდმა თაობამ შეიძლება დაასკვნას (ძალიან დიდია ამის ალბათობა), რომ აშშ-ს წარმატებები და ცხოვრების მაღალი დონე სწორედ ანომალიური (პათოლოგიური) სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დამსახურებაა და სწორედ ისინი არიან მიბაძვის ღირსნი.** ვისაც ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში რაიმე გაეგება, ეცოდინება, რომ ჰომოსექსუალიზმი არა მხოლოდ თანდაყოლილი პათოლოგიური მდგომარეობაა, არამედ გარყვნილების შედეგიც არის, ანუ ინტოგენეზში შექმნილი თვისებაც შეიძლება იყოს. ამიტომ, ცხადია, რა რისკთანაც გვაქვს საქმე.

მეორე მიზეზი არის ის, რომ **გარკვეული ძალები ფულს არ იშურებენ ე. წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდისა და გავლენის აგენტების დასაფინანსებლად. ჩვენში (ალბათ, სხვაგანაც) ფულზე დახარბებული ადამიანების მონახვა ძნელი როდია — როგორც „დათა თუთაშხიაში“ ამბობენ, „ხუთ მანეთად ფოთის პოლიცმაისტერიც კი გაიხდის“.** ამ საყოველთაო ანტიადამიანური კამპანიის მიზანი ცხადია: **უნდა შემცირდეს მსოფლიოს მოსახლეობა, უფრო კონკრეტულად კი, შეწყდეს გამრავლების ტემპი. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ეს გზა მილიარდიან ერებს თუ სასიკეთოდ წაადგებათ, ჩვენთვის და ჩვენნაირებისთვის ხომ დამღუპველია?!** აცნობიერებენ ამას ჩვენი ლიბერასტები? უცხოური გრანტების ანუ ძღვენის ჭამას რომ მიეჩვევა კაცი, მერე ის ქვეყნის პერსპექტივებსა თუ უპერსპექტივობაზე ველარ იფიქრებს. არც ფიქრობენ, ხომ ხედავთ?!

მესამე მიზეზი არის ის, რომ რუსეთმა მიიღო კანონი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ასი წლით აკრძალვის შესახებ. კი მაგრამ, ეგ კანონი განა ჩვენს წისქვილზე არ ასხამს წყალს? — იკითხავს მავანი. ასხამს, მაგრამ გამოვიყენებთ მათ დასხმულ წყალს? **ჩვენი ხელისუფლება ხომ რუსეთთან უბრად არის საკუთარი უჭკუობისა და „გაღმელი პატრონების“ წაქეზებით, ანუ მუდამ ოპოზიციურ რეჟიმშია ამ დიდ მეზობელთან.** ჩვენი ოპოზიციონერობა კი ისეთია, ერთმა გურულმა რევოლუციონერმა რომ აუხსნა თავის ახალგაპოლიტიკოსებულ მეზობელს ერთ ქართულ სპექტაკლში: ახალგაპოლიტიკოსებული ეკითხება უფრო სტაჟიან პოლიტკოსს: ქე გვითხრეს, ჩვენ ოპოზიციაში ვართ იმათთანო, მარა, რაია მაი ოპოზიცია, თუ იცი შენ? — ოპოზიაციაში ყოფნა იგია, ისინი რო იტყვიან, „კიო“, შენ უნდა იყვირო, „არაო“, იმათ თუ „არა“ თქვეს, შენ „კი“ უნდა თქვაო.

აი, ასე!

რუსეთუმეობა არ დამწამონო და ჩვენი ბევრი „პოლიტიკოსი“ მხარს სწორედ ლგბტ-ს ფერებად აჭრელებულ თეთრ სახლს დაუჭერს მხარს. ამნაირ „პოლიტიკოსს“ თუ ჰკითხავ, შენც პედარასტი ხომ არ ხარო, ნამეტანი იხუებს, ანუ განაწყენდება.

ჩვენი ერის არსებობა ახლანდელი თაობის ზნეობრივ სიმტკიცეზეა დამოკიდებული და ვინ რას იხუებს და ვის რა მოექავება, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე.

**ზურაბ ცუცქირიძე**

## მამაკაცმა ალიგატორთან რამდენიმეჯერ დაამყარა სექსუალური კავშირი

**59 წლის რუპერტ დარვინს თითქმის ოთხი მეტრი სიგრძის ალიგატორი დაბმული ჰყავდა და მასთან ერთი თვის განმავლობაში ჰქონდა სექსუალური კავშირი.** ფლორიდის შტატის პოლიციას დარვინი ადრეც არა ერთხელ დაუკავებია ცხოველებზე ძალადობის გამო. ამჯერად დაკავებულმა დარვინმა პოლიციას განუცხადა, რომ საქმე შურისძიებას ეხებოდა: „ალიგატორს ჩემი შეჭმა უნდოდა, მე შური ვიძიე, აი, ასე მარტივადაა ყველაფერი. ალიგატორები სექსუალურად არ მიზიდავს, მაგრამ მინდოდა მაგ ძუკნასთვის ჭკუა მესწავლებინა. შემეძლო, უბრალოდ, მომეკლა, მაგრამ ეგ მარტივი საქმე იქნებოდა. მან ის მიიღო, რაც დაიმსახურა“, — განაცხადა დარვინმა.





მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომხეთში საპროტესტო გამოსვლებს აფინანსებს ტელეარხი GALA TV, რომელსაც, თავის მხრივ ამერიკული დემოკრატიის ნაციონალური ფონდი აფინანსებს, და ცივი ომის პერიოდში ცსს-ს მიერ ფსიქოლოგიური ოპერაციების წარმოების ფართომასშტაბიანი პროექტის ფარგლებში დაარსებული „რადიო თავისუფლების“ ადგილობრივი განყოფილება.**

# «ისლამური სახელმწიფოს» ბოევიკები ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიან, ვინ დგას მათ უკან?

**„ისლამური სახელმწიფო“ ცდილობს, ფეხი მოიკიდოს კავკასიაში, რუსეთის ტერიტორიაზე. 23 ივნისს რამდენიმე საველე მეთაურის მიერ ფიცის დადების შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებმა ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი გუბერნიის „კავკასიის ვილაიათის“ შექმნის შესახებ გამოაცხადეს. ამრიგად, ორგანიზაცია საფუძველს უყრის საკუთარი საზღვრების გაფართოებას 2015 წლის იანვრის რეგიონული ექსპანსიის სტრატეგიის რეალიზაციის ფარგლებში.**



„კავკასიის ვილაიეთის“ გამოცხადებას თან ახლდა ტვიტერში რუსულენოვანი ვიდეოჩანაწერის გავრცელება. ვიდეოზე „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ყაბარდო-ბალყანეთში ერთგულების ფიცს დებდნენ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის — აბუ ბაკარ ალ-ბაღდადის წინაშე.

რუსულ კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ გაფართოება ეჯახება უკვე დასუსტებულ „კავკასიის ისლამურ საამიროს“, რომლის ლიდერი **ა. კაბეკოვი** აპრილში სპეცსამსახურების მიერ იქნა ლიკვიდირებული. „კავკასიის ისლამური საამიროს“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები „ისლამური სახელმწიფოს“ წინაშე ახალ პერსპექტივებს აჩენს და შესაძლებელს ხდის რეგიონში მოწინააღმდეგის დაქსაქსულ ძალებზე კონტროლის დამყარებისთვის. შესაძლოა, უახლოეს მომავალში „კავკასიის ისლამური საამიროს“ მეომართა იმეტესობამ კონკურენტებს დაუდოს ფიცი.

ეს მოვლენები რუსეთს იძულებულს ხდის, გაზარდოს საკუთარი წვლილი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში სირიისა და ერაყის მოწინავე ფრონტებზე. მოსკოვმა ცოტა ხნის წინათ ერაყის არმიას ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები მიაწოდა.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ „კავკასიის ვილაიეთის“ შექმნა უფრო მარკეტინგული სვლაა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას ემსახურება, ვიდრე საომარი ოპერაციების დაწყების შესახებ განცხადებას. **გარდა ამისა, ბოლო წლებში „ისლამურმა სახელმწიფომ“ უკვე არაერთხელ გამოაცხადა, რომ კავკასიაში თავისი ინტერესები აქვს.** იმ ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში, რომელიც რუსულ ენაზე რეგულარულად გამოსცემს პროპაგანდულ მიმართვებს ხალხის გადაბირების მიზნით, დიდი რაოდენობით არიან ჩეჩენი ბოევიკები, რომლებიც ერაყსა და სირიაში იბრძვიან.

ამ სცენარის შესაბამისად, შეტევის ძირითად მიმართულებად იქცევა ცენტრალური აზია ავღანეთის ტერიტორიიდან და კავკასია ერაყის ტერიტორიიდან. მიზანი არის კონტროლის დამყარება სამხრეთ კასპიის რეგიონის ნავთობის საბადოებზე, ირანის დესტაბილიზება და კავკასიის ქედზე გასვლა. „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს კავკასიაში გამოიყენებენ რუსეთის ძალების შესაბოჭად „ისლამური სახელმწიფოს“ კავკასიის ჩრდილოეთითა და კასპიის რეგიონისკენ გადაადგილებისთვის.

სხვა პრობლემური ადგილი, რომელიც ხელს უწყობს კავკასიის დესტაბილიზაციას, სომხეთია. 23 ივნისიდან ქვეყანაში არ წყდება მასობრივი პროტესტები. კრიზისის ფორმალურ მიზეზად იქცა ელექტროენერგიის ტარიფების გაზრდა, რომელიც ხელისუფლებამ დააწესა. **სომხეთში საპროტესტო გამოსვლებს აფინანსებს ტელეარხი Gala TV, რომელსაც, თავის მხრივ ამერიკული დემოკრატიის ნაციონალური ფონდი აფინანსებს, და ცივი ომის პერიოდში ცსს-ს მიერ ფსიქოლოგიური ოპერაციების წარმოების ფართომასშტაბიანი პროექტის ფარგლებში დაარსებული „რადიო თავისუფლების“ ადგილობრივი განყოფილება.**

არ შეიძლება აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობო ორგანიზაციების და დასავლური დიპლომატიური წარმომადგენლობების ჩამოწერაც — **სომხეთში აშშ-ის საელჩოს შტატი რიცხოვნობით მხოლოდ ერაყის — მსოფლიოში აშშ-ის ყველაზე მრავალრიცხოვან საელჩოს ჩამოუვარდება.**

**სომხეთში „ფერადი რევოლუციისა“ და ქაოსის სცენარის წარმატების შემთხვევაში სამხრეთ კავკასიას ძალადობის ტალღა გადაუვლის.** გავიხსენოთ მთიანი ყარაბაღი. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც აღიარებულ იქნა მთიანი ყარაბაღის სომხურ ეთნიკურ უმრავლესობასა და აზერბაიჯანს შორის ომის შედეგად. ომი ცეცხლის შეწყვეტით 1994 წელს დასრულდა. დღეისათვის ამ რეგიონში კონფლიქტი ერთ-ერთი გაყინულ კონფლიქტთაგანია პოსტსაბჭოთა სივრცეში. რეგიონში 2014 წლის შემოდგომიდან ესკალაცია შეინიშნება. მხოლოდ **2015 წლის 20 მარტს საბრძოლო შეტაკებებში 10-დან 20-მდე სომეხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სომხეთში სიტუაციის დესტაბილიზაციის შემთხვევაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიც განახლდება, რომელიც ახალ სომხეთ-აზერბაიჯანის ომს წარმოშობს.**

არც იმის დავიწყება იქნება, რომ აშშ მუდმივად კვებავს საქართველოს ხელისუფლებას რევანშისტული იდეებით. ესკალაციის ძირითად მიმართულებებად ამ შემთხვევაში შეიძლება იქცეს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ამასთან, ქართველებს უკვე აქვთ 2008 წლის გამოცდილება. ამერიკული ზეწოლის შედეგად საქართველომ, შესაძლოა, მხარი დაუჭიროს ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ დაჯგუფებებს და ამერიკას სულაც არ აღელვებს, თუკი საქართველო ანტიტერორისტულ სამიზნედ იქცევა.

**ამრიგად, ჩვენ წინაშეა კარგად ცნობილი ამერიკული სტრატეგია, რომლის მიზანი მსოფლიოში მართვადი ქაოსის შექმნაა. დასავლეთი, აშშ-ის ხელმძღვანელობით, „ისლამური სახელმწიფოს“ აგრესიას საკუთარი ინტერესების ობიექტებისკენ მიმართავს შემდგომში მათი სასურველი სახით პოლიტიკური ფორმირებისთვის.**

მოცემულ შემთხვევაში „ისლამური სახელმწიფო“ მხოლოდ სასხლეტია ამერიკის გეოპოლიტიკურ გეგმაში. დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ქსელი შექმნილია სომხეთშიც და საქართველოშიც. სამთავრობო უწყებებში ჩანერგილნი არიან გავლენიანი ფიგურები, ძირითადად, აშშ-ზე დამოკიდებული ადგილობრივი ელიტები, რომელთათვისაც აბსოლუტურად უცხოა უბრალო მოქალაქეთა ინტერესები, ისინი დასავლური სტრუქტურების გავლით ფინანსდებიან.

**ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ევრაზიის გადაკეთების გეგმის ნაწილია, გეგმისა, რომლის მიმდინარე მიზანს წარმოადგენს კასპია-კავკასია-შავი ზღვის სტრატეგიულ რეგიონში ქაოსის შექმნა. ამ ყველაფერში „ისლამური სახელმწიფო“ მხოლოდ იმ სადენის ფუნქციას ასრულებს, რომლითაც მომზადებული ნაღმები უნდა აფეთქდეს.**

cont.ws

# რატომ აღარ აღელვებს ბრიტანელებს თავიანთი ელიტის სექსუალური დანაშაულები?

**შეეხეთ ბრიტანეთში საუბრისას სამ „პ“-ს — პედოფილებს, პოლიტიკოსებსა და პარლამენტს — და თანამოსაუბრეთა მხრიდან ათასგვარ რეაქციას იხილავთ. მიუხედავად ზოგიერთ წამყვან მედიასაშუალებაში გამკრთალი ინფორმაციებისა, მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც თვალებგაფართოებულნი გაქცევენ ზურგს, როგორც რაღაც ანტისახელისუფლო შეთქმულების თეორიის მიმდევარს, რომელმაც ძალიან შორს შეტოპა. არსებობს სხვა კატეგორიაც — მამხილებლები, იურისტები და პოლიტიკოსები, რომლებიც გამოძიებას ითხოვენ და დაუღალავად მიისწრაფვიან დამნაშავეთა გამოაშკარავებისკენ.**






ყველაზე სავალალო შემთხვევას წარმოადგენენ ისინი, ვისაც მსგავსი შემთხვევები საერთოდ არ აღელვებს. **ბავშვებზე ძალადობასთან დაკავშირებული სკანდალები, რომლებშიც გახვეულნი არიან ბრიტანეთის ყველაზე მაღალი რანგის მოხელეები, ისეთივე სიხშირით ხმაურდება, რა სიხშირითაც ყარაული იცვლება და მრავალი ბრიტანელი უკვე სავსებით ურეაქციოდ აღიქვამს მოვლენებს, რომლებიც სხვებს ზარავთ.**

**ახალი ამბები, რომლებიც ცნობილი ადამიანების მხრიდან ბავშვებზე ძალადობის ფაქტებს ეხება, ბრიტანელთა ცხოვრების საუნდტრეკად იქცა.** დღევანდელი საზოგადოება შოკირებული იმ შემთხვევაში იქნება, თუკი გაიგებს, რომ ვიღაც არ ყოფილა სექსუალურ დანაშაულში ჩართული. ხანდახან ადამიანები მოსაწყენ სახეებს იღებენ ამგვარი ბრალდებების ხსენებისას. ბრალდებები თავიდან ჭორების სახით გავრცელდა, ახლა კი „უმაღლესი დონის“ პოლიტიკოსების მხრიდან მიჩქმალულად ითვლება.

მთავარი ის კი არაა, რომ ბრიტანელებს არ აღელვებთ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ეს დანაშაულები, არამედ საქმე ისაა, რომ ამოტივტივებული დეტალები (დანაშაულის ადგილი და პირები, როლებმაც ჩაიდინეს ეს დანაშაული) იმდენად წარმოუდგენელია, რომ მათი გააზრებაც კი რთულია. უარყოფა ხომ დამცავი რეაქციაა — ჩვენი ეგოს უნარი და საშუალება, დაგვიცვას მღელვარებისგან. მაგალითად, რა შეიძლება იყოს უფრო ამაზრზენი, ვიდრე ის, რომ პარლამენტის ერთი წევრი მეორეს ვესტმისტრში ბავშვებზე ძალადობაში ადანაშაულებს?

**არსებობს საფრთხე, რომ ზოგიერთი ყველაზე შემაძწუნებელი სექსუალური ძალადობის გამოძიების საქმეში პროგრესის არარსებობა მნიშვნელოვნად აზარალებს მოსახლეობის ნდობას ბრიტანული მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.**

**თუ ნატო ახლავე არ იქნება ლიკვიდირებული, შემდეგ გვიანი იქნება, რადგან დაიწყება ახალი ომი. და ვინაიდან ნატო საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის, ომიც მსოფლიო იქნება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატოს ლიკვიდაცია — გზა პლანეტაზე მშვიდობისკენ



**დოქტორი ლუდვიგ ვატცალი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და რედაქტორი ბონიდან, თვლის, რომ საჭიროა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია. რას ერჩის მეცნიერი ნატოს? მისი აზრით, ალიანსი მხოლოდ ომის მანქანაა და სხვა არაფერი. და რაკი ასეა, ნატო მთელი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენს.**

ნატოს ბლოკი შექმნილია ომისთვის და ამიტომ ის „უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის მსოფლიოში", — წერს დოქტორი.

საბჭოთა კავშირის გაქრობას ავტორი საერთაშორისო სისტემის სტაბილურობისათვის უდიდეს კატასტროფას უწოდებს. **როგორც კი დაიშალა სსრკ, ნატოს ექსპანსიონიზმი და აგრესია პლანეტას მოედო. ფორმალურად ნატო საბჭოთა კავშირის შესაკავებლად შეიქმნა, მაგრამ სინამდვილეში ალიანსი ამერიკული ჰეგემონიის განმტკიცების ინსტრუმენტს წარმოადგენდა.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოს გაფართოება აღმოსავლეთ ევროპაში შედარებით წარმატებულად მიმდინარეობდა, რადგან რუსეთი დიდხანს დუმდა, მაგრამ 2007 წელს პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოვიდა მიუნჰენის უშიშროების საკითხთა კონფერენციაზე და მისი სიტყვები ზარივით გაისმა დასავლეთის სამხედრო ქორებისთვის.

მიუხედავად პუტინის გაფრთხილებისა და ნატოს სამხედრო კატასტროფებისა ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, სირიაში, იემენში, აფრიკის ზოგიერთ ნაწილში, ამ სამხედრო კავშირმა საკუთარ შეცდომებზე ვერაფერი ისწავლა. **აშშ-ს ძველებურად სწყურია მსოფლიოზე ბატონობა. ეს უძლები იმპერიაა და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ზის თეთრ სახლში.**

„კონსტრუქციული ქაოსის" შექმნა მეომარი ბუშის კოზირი იყო. მას ახალი ახლო აღმოსავლეთის თავისებური ხედვა ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდა ამ საქმიდან?

ახლო აღმოსავლეთის საქმეებში აშშ-ისა და მისი ევროპელი ხელქვეითების ჩარევამ „წარმატებები" მოიტანა. ავღანეთში 13-წლიანი ომის შემდეგ ეს მძლავრი კავშირი იძულებული შეიქნა, წასულიყო იქიდან. ეს დამარცხებას ნიშნავს. ზუსტად იგივე მოხდა ერაყისა და ლიბიის მიმართ. **ახლა მხოლოდ დროის საკითხია, როდის დაესხმებიან თავს აშშ-ის საელჩოს ბაღდადში, საიმდოდ დაცულ „მწვანე ზონაში".**




24 ივნისს ნატოს მეთაურებმა ბრიუსელში შეხვედრისას გადაწყვიტეს „უზარმაზარი სამხედრო დანაყოფის" შექმნა აღმოსავლეთ ფრონტზე. აღმოსავლეთის ფრონტისპირა სახელმწიფოები კბილებამდე შეიარაღდებიან და აღიჭურვებიან სამხედრო ტექნიკით.

ვერ შეძლეს რა კონტროლის უზრუნველყოფა ერაყში, **აშშ და მისი მოკავშირეები უკვე ცდილობენ, მორიგი ომის თეატრის შექმნას რუსეთის საზღვრებთან, იმ საბაბით, რომ „მოკავშირეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ".**

რად უნდათ ევროპელებს და, უპირველეს ყოვლისა, გერმანელებს ახალი ცივი ომი რუსეთთან? როგორც ჩანს, აშშ-ის ხელისუფლება ისეთი ძლიერი გახდა, რომ „პოლიტიკურად დაავადებული ევროპული კავშირი უკრაინელ პუტჩისტებთან ერთ კოლონაში უნდა მიდიოდეს". და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, უპირველეს ყოვლისა, თავად ევროპელებს ურტყამს.

ამასობაში ნატოელები ევროპის ხალხებს რუსეთის შესახებ ახალი მითებით აშინებენ. ალიანსის გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** განცხადებით, მოსკოვმა ამბოხებულებს მძიმე შეიარაღების ათასი ერთეული გადასცა. გარდა ამისა, გენერალურმა მდივანმა მიანიშნა, რომ შესაძლოა, უკრაინა ნატოს წევრი გახდეს. „ეს მხოლოდ უკრაინასა და ნატოს წევრ 28 ქვეყანას შეეხება... — აღნიშნა გენერალურმა მდივანმა, — ეს ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ერს აქვს უფლება, თავად აირჩიოს საკუთარი გზა, მათ შორის უსაფრთხოების საკითხებშიც".

**აშშ და მისი მოკავშირეები უკვე ცდილობენ, მორიგი ომის თეატრის შექმნას რუსეთის საზღვრებთან, იმ საბაბით, რომ «მოკავშირეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ»**

ნატოს კიდევ ერთი სიახლე პოლონეთიდან გაისმა.

პოლონეთის ახლახან არჩეული პრეზიდენტის მრჩეველმა კშიშტოფ შერსკიმ განაცხადა, რომ ვარშავა ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების ზრდას, ახალი ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ მკაცრ პოზიციას დაიკავებს და ნატოსთან თანამშრომლობას გააღრმავებს.

შერსკიმ მოუწოდა, გადაიხედოს რუსეთი-ნატოს აქტი, რომელიც ევროპაში ალიანსის გავრცელებას ზღუდავს. ამასთანავე, მრჩეველი ირწმუნება, რომ პოლონეთი გაამყარებს სამხედრო თანამშრომლობას აშშ-თან და იზრუნებს პოლონურ-ამერიკული სამხედრო ბაზების შექმნის დაჩქარებაზე. პოლონეთის ხელისუფლება იმუშავებს უკრაინასთან უვიზო რეჟიმის დამყარებაზე და ბოლოს ვარშავა ევროკავშირსა და ნატოში უკრაინის გაწევრებას დაუჭერს მხარს.

როგორც ჩანს, დოქტორი ვატცელი მართალია — **ნატო თუ ახლავე არ იქნება ლიკვიდირებული, შემდეგ გვიანი იქნება, რადგან დაიწყება ახალი ომი. და ვინაიდან ნატო საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის, ომიც მსოფლიო იქნება.**

პასუხგაუცემელი რჩება ერთადერთი კითხვა: ვინ შეძლებს ნატოს ლიკვიდაციას?

topwar.ru

# ამერიკის ბავშვთა გამოსასწორებელ კოლონიებში მოზარდებს აწამებენ

**თუკი ადრე „სპეცსაშუალებების გამოყენება დაკითხვის განსაკუთრებულ პრაქტიკაში", მარტივად რომ ვთქვათ, წამება დამახასიათებელი იყო გუანტანამოს მსგავსი ამერიკული მკაცრი რეჟიმის ციხეებისათვის, ახლა გაირკვა, რომ ამგვარ პრაქტიკაზე უარს არ ამბობენ ამერიკის ბავშვთა გამოსასწორებელ დაწესებულებებშიც. ამასთან, არც თუ იშვიათად მცირეწლოვანების წამება გამოირჩევა სისასტიკით.**

ობამას ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო გუანტანამოს ციხის დახურვა და წამების, როგორც დაკითხვის პროცესში „დამატებითი ზემოქმედების მეთოდის", საყოველთაოდ აკრძალვა. მიუხედავად ამისა, დანაპირები დღემდე არ შესრულებულა. უფრო მეტიც, ნებართვა, არა მხოლოდ დაკავებულების, არამედ დაპატიმრებულების მიმართ გამოიყენონ წამების მეთოდები, უმცროსი ბუშის პრეზიდენტობისას გაიცა, ოღონდ უკვე ყოველგვარი ასაკობრივი ჩარჩოების გარეშე.

**ორგანიზაცია The Campaign for Youth Justice-ის ანგარიშის თანახმად, ბავშვთა კოლონიებში ფართოდაა გავრცელებული წამების მეთოდების გამოყენება. გარდა ამისა, გაირკვა, რომ დიდების ციხეებში სასჯელს იხდის 10 000-ზე მეტი მოზარდი, მათი იქ ყოფნა კი უკანონოა.** ბავშვებს ერთ ან რამდენიმეწლიან სასჯელს უსჯიან. ისინი იძულებულნი არიან, კამერაში დღეღამეში 20 საათი გაატარონ. კოლონიის დაცვა საკმაოდ ხშირად იქცევა მხეცურად — მცირეწლოვანებს სცემენ, აუპატიურებენ, აღრიცხულია ნამდვილი სექსუალური მონობის შემთხვევებიც, როდესაც ბავშვებს ყიდდნენ სხვა ციხეებში ან აქირავებდნენ გარყვნილებისთვის.



ანგარიშის საფუძვლად დაედო ერთ-ერთი გოგონას — 17 წლის ჯეიმის მონათხრობი. იგი ციხეში წვრილმანი ხულიგნობის გამო მოხვდა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნაცვლად გამასწორებელი სამუშაოებისა, რომელიც გათვალისწინებულია სამართალდარღვევის ამ ფორმისთვის, გოგონა გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, უკვე ეწინააღმდეგება კანონს; მაგრამ **ის, რაც ჯეიმიმ პატიმრობისას გადაიტანა, „ნორმალური მართლმსაჯულების" შესახებ ყოველგვარი წარმოდგენების საზღვრებს სცდება და საერთოც კი არაფერი აქვს კანონთან.**

დაპატიმრების პირველივე დღეებიდან გოგონას რეგულარულად აწამებდნენ. მისი თქმით, იმის გამო, რომ ხმამაღლა გამოხატავდა აღშფოთებას და საკუთარი უფლებების დაცვას მოითხოვდა, **ოთხი დღის განმავლობაში გოგონა წებოვანი ლენტით იყო დაბმული სკამზე. მთელი ამ დროის განმავლობაში არ ჰქონდა უფლება, საპირფარეშოთი ესარგებლა. ეს ყველაფერი ვითომდა იმიტომ გაკეთდა, რომ გოგონას ყვირილისგან ზედამხედველს თავი ასტკივდა, ეს ჯანმრთელობისთვის საფრთხედ მიიჩნია და ამ ბარბაროსული მეთოდით მოაგვარა პრობლემა.** სხვათა შორის, ზემოხსენებული ქმედება ბარბაროსულად ითვლება მხოლოდ ნორმალური ადამიანის თვალსაზრისით, ხოლო თავად ზედამხედველი საქმის გამოძიებისას საკუთარ ქმედებებში განკითხვის საბაბს ვერ ხედავდა.

მეორედ ზედამხედველებმა ჯეიმის კამერა გაზით აავსეს. გოგონა იგუდებოდა, როდესაც დერეფანში გამოიყვანეს. ვიდრე ცდილობდა, გონს მოსულიყო და ამოეხველებინა, ნერწყვის წვეთი ერთ-ერთ მცველს ტანსაცმელზე მოხვდა. ამ უკანასკნელმა გოგონას ბრალი დასდო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თანამდებობის პირზე თავდასხმაში. **ყველა ბრალდების საპასუხოდ ზედამხედველები ირწმუნებიან, რომ არასრულწლოვანმა ისტერიკა გამართა, თავს კედელს ურტყამდა და იძულებულნი გახდნენ, მისდა სასიკეთოდ, კამერიდან გამოეყვანათ.**

არასრულწლოვანთა წამების შესახებ ანგარიშის ავტორები ირწმუნებიან, რომ ჯეიმის შემთხვევა ერთადერთი არ არის. აშშ-ის სადამსჯელო სისტემაში ამჟამად არსებული მდგომარეობა იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში გადასახედია ზედამხედველების მუშაობა და ამ თანამდებობისთვის კადრების შერჩევის კრიტერიუმები.

cont.ws

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბეძნეთში დაძაბული ვითარებაა და ახლა მთავარია, არ დაუშვან უკრაინული სცენარის განმეორება, რადგან ევროპის ცენტრში კიდევ ერთი ომის გაჩაღება არც ევროკავშირს მოუტანს სიკეთეს, არც რუსეთს და არც თვით საბერძნეთს. ამ ომით მხოლოდ ამერიკელები იხეირებენ.**

# ამერიკა ამზადებს მეიდანს საბერძნეთში, შეტევას რუსეთზე და თავდასხმას ციპრასზე

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ვიქტორია ნულანდის ვიზიტი ათონში, სადაც იგი უკრაინაში საქმეების დამთავრებისთანავე ჩავიდა, სავარაუდოს ხდის, რომ საბერძნეთისთვის უკვე მომზადებულია უკრაინული სცენარი ხელისუფლების დამხობითა და სამოქალაქო ომით. საბერძნეთის დაახლოება რუსეთთან, რომლის წინააღმდეგაც ნატო ლამის ბირთვული ომის გაჩაღებისთვისაც კი მზადაა, სახელმწიფო დეპარტამენტში ისეთ უკმაყოფილებას იწვევს, რომ ამერიკის ხელისუფლებამ, შესაძლოა, უკიდურეს ზომებსაც მიმართოს — ფიზიკურად გაანადგუროს საბერძნეთის ლიდერი.**



ამის შესახებ წერს ფრანგული გამოცემა Boulevard Voltaire-ის მიმომხილველი **ნიკოლა ბონალი.** მისი აზრით, თუნდაც ვინმეს მოსჩვენებოდა, რომ საბერძნეთში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ დაძაბულობამ იკლო, ეს სულაც არ არის ასე.

ათონში ნულანდის გამოჩენა შემთხვევითი არ არის: იგი საბერძნეთის დედაქალაქში იმის გამო ჩავიდა, რომ „განაგრძოს თავისი საგანმანათლებლო მისია“ და დაეხმაროს საბერძნეთს „პოპულიზმის თავიდან აცილებაში“. **სინამდვილეში კი მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ხელი შეუშალოს საბერძნეთის ხელისუფლებას ბრიჩსთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან დაახლოებაში.** საბერძნეთი ხომ ნატოს წევრი ქვეყანაა. **იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოეწონა ვაშინგტონს ალექსის ციპრასის ჩასვლა მოსკოვში 9 მაისის დღესასწაულზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბერძნეთის პრემიერს ისეთივე ტრაგიკული ბედი ექნება, როგორიც კენედის.**

ბონელი იხსენებს, რომ საბერძნეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი იანის ვარუფაკისი თავის წიგნში „გლობალური მინოტავრის“ შესახებ არაერთხელ ახსენებს საბერძნეთში ბრიტანელების მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომს და იმ როლს, რომელიც აღნიშნულ კონფლიქტში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეასრულა — დაბომბვებით გაანადგურა ბერძნული წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ღერძი.

**დღეს საბერძნეთში უკრაინის მსგავსი სამოქალაქო ომის გაჩაღება ხელს აძლევს ამერიკას. ციპრასის ხელისუფლების აქტიური დემონიზაცია უკვე დაიწყო, საერთაშორისო კრედიტორების ქმედებები კი ნამდვილად შეიძლება შევადაროთ ტერორიზმს,** როგორც ეს უკვე გააკეთა ვარუფაკისმა. ბერძენმა ამომრჩევლებმა, რომლებმაც „არა“ თქვეს, სულ მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს.

რაც შეეხება ევროპას, ის უკვე დიდი ხანია, ამერიკის დაკრულზე ცეკვავს, ამერიკა კი მსოფლიოზე ძალაუფლებას დამარცხებული ხელისუფლებების ხარჯზე ამყარებს. **სწორედ ეს ქვეყნები იქცევიან „სამსხვერპლო ავიამზიდებად“ ბირთვულ ომში, რომლის გაჩაღებასაც ნატო რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ აპირებს.** მთელი ევროზონა გერმანიის ირგვლივაა ამოშენებული, გერმანია არის „გერმანულ-ამერიკული ცხოვრებისეული სივრცე“, რომელიც სრულ მორჩილებაში ამყოფებს დანარჩენს, მათ შორის საფრანგეთსაც.

ფრანგი ჟურნალისტი სტატიას ასრულებს ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და მხედართმთავრის — ქსენოფონტეს ციტატით: „ის ადამიანები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ, ომში ცოცხლები გადარჩნენ, დიდწილად ცუდად და სამარცხვინოდ ასრულებენ სიცოცხლეს, ხოლო ისინი, ვინც სიკვდილს ადამიანთა საერთო და გარდაუვალ ხვედრად მიიჩნევენ და სახელოვანი სიკვდილისკენ ისწრაფვიან, ჩემი დაკვირვებებით, სიბერემდე აღწევენ და სიცოცხლეშიც გაცილებით უფრო ბედნიერნი არიან“.

ამ საკითხზე ღირს ჩეხეთის ლიდერის — **მილოშ ზემანის** ბოლოდროინდელი გამოსვლის გახსენებაც. ჩეხეთის პრეზიდენტმა აშშ-ის მცდელობებს, გააკრიტიკოს სხვა ქვეყნების შიგა პოლიტიკა, „აბსოლუტური სისულელე“ უწოდა. **ზემანს ეჭვი ეპარება ამერიკელი პოლიტიკოსების გონებრივ შესაძლებლობებში, მაგრამ დასავლეთი თავისი შეცდომების გამოსწორებაზე მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ეს მისთვის მომგებიანია.**

საკუთარი პოლიტიკური სისტემის სხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნებში ექსპორტის მცდელობები მხოლოდ ორი ვარიანტით შეიძლება დასრულდეს. ჩეხეთის პრეზიდენტის თვალთახედვით, **„თუ ეს მცდელობა არ მოიტანს წარმატებას, მოცემული ქვეყანა თქვენი მტერი გახდება. თუ მცდელობა წარმატებულია, თქვენ გაანადგურებთ ამ ქვეყანას“.** ასევე შეიძლება დავამატოთ, რომ განადგურებაც ვერ აქცევს აღნიშნულ ქვეყანას თქვენს მეგობრად.

საბერძნეთის თავზე იღრუბლება. ერთი შეხედვით, რეფერენდუმი ჩატარებულია და ბერძნებმა არჩევანი გააკეთეს; ლოგიკურად დაძაბულობამ უნდა იკლოს, მაგრამ კრედიტებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეს დაძაბულობა მხოლოდ გაიზრდება.

როგორც ფრანგული მედიასაშუალებები იტყობინებიან, აშშ საბერძნეთში უკრაინული სცენარის გამეორებას და ქვეყნის სრულად განადგურებას გეგმავს.

საამისოდ ახლა საბერძნეთში ნიადაგი საუკეთესოდაა მომზადებული. უკრაინული კრიზისის დაწყებამდე ქვეყანაში მოქალაქეები ორ ნაწილად იყოფოდნენ — რუსეთის მომხრეებად და ევროპის მომხრეებად. მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩი პრეზიდენტის თანამდებობიდან მოაშორეს, ხელისუფლებაში პროამერიკელი პოლიტიკოსები მოვიდნენ და ქვეყანა ევროინტეგრაციისკენ გზაზე დააყენეს, ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე ეჩვენებოდა ყველას. შედეგი: ქვეყნის ყველა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის სრული დეგრადაცია.

**უკრაინული კრიზისის სცენარი ცხოვრებაში მხოლოდ იმის გამო განხორციელდა, რომ ახალი ხელისუფლება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაში პროპაგანდას უწევდა ევროკავშირთან შეერთებას და პოლიტიკურ ასპექტში აშშ-ისთვის დაქვემდებარებას.** დაიწყო სამოქალაქო ომი, რადგან დონბასის მცხოვრებნი არ ეთანხმებოდნენ უკრაინის ხელისუფლების ახალ პოლიტიკას და ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, უთანხმოება იარაღის საშუალებით ჩაეხშო. ნელ-ნელა დაიწყეს მოტყუება, რომ ომი მიმდინარეობდა რუსეთის წინააღმდეგ და რაღაც გარკვეული დროის შემდეგ სულ უფრო მეტმა ადამიანმა დაიჯერა ეს ტყუილი. შედეგს ახლა ყველა საკუთარი თვალით ხედავს.

საბერძნეთში ამჟამინდელი მდგომარეობა ძალიან ჰგავს ომამდე უკრაინაში შექმნილ მდგომარეობას. საბერძნეთში უმძიმესი ფინანსური კრიზისია — ბანკები დაკეტილია, ადამიანების ნახევარი უმუშევარია. საბერძნეთში განათლების მიღება დღეს ფულის ფუჭად ფლანგვაა, რადგან მაღალანაზღაურებიანი სამუშაოს შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ძალიან რთულია რაიმე სამუშაოს მონახვა. უკრაინის მსგავსად, აქაც ადამიანების აზრი ორადაა გაყოფილი: კრედიტორების პირობებს მოსახლეობის ნახევარი ეთანხმება, ნახევარი — არა.

რეფერენდუმზე მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს მათ, ვინც „არა“ უთხრა დაფინანსების პროგრამას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამარჯვებას. როგორც უკვე აჩვენა უკრაინის მაგალითმა, ძალიან ადვილია, ადამიანები (თავად ციპრასი თავისი ხელისუფლებიანად) გმირებიდან ანტიგმირებად გარდაიქმნან. საკმარისი იქნება, ამ ადამიანებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებული კრიზისის გამო.

ალექსის ციპრასის წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკური პროპაგანდის წარმოებისას ბევრმა შეიძლება დაივიწყოს, რომ საბერძნეთში კრიზისი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

**საბეძნეთში დაძაბული ვითარებაა და ახლა მთავარია, არ დაუშვან უკრაინული სცენარის განმეორება, რადგან ევროპის ცენტრში კიდევ ერთი ომის გაჩაღება არც ევროკავშირს მოუტანს სიკეთეს, არც რუსეთს და არც თვით საბერძნეთს. ამ ომით მხოლოდ ამერიკელები იხეირებენ;** ევროპის დაშლის შემთხვევაში ისინი თავაზიანად შესთავაზებენ ყველას საკუთარ კრედიტებსა და სამხედრო დახმარებას, ამიტომ ალექსისს წარმატებები უნდა ვუსურვოთ.

cont.ws

**დღეს საბერძნეთში უკრაინის მსგავსი სამოქალაქო ომის გაჩაღება ხელს აძლევს ამერიკას. ციპრასის ხელისუფლების აქტიური დემონიზაცია უკვე დაიწყო, საერთაშორისო კრედიტორების ქმედებები კი ნამდვილად შეიძლება შევადაროთ ტერორიზმს**



**იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოეწონა ვაშინგტონს ალექსის ციპრასის ჩასვლა მოსკოვში 9 მაისის დღესასწაულზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბერძნეთის პრემიერს ისეთივე ტრაგიკული ბედი ექნება, როგორიც კენედის**

მოკლედ



## ბრეივიკი ოსლოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა

**ნორვეგიელი მსჯავრდებული ანდერს ბრეივიკი, რომელსაც 21-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, ოსლოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა.** უნივერსიტეტის რექტორ ოლე პეტერ ოტესონის განცხადებით, ნორვეგიის ციხეში მყოფ ყველა პატიმარს უმაღლესი განათლების მიღების უფლება გააჩნია. შესაბამისად, ბრეივიკის განცხადებაც, პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების შესახებ, დაკმაყოფილდა. შეგახსენებთ, ანდერს ბრეივიკმა 2011 წლის 22 ივლისს ოსლოში მოაწყო აფეთქება, რომელსაც 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, იმავე დღეს მან კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკში მყოფ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 69 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის იყო ქართველი სტუდენტი თამთა ლიპარტელიანიც.



ევროპას აღარ შეეძლო საკუთარი არსებობის გამართლება ნაციონალური სახელმწიფოების მსგავსი დემოკრატიული ცხოვრების შენებით და ამასთანავე, არ შეეძლო იმავე სახელმწიფოების წინაშე სულ უფრო მეტად შემზღუდველი წესების დადგენა, საკუთარი საბიუჯეტო, სავალუტო, სავაჭრო და კონკურენტული პოლიტიკის გატარება, ამიტომაც ჩაიძირა კრიზისში.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბერძნული «არა»-ს შემდეგ ევროპაში სუვერენიტეტის კრიზისი მწიფდება

**საბერძნეთში 5 ივლისს ჩატარებულმა კენჭისყრამ შუქი მოჰფინა ევროპის კავშირში არსებულ წინააღმდეგობებს. კავშირი შუაზე იხლიჩება ელიტების კონსენსუსურ სუვერენიტეტსა და უფრო კონფლიქტურ ხალხთა სუვერენიტეტს შორის. მართალია, კრედიტორების გეგმაზე ბერძნული „არა“ ევროზონიდან ქვეყნის გასვლას არ აღნიშნავს, ის მაინც განაპირობებს სერიოზულ პოლიტიკურ შედეგებს მთელი ევროკავშირისთვის.**



პასუხი რომ „დიახ“ ყოფილიყო, რეფერენდუმის ჩატარების ფაქტი მაინც ისტორიული მნიშვნელობისა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ შეთანხმებებზე უარის თმით დასრულებული რეფერენდუმები დანიაში (1992), ირლანდიაში (2001 და 2008), საფრანგეთში (2005) და ნიდერლანდებში (2005), ასევე ევროზე უარის თქმა (2000 წელს დანიაში და 2003 წელს შვედეთში) უკვე იქცა ხალხთა დაუმორჩილებლობის აქტად ევროპის პოლიტიკური ელიტების კონსენსუსური მოთხოვნების მიმართ, ახლა მაინც ახალი ეტაპი იქნა განვლილი. **კონფლიქტი ევროპელ პარტნიორებსა და იმ ქვეყანას შორის, რომელიც მხარდაჭერისთვის საკუთარ ხალხს მიმართავს რაღაც არნახულია. ისინი, ვინც ევროპას აშენებენ, ამგვარ სიტუაციას ვერც კი წარმოიდგენდნენ.**

მთელმა ევროპამ დაინახა ორი სუვერენიტეტის დაპირისპირება: ერთი მხრივ, კონსენსუსური და ელიტური, ხოლო მეორე მხრივ — სახალხო და კონფლიქტური. საბერძნეთმა საკუთარი მაგალითით აჩვენა ის, რაც დიდწილად მხოლოდ თეორიად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინტეგრაციის ისტორია ამგვარი სიტუაციის წარმოშობის შესაძლებლობაზე მიანიშნებდა. 2008 წლის კრიზისმა და ხელისუფლებაში ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის მოწინააღმდეგე მემარცხენე რადიკალური ხელისუფლების მოსვლამ საყოველთაოდ ხილული გახადა ევროპაში არსებული წინააღმდეგობები. თანაც, ეს წინააღმდეგობები გუშინ არ გაჩენილა...

როგორც ჩანს, ევროპული ინტეგრაციის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1955 წელს მესინაში. როგორც ბელგიელმა ექსპერტმა **პოლ მანეტმა** აღნიშნა, მესინა იქცა „ძნელადმისაღწევ წონასწორობის წერტილად ფედერალიზმსა და საერთაშორისო თანამშრომლობას შორის“. იქ გამართულ კონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ სამთავრობოშორისი ექსპერტთა ჯგუფი. ამ შეკრებაზე შეადგინეს მესინის რეზოლუცია. ევროპის ექვსი ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ლუქსემბურგი, ბელგია და ნიდერლანდები) მთავრობათა წარმომადგენლები შეთანხმდნენ დაახლოების პროცესის „გადატვირთვაზე“, რადგან პროცესი შეეჯახა საფრანგეთის უარს ევროპული თავდაცვის საზოგადების შექმნის საკითხში.

კონფერენციის დასკვნით განცხადებაში ერთგვარი საგზაო რუკაა ჩადებული, რომელმაც განსაზღვრა ევროინტეგრაციის მთელი შემდგომი მსვლელობა: „მთავრობები მიიჩნევენ, რომ დადგა დრო, დაიწყოს ახალი ეტაპი ევროპული მშენებლობის გზაზე. ისინი ეთანხმებიან, რომ სიახლეები განხორციელდეს, პირველ რიგში, ეკონომიკის სფეროში; დარწმუნებულნი არიან, ერთიანი ინტერესების განვითარების, ნაციონალური ეკონომიკების თანდათანობით შერწყმის, ერთიანი ბაზრის შექმნის და სოციალური პოლიტიკების დაახლოების გზით ერთიანი ევროპის ფორმირება აუცილებელია“.

მას შემდეგ ევროპის მშენებლობის ფუნდამენტად ბაზარი და თავისუფალი ვაჭრობა მიიჩნევა.

ხელმოწერილი შეთანხმებების ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე კრიტიკოსი **პიერ მენდეს-ფრანსი** გახლდათ. საუბარია მთელი არსით დემოკრატიულ კრიტიკაზე, რომელიც ხაზს უსვამდა რომაულ შეთანხმებებში წარმოდგენილი ინტეგრაციული პროცესის ანტიდემოკრატიულ ხასიათს. მისი აზრით, ევროპის საფუძველში უნდა ჩადებულიყო სამართალი. სამართალი, რომელიც ბაზრის მსახურად აქციეს.

## ციპრასის ხელისუფლება გახდა პირველი, რომელმაც ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა და ევროპელ პარტნიორებს გამოწვევა ესროლა, რომლითაც ნათელი მოჰფინა ევროკავშირის წინააღმდეგობებს

ინტეგრაციის პროცესმა მისი ლეგიტიმიზაციის აუცილებლობა მოითხოვა. გერმანელი პოლიტოლოგი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი **ფრიც შარფი** აღნიშნავს, რომ ევროპის შემთხვევაში არსებობს ინტეგრაციის ორი სახე, რომ ევროპის ლეგიტიმურობას ორი წყარო აქვს: ერთი შენატანს ეფუძნება, მეორე კი — გაცემას.

შენატანის საფუძველზე არსებული ლეგიტიმურობა გულისხმობს „კოლექტიური თვითშეგნების არსებობას, რაც ევროპის კავშირს დიდად არ შეესაბამება. უმრავლესობის პრინციპის საკითხი პრინციპის „ხელისუფლება ხალხისთვის“ მიმართ აქ ცენტრალურ როლს ასრულებს და ევროპის ინტეგრაციის პროცესში უფრო მწვავედ დგება, ვიდრე ნაციონალურ სახელმწიფოებში.

გაცემაზე დაფუძნებული ლეგიტიმიზაცია პირდაპირ უკავშირდება პრინციპს „ხელისუფლება ხალხისთვის“. ევროკავშირი ძირითადად ლეგიტიმაციის ამ ტიპს ეფუძნება, მაგრამ ძალზე საეჭვო შედეგების გამო 2008 წლის შემდეგ ამის გაკეთება საგრძნობლად გართულდა.

მძლავრმა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებმა აფეთქება მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდგომ განაპირობა. ვინაიდან ლეგიტიმურობა შედეგებიდან მომდინარეობდა, **ევროპას აღარ შეეძლო საკუთარი არსებობის გამართლება ნაციონალური სახელმწიფოების მსგავსი დემოკრატიული ცხოვრების შენებით და ამასთანავე, არ შეეძლო იმავე სახელმწიფოების წინაშე სულ უფრო მეტად შემზღუდველი წესების დადგენა, საკუთარი საბიუჯეტო, სავალუტო, სავაჭრო და კონკურენტული პოლიტიკის გატარება, ამიტომაც ჩაიძირა კრიზისში.**

ახლა ევროპას სიმბოლური გავლენა აქვს თითოეული ქვეყნის მმართველ ელიტაზე, მაგრამ სურათი ორიოდე ახალი შტრიხის დამატებას საჭიროებს: კრიზისმა გააძლიერა და წარმოაჩინა ინტეგრაციული პროცესების ავტორიტარული მხარეები. ამას ბიუროკრატიულ და ფინანსურ ევროპულ ცეზარიზმამდე მივყავართ. ეს თეორია არ ეწინააღმდეგება წინამორბედ დასკვნებს. პირიქით, ის ავსებს მათ და შესაძლებელს ხდის იმის გაგებას, თუ როგორ ვრცელდება ევროპის ლეგიტიმურობის კრიზისი.

თუ 2005 წლამდე ევროკავშირის ინსტიტუტებსა და მის საერთო პოლიტიკას პრაქტიკულად არავინ აყენებდა ეჭვქვეშ, 2008 წლის შემდეგ ევროპის სამხრეთიდან მათი მისამართით უცნაური კრიტიკა ისმის: მემარცხენე რადიკალური მოძრაობები ღიად გამოდიან ევროპული პოლიტიკის წინააღმდეგ. მართალია, ყველა მმართველი ელიტისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება (ისინი მერყეობენ ევროპულ კონსენსუსსა და საკუთარი ამომრჩევლების აზრს შორის), **ციპრასის ხელისუფლება გახდა პირველი, რომელმაც ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა და ევროპელ პარტნიორებს გამოწვევა ესროლა, რომლითაც ნათელი მოჰფინა ევროკავშირის წინააღმდეგობებს.**

ევროპული კავშირი არასდროს ყოფილა სტრუქტურა, რომელშიც ხალხები თავს მის განუყოფელ ნაწილად იგრძნობდნენ. ევროკავშირსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს.

რომ არაფერი ვთქვათ შიდა დაპირისპირებებზე, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირში გერმანიის ელექტორატის ზეწოლით ევროპელი მემარჯვენეები გაერთიანდნენ ალექსის ციპრასისა და სირიზას, აგრეთვე, ესპანური „პოდემოსისა“ და იტალიელი მემარცხენეების წინააღმდეგ საბრძოლველად. რამდენიმე დღის წინათ ნიკოლა სარკოზი მადრიდში სათავეში ჩაუდგა ნამდვილ ჯვაროსნულ ლაშქრობას ევროპის რადიკალი მემარცხენეების წინააღმდეგ.

ნებისმიერ შემთხვევაში ამ მრისხანე იდეოლოგიურ შეტევას არ შეუძლია, გადაფაროს რადიკალური მემარცხენეების მოუმზადებლობა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობების ყველა იმ წარმომადგენლის მოუმზადებლობაც, რომლებიც ალტერნატივის პოვნას ცდილობენ.

მაისში ბერძენი მიმომხილველი გერასიმო მოშონასი აღნიშნავდა „ევროპული საკითხების ცოდნისა და კულტურის ვაკუუმსა“ და „საერთოევროპული მექანიზმების გაუგებრობაზე“. ამან ყველას, ვინც ალტერნატიული გზის შეთავაზებას ცდილობს, უნდა შეახსენოს, რომ მოეთხოვებათ საერთოევროპული სისტემისა და ინტეგრაციული პროცესების ამომწურავი და დაწვრილებითი ანალიზის ჩატარება.

ამგვარი პერსპექტივით **საბერძნეთის კრიზისი იქცა შემობრუნების წერტილად, თუ არ ვიტყვით განხეთქილების წერტილს ევროპის ინტეგრაციის ისტორიაში.** ახლა ყველა პოლიტიკურ ბანაკს მოუწევს მომხდარის შედეგების გააზრება. აქ ერთმანეთს შუბლებით ეჯახება ორი სუვერენიტეტი: ელიტარული და სახალხო. ამრიგად, ბერძნული „არა“ კარდინალურად ცვლის განლაგებას ევროპაში.

**Slate.fr**

მოკლედ

## საბერძნეთის ფინანსთა ყოფილი მინისტრი: ჩვენ არჩევანის წინაშე დაგვაყენეს — ან სიკვდილით დასჯა, ან კაპიტულაცია

**საბერძნეთის ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა იანის ვარუფაკისმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მიერ შემუშავებული ახალი ეკონომიკური რეფორმების გეგმა არ გაამართლებს.**

„ათენის პროგრამა ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე დიდი მაკროეკონომიკური კატასტროფა. ჩვენ არჩევანის წინაშე დაგვაყენეს — ან სიკვდილით დასჯა, ან კაპიტულაცია. ციპრასმა კაპიტულაცია არჩია“, — აღნიშნა ვარუფაკისმა.

ათენმა ევროზონის ლიდერებთან შეთანხმებას გასული კვირის დასაწყისში მიაღწია, რომლის მიხედვითაც კრედიტორები საბერძნეთს 86 მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას გაუწევს, სანაცვლოდ კი ათენმა რიგი ეკონომიკური რეფორმებისა უნდა განახორციელოს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომპლექსი — ეს ის შინაგანი შემზღუდავია, რომელიც ხელს გვიშლის წარმატებებში, რომლებსაც მივაღწევდით, საკუთარი თავის მეტი რწმენა რომ გვქონოდა. რაღაც ეტაპზე ის საგზაო ნიშან STOP-ს ემსგავსება, ზღუდავს ჩვენს შესაძლებლობებს და ძალას გვაცლის.**



# ზოგი რამ კომპლექსების შესახებ

**ადამიანების უმეტესობა ცდილობს, შენიღბოს თავისი კომპლექსები, მაგრამ ზოგჯერ სწორედ იმას ვუსვამთ ხაზს, რის დამალვასაც ასე საგულდაგულოდ ვცდილობთ. კომპლექსი შეიძლება გაჩნდეს საკუთარი თავით, გარეგნობით ან ცხოვრებით უკმაყოფილების გამო და მომდინარეობდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სოციალური ხასიათის პრობლემებიდან.**



კომპლექსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანის პიროვნებაზე, ცხოვრებაზე და ეს გავლენა ხშირად დამაბრკოლებელი და უარყოფითია, ამიტომ სასურველია, მოვძებნოთ გზა მათ მოსაშორებლად. ამისთვის კი მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: მოვახდინოთ კომპლექსის იდენტიფიცირება, ცნობიერებაში დაბრუნება; გავაცნობიეროთ, რა მიზანს ემსახურება ეს კომპლექსი; მოვახდინოთ მისი ტრანსფორმირება ცნობიერი და ემოციური ძალისხმევით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კომპლექსები გლობალური პრობლემაა. ისინი თანამედროვე ადამიანის ემოციურად შეფერადებული წარმოდგენების, მოქმედების მოტივაციების და არაცნობიერი განწყობების ერთობლიობაა.** სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში სიტყვა „კომპლექსში“ ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ არასრულფასოვნების ან განდიდების გადამეტებულ გამოვლენას და არც ვიცით, რომ ისინი ერთმანეთს ავსებს. თვით პრობლემის არსი კი მხოლოდ ამ კომპლექსებით არ შემოიფარგლება, თანამედროვე სამყაროში ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უამრავი კომპლექსი.

**კომპლექსი — ეს ის შინაგანი შემზღუდავია, რომელიც ხელს გვიშლის წარმატებებში, რომლებსაც მივაღწევდით, საკუთარი თავის მეტი რწმენა რომ გვქონოდა. რაღაც ეტაპზე ის საგზაო ნიშან STOP-ს ემსგავსება, ზღუდავს ჩვენს შესაძლებლობებს და ძალას გვართმევს.** ალბათ, არაერთხელ მოგისმენიათ: „მაინც არაფერი არ გამომივა, მე ხომ...“ და შემდეგ ათასგვარი არგუმენტები, რომლებსაც თვითშთაგონების დონეზე ამკვიდრებენ საკუთარ აზროვნებაში. ეს მარტივი, მაგრამ კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ ვზრდით საკუთარ თავში არასრულფასოვნობის კომპლექსს. ფსიქოლოგების დაკვირვებაც გვარწმუნებს, რომ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ნაკლოვანებებზე მცდარი ან გადამეტებული წარმოდგენა ჩვენში ბადებს ღრმა, სხვებისგან დამალულ განცდებს.

**ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ქალების 30%-ს არ მოსწონს თავისი გარეგნობა ან სიმსუქნით არიან უკმაყოფილონი. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ კომპლექსს, იგი ვლინდება ინტელექტით, აღზრდით, გონიერებით უკმაყოფილებაში.** სოციალურ კომპლექსებს იწვევს ფინანსური პრობლემები, ასევე დამახასიათებელი სოციალური გარემო; წარმოშობის ან პროფესიის გამო უხერხულობის გრძნობა საბოლოო ჯამში ძლიერ კომპლექსად ყალიბდება.

**კომპლექსის გაცნობიერება თავისთავად დადებითი მოვლენაა.** როცა ადამიანი აცნობიერებს, რომ აქვს გარკვეული კომპლექსები და მას ეს ხელს უშლის წარმატებების მიღწევაში, ცდილობს, მართოს ისინი იმგვარად, რომ აღარ დათრგუნოს.

განასხვავებენ კომპლექსთა სამ ჯგუფს: **ობიექტკომპლექსებს**, რომლებიც გარეგანი ობიექტების ფლობის სურვილით ხასიათდება; **ეგოკომპლექსებს,** რომლებიც ადამიანის მე-სთან, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებასთანაა კავშირში და **ქცევის კომპლექსებს**, რომლებშიც ცხოვრებისეულ პრობლემებზე ინდივიდების რეაგირების ტიპი და მათთან გამკლავების ჩამოყალიბებული ფორმები იგულისხმება.

კარლ იუნგი თვლიდა, რომ კომპლექსები არის ემოციურად დამუხტული აზრების, გრძნობებისა და მოგონებების ერთობლიობა, რომლებიც ინდივიდის მიერ გადმოტანილია მისი წარსულიდან, პირადი გამოცდილებიდან ან გვაროვნული, მემკვიდრეობითი გამოცდილებიდან. იუნგის თანახმად, კომპლექსებს, რომლებიც სრულიად ჩვეულებრივი თემების ირგვლივაა თავმოყრილი, საკმაოდ ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია თვით ინდივიდის ქცევაზე. მაგალითად, ძალაუფლების კომპლექსის მქონე ადამიანი თავისი ფსიქიკური ენერგიის დიდ ნაწილს შეიძლება ხარჯავდეს იმ საქმიანობისთვის, რომელიც პირდაპირ ან სიმბოლურად დაკავშირებულია ძალაუფლებასთან. იუნგი ამბობს, რომ კომპლექსი არის აფექტურად დამუხტული წარმოდგენების ერთობლიობა, რომელიც ამ აფექტური იდეებისა და მოგონებების ჯგუფია და ნაწილობრივ ან მთლიანად არაცნობიერია. **კომპლექსები ყალიბდება ბავშვობაში, ინტერპერსონალური ურთიერთობების საფუძველზე და ზემოქმედებს ადამიანის ემოციებზე, აზრებზე, გრძნობებსა და ქცევაზე.**

კომპლექსების აღმოსაჩენად იუნგმა შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტი. ასოციაციური ტექსტით მან კომპლექსების არსებობა ემპირიულად დაასაბუთა და სიღრმის ფსიქოლოგიას და ფსიქოსომატიკას ექსპერიმენტული საფუძველი ჩაუყარა.

ასოციაციური ექსპერიმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: პაციენტს ფსიქოლოგი ათეულობით სიტყვა-გამღიზიანებლის სერიას აწვდის. თითოეულ სიტყვაზე მას უჩნდება გარკვეული ასოციაცია და ამორჩეული სიტყვების მიხედვით ხდება ამოკითხვა წარსულის, იმის, თუ რა აწუხებს ამა თუ იმ პაციენტს.

იუნგი ახალგაზრდობაში კრიმინოლოგიის კვლევით იყო გატაცებული და ამ მეთოდს იქაც იყენებდა. ერთ-ერთმა კრიმინოლოგმა, 72 წლის მოხუცმა პროფესორმა იუნგის ამ მეთოდის ეფექტიანობაში ეჭვი შეიტანა და ახალგაზრდა ფსიქოლოგი სახლში დაპატიჟა, რათა ასოციაციური ექსპერიმენტის ვარგისიანობა დაემტკიცებინათ.

იუნგმა პროფესორთან საუბრისას შეამჩნია, რომ ის საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებდა სიტყვა „გულის“ ხსენებაზე. სულ რაღაც 10-12 სიტყვის შემდეგ იუნგმა პროფესორს უთხრა, რომ მას ეშინოდა გულის დაავადებით სიკვდილის, რადგან გული აწუხებდა (მისი ასოციაცია სიტყვა გულზე იყო ტკივილი). იუნგმა ასევე გამოთქვა ვარაუდი, რომ პროფესორს, სავარაუდოდ, საფრანგეთში სწავლისას სასიყვარულო ისტორია გადახდა თავს.

პროფესორი გააოგნა ახალგაზრდა ფსიქოლოგის მიგნებამ, იუნგმა კი უპასუხა, რომ ამ ყველაფრის ვარაუდი სწორედ ასოციაციებზე დაყრდნობით შეძლო.

**როგორც იუნგი აღნიშნავს, კომპლექსები შეიძლება იყოს ცნობიერი, არაცნობიერში განდევნილი და არაცნობიერი.**

კომპლექსების თემაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ადლერის არასრულფასოვნების კომპლექსს. ამ კომპლექსს აყალიბებს შემდეგი ფაქტორები:

**ორგანოთა დეფექტი** — იგულისხმება ბავშვის სხეულის რომელიმე ნაწილის ან ორგანოს თანდაყოლილი ან შეძენილი დეფექტი.

**აღზრდის სტილი** — აქ აღინიშნება ორი უკიდურესობა: მეტისმეტი სიმკაცრე და სიზარმაცის წამქეზებელი განებივრება. ბავშვის აღზრდის ამ ფორმებს ორგვარ შედეგამდე მივყავართ: პირველია **სამაგალითო** ბავშვი, რომლის ქცევაში წამყვანია კონფორმიზმი და უსიტყვო მორჩილება. ასეთი ბავშვი მოზრდილ ასაკში უინიციატივო ხდება და უჭირს ცხოვრებისეულ პრობლემებთან ბრძოლა და მათთან გამკლავება; და მეორე — **მეამბოხე, დაუმორჩილებელი ბავშვი**, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ამბიცია, სიჯიუტე და გადაჭარბებული მგრძნობელობა მარცხისადმი. ასეთ ბავშვებს მოზრდილ ასაკშიც, მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, აღენიშნებათ გადაჭარბებული ემოციური სტრესი და არასრულფასოვნების განცდა. განებივრებას ხშირად ყოვლისშემძლეობის განცდის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ასეთ პირობებში მკაცრ ცხოვრებისეულ რეალობასთან შეხებას და სურვილებისა და მოლოდინების დაუკმაყოფილებლობას ადამიანი დეპრესიისკენ მიჰყავს.

**ყველა, ვინც საკუთარ შვილს სხვებს ადარებს, ხაზს უსვამს სხვების უნარიანობას, წარმატებებს და თავისი შვილის უუნარობას, არასრულფასოვნების განცდას უნერგავს მას**



**მშობლები, რომლებიც ბავშვს არწმუნებენ, რომ სხვა კარგია, ის კი — ცუდი, მას ნევროტიკად აყალიბებენ.** ვიდრე ბავშვის გონება არ მოუმართავთ ისე, რომ შედარებები დაიწყოს, ის შედარებას არ დაიწყებს. ყველა, ვინც საკუთარ შვილს სხვებს ადარებს, ხაზს უსვამს სხვების უნარიანობას, წარმატებებს და თავისი შვილის უუნარობას, არასრულფასოვნების განცდას უნერგავს მას.

**ოჯახური კონსტელაცია** — იგულისხმება ბავშვის ადგილის, როლის და სტატუსის თავისებურება (ობოლი, ერთადერთი ბავშვი, უმცროსი, მამაკაცების გარემოცვაში გაზრდილი გოგონა და პირიქით და „არასასურველი ბავშვი“) და მისი გავლენა ბავშვისა და მოზრდილის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

**სქესობრივი განსხვავება** — ეს ფაქტორი დიდ როლს თამაშობს არასრულფასოვნების კომპლექსის გაძლიერებაში. შეგნებულად თუ შეუგნებლად პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი ნაკლებად ფასობს. სქესობრივი განსხვავებების სპეციფიკური დატვირთვა (შეხედულება, რომ მამაკაცი ძლიერი და მეტად დასაფასებელია, ქალი კი — სუსტი და შესაბამისად ნაკლებად ფასეული პატრიარქატში) წარმოშობს მამაკაცში ტენდენციას, რომ, რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი უპირატესი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს. ამას ყოველთვის თან ახლავს მამაკაცური პოზიციის დაკარგვის შიში. ქალებში ეს ყველაფერი იმპოტენციურ შურს და მასკულინურ პროტესტს აღძრავს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ქალის გაქცევა ქალურობიდან და მისი მცდელობა — გაუტოლდეს მამაკაცს, რომელიც ვლინდება კაცთან განუწყვეტელ პაექრობასა და შეჯიბრში.

**ადლერი წერდა, რომ „არასრულფასოვნების კომპლექსი“ თავისთავად არ არის დესტრუქციული, რადგან ის არის მიზეზი ადამიანის მდგომარეობის მრავალგვარი გაუმჯობესებისა.** უპირატესობისთვის ბრძოლა და აგრესიული ტენდენციები მთავარი ფაქტორებია თვითდამკვიდრების, სრულყოფისა და თვითგადარჩენისთვის ბრძოლაში. უპირატესობისთვის ბრძოლა შეგვიძლია გავიგოთ არა ვიწროდ, როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლა, არამედ უფრო ფართოდ, როგორც ბრძოლა საკუთარი თავის გასაუმჯობესებლად, რიგი უნარების განსავითარებლად. ადლერის მიხედვით, უპირატესობისკენ სწრაფვა თანდაყოლილია და სათავეს ევოლუციური პროცესებიდან იღებს.

ადლერისეული არასრულფასოვნების კომპლექსის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს საკმაოდ ცნობილი ქვემდგომობის, სხვაგვარად კი ბონაპარტეს კომპლექსი (მას ეს სახელწოდება ეწოდა ნაპოლეონ ბონაპარტეს შემთხვევის გამო. ცნობილია, რომ ეს პიროვნება განიცდიდა კომპლექსს მისი სიმაღლის გამო, ის 169 სმ სიმაღლის იყო და ცდილობდა, ნაკლი დაეფარა და მსოფლიო ბატონობის ამბიციით უგულებელყო). ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი თავს გრძნობს სხვაზე ნაკლებად. შესაძლოა, ეს კომპლექსი ეფუძნებოდეს როგორც რეალობას, ისე წარმოსახვას. ცნობილია, რომ ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი ბევრ ადამიანში ტკივილს იწვევს, ამიტომ ისინი ცდილობენ, კომპენსირება გაუკეთონ მას სხვადასხვა სფეროში დიდი მიღწევებით ან ისეთი ქცევით, რომელიც ხშირად საჭიროებს სოციალურ იზოლაციას. ნორმალური ქვემდგომობის განცდა შეიძლება გახდეს მოტივაცია სხვადასხვა სახის მიღწევებისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის ადამიანი საკმარის სიძლიერესა და მზადყოფნას გამოხატავს.

არსებობს ქვემდგომობის 2 სახე: პირველადი და მეორადი. პირველ შემთხვევაში ის ჩნდება ღრმა ბავშვობაშივე. ასეთ ადამიანებს აქვთ სისუსტის და სხვაზე დამოკიდებულების ძლიერი განცდა. მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე დედმამიშვილებს შორის, როდესაც მშობლები მუდმივად ადარებენ მათ ერთმანეთს. მეორეული ქვემდგომობის განცდა ვითარდება შედარებით მოზრდილ ასაკში და ეს, შესაძლოა, განაპირობოს სხვადასხვა სახის წარუმატებლობებმა. აღსანიშნავია, რომ სუსტი პირველადი ქვემდგომობის კომპლექსი ბიძგს აძლევს მეორადის განვითარებას. კომპლექსის გაძლიერება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები განმეორებით აწყდებიან წარუმატებლობას და ხვდებიან ისეთ სიტუაციებში, როცა თავს სხვაზე ნაკლებად გრძნობენ.

ქვემდგომობის კომპლექსს წარმოშობს ფიზიკური დეფექტი, მენტალური შეზღუდვები, როცა ადამიანს სხვებთან შედარებით ნაკლები მიღწევები აქვს, სოციალური დისკრიმინაცია და შეზღუდვები — დისკრიმინაცია რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური ან ეკონომიკური სიტუაციის, რელიგიის მი-

▶



ბრალის კომპლექსი აიძულებს ადამიანს არა მხოლოდ დაიცვას თავი დაზარალებულისგან, არამედ გაუაზრებლად დასაჯოს საკუთარი თავი, ამიტომ ამ ტიპის ადამიანი სხვაზე უფრო ხშირად ხვდება ავტოავარიებში, ემართება უბედური შემთხვევა, განიცდის ფინანსურ მარცხს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხედვით და ასევე, მშობლების დამოკიდებულება, თუ ისინი მუდმივად ხაზს უსვამენ ბავშვის შეცდომებსა და არასწორ საქციელს.

არასრულფასოვნების განცდა გარკვეულ მომენტებში რაღაცასთან დაკავშირებით შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდეს. პათოლოგიურ სახეს კი ის იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანში იმარჯვებს არაადეკვატურობის გრძნობა, რომელიც ამუხრუჭებს სასარგებლო აქტიურობას, დეპრესიულსა და განვითარებისთვის უუნაროს ხდის მას. **არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანი, როგორც წესი, ცდილობს, უკეთესად მოაჩვენოს თავი, ვიდრე არის სინამდვილეში და ყალბი წარმატებით მოახდინოს მისთვის აუტანელი არასრულფასოვნების განცდის კომპენსაცია.**

ვფიქრობთ, რომ პროფესიულად გამოუცდელ, მაგრამ ცხოვრებაში საკმაოდ გამოცდილ „შინაურ ფსიქოლოგსაც“ კი შეუძლია ამ კომპლექსის ყველაზე აშკარა სიმპტომების დადგენა. ეს სიმპტომებია: გადამეტებული თვითკრიტიკულობა, მუდმივი დაძაბულობის შეგრძნება და ცუდი წინათგრძნობა; დაქვეითებული თვითშეფასება; კრიტიკის, ნეგატივიზმის, უარის თქმის მიმართ მაღალი მგრძნობიარობა და საზოგადოებისგან თვითიზოლაცია; თავის არიდება იმისგან, რამაც შესაძლოა წარმოშვას პრობლემები: პიროვნებათა შორის ურთიერთობისგან, მასთან დაკავშირებული რისკებისგან და ამის გამო ფიზიკური კონტაქტებისგან, ინტიმური ურთიერთობებისგან; ურთიერთობის არსებობის დიდი სურვილის მიუხედავად, სოციალურ სიტუაციებში მორიდებულობის, თავმდაბლობის, გაუბედაობის, უნდობლობის უკიდურესი ხარისხით გამოვლენა; სიმარტოვის გრძნობა; საკუთარი თავის სოციალურად უუნარო, არასასიამოვნო ან სხვებთან შედარებით მეორეხარისხოვან პიროვნებად აღქმა; საკუთარი თავის მიმართ ზიზღი; გართულება ურთიერთობებსა და პროფესიულ საქმიანობაში.

ამ სიმპტომების მიუხედავად, დასკვნის გამოტანა, რომ ეს კომპლექსია, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხშირად გიჩნდებათ არასასიამოვნო განცდა საკუთარი ქცევის ან გარეგნობის თავისებურებების გამო; ხშირად ადანაშაულებთ საკუთარ თავს იმაში, რომ სამართლიანი არ იყავით სხვა ადამიანების მიმართ ან გარშემო მყოფთ აბრალებთ იმას, რომ ისინი უსამართლონი არიან თქვენ მიმართ; შებოჭილობას განიცდით ისეთი საქმის შესრულების დროს, რომელსაც აფასებენ სხვა ადამიანები; გეშინიათ ან ძალიან ღელავთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან შეხვედრის წინ; წარუმატებლობას ან მარცხს აბრალებთ საკუთარი ხასიათის ამა თუ იმ გამოვლენას ან საკუთარ გარეგნობას; პირად ცხოვრებაში, სამსახურში, მეგობრებთან, ზოგადად კი ადამიანებთან ურთიერთობაში ავლენთ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც „დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდის, ხოლო მერე უეცრად ფუჭდება“; მიგაჩნიათ, რომ აღზრდის დროს მშობლებმა დაუშვეს შეცდომები, რომლებიც ამჟამად არასასურველ გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე; თვლით, რომ შეუძლებელია, ვინმემ შეგიყვაროთ; მიისწრაფით რაღაც იდეალურისა და მიუწვდომლისკენ.

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ არასრულფასოვნების კომპლექსის ახლოს დგას ეგრეთ წოდებული ბრალის ან ბრალეულობის კომპლექსი. ამ დროს თუკი ადამიანი აწყენინებს სხვას (ან მას ხშირად და დაუსაბუთებლად თუ აბრალებენ ამგვარ ქცევას), გაუაზრებლად ცდილობს, გაამართლოს მართლაც ჩადენილი თუ მოგონილი საქციელი და ამის გამო ნეგატიურად ახასიათებს „დაზარებულს“.

**ბრალის კომპლექსი აიძულებს ადამიანს, არა მხოლოდ დაიცვას თავი დაზარალებულისგან, არამედ გაუაზრებლად დასაჯოს საკუთარი თავი, ამიტომ ამ ტიპის ადამიანი სხვაზე უფრო ხშირად ხვდება ავტოავარიებში, ემართება უბედური შემთხვევა, განიცდის ფინანსურ მარცხს.** იგივე მოსდით იმ ადამიანებს, რომლებსაც მსხვერპლის კომპლექსი ახასიათებთ. მათ ერთ წარუმატებლობას უმალვე მოჰყვება შემდეგი, საკუთარ თავისებურობას კი ისინი გამოიხატავენ ამგვარ ხედვაში: „რაც გინდა, ვაკეთო, საქმე მაინც არ გამომდის“.

უპირატესობის იმავე განდიდების კომპლექსი საკმაოდ ძნელი მოსაცილებელია, ის აყალიბებს ადამიანის გონებასა და ფსიქიკას, არასრულფასოვნების განცდის გადასაფარად ვლინდება საკუთარი უპირატესობისკენ მისწრაფებაში. იმის მიუხედავად, რომ ყველა ცდილობს, აჯობოს სხვას, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს არ უნდა ჰქონდეს უპირატესობის კომპლექსი. რა თქმა უნდა, ნორმალურია, რომ თითოეულ ჩვენგანს ჰქონდეს წარმატების მიღწევის ამბიცია და სურვილი, მაგრამ ეს უნდა ვლინდებოდეს საქმის კეთებაში და არ უნდა მივყავდეთ მცდარ შეფასებებამდე, რომლებიც განდიდების მანიად იქცევა და გახდება სულიერი მოშლილობის საწინდარი...

**სხვა სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობის პრობლემებიც** არასრულფასოვნების კომპლექსს უკავშირდება. მაგალითად, ვაჟს ეშინია გოგონასთან მიახლოების, რადგან მიაჩნია, რომ ის ყურადღებას არ მიაქცევს. ხშირად ამგვარი კომპლექსი კაცისა თუ ქალის მხრიდან საკუთარი გარეგნობის მიმართ გადაჭარბებულად უარყოფითი შეფასებითაც (არასრულფასოვნების განცდა) შეიძლება იყოს განპირობებული.

პასუხისმგებლობის შიშით გამოწვეული კომპლექსი ვლინდება, როდესაც ადამიანს ეშინია საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რაც მის ცხოვრებაში ხდება, და მუდმივად გამოთქვამს პრეტენზიას იმის გამო, რომ მის გარშემო ყველა დამნაშავეა, მის გარდა. სპეციალისტების ენით რომ ვთქვათ, ის დაცვით რეჟიმში იმყოფება. უმოქმედობა მისთვის ძალზე კომფორტულია, ვინაიდან შეუძლია, ყველა წარუმატებლობაში სხვები ან ვითარება დაადანაშაულოს.

აზრის გამოხატვის შიშით გამოწვეული კომპლექსის ფესვები ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. ალბათ, ყველას გვემახსოვრება მშობლებისა თუ ბაბუა-ბებიის მიერ ჩვენი „სწორი აღზრდის“ მიზნით არაერთხელ ჩამოთვლილი კატეგორიული აკრძალვების ნუსხა: „შენც რომ გეხებოდეს საუბრის თემა, ჩუმად უნდა იჯდე“; „ხმა არ ამოიღო და არ ჩაერიო ლაპარაკში, სანამ უფროსები არ შეგეკითხებიან (ანუ არ დაგრთავენ ნებას)“; „ხმამაღალი სიცილი სამარცხვინოა“; ან, რომ არ შეიძლება აკეთო ის, რაც შენ გსურს და უნდა აკეთო მხოლოდ ის, რასაც მშობელი გეუბნება; ან, რომ ბიჭები არ ტირიან; რომ წესიერი და ზრდილობიანი ადამიანები ასე არ იქცევიან და ასე შემდეგ.



ბრალის კომპლექსი აიძულებს ადამიანს, არა მხოლოდ დაიცვას თავი დაზარალებულისგან, არამედ გაუაზრებლად დასაჯოს საკუთარი თავი, ამიტომ ამ ტიპის ადამიანი სხვაზე უფრო ხშირად ხვდება ავტოავარიებში, ემართება უბედური შემთხვევა, განიცდის ფინანსურ მარცხს



**ბავშვი თუ ამგვარი მუდმივი და კატეგორიული „ქადაგებების“ გავლენით იზრდება, შემდგომში მიიჩნევს, რომ საკუთარი აზრი არ უნდა გამოთქვას და ემოციები არ უნდა გამოხატოს, პირიქით — უნდა დამალოს სხვა ადამიანებისგან.**

**სიმაღლის, სიბნელის, შეზღუდული ან ღია სივრცის შიშით გამოწვეული კომპლექსი შესაბამისი ფობიით,** შიშითაა წარმოქმნილი. უმეტესად ამგვარი შიში ადამიანს ფსიქოტრავმული სიტუაციების შედეგად უჩნდება. მაგალითად, იმ ადამიანების უმეტესობა, რომლებსაც ბავშვობაში მოუწიათ ლიფტში დიდი ხნით ჩარჩენა (გაჭედვა) შეზღუდულ სივრცეში განიცდიან დისკომფორტს, ვინაიდან, რომც არ ახსოვდეთ ბავშვობაში მომხდარი ფაქტი, ქვეცნობიერად ამგვარი შოკის განცდის მაინც ეშინიათ.

ზოგიერთი კომპლექსი მითოსის, დრამატურგიისა და თეატრის „დამსახურებით“ გახდა საყოველთაოდ ცნობილი. მაგალითად: კაენის კომპლექსი — უფროსი ძმის შური უმცროსი ძმის მიმართ, იმის გამო, რომ უმცროსს მეტი სიყვარული და სითბო ხვდებოდა ბავშვობიდანვე; იონას კომპლექსი — ადამიანი განიცდის წარმატების შიშს და ამის გამო აქვეითებს საკუთარ ამბიციებს; პოლიკრატეს კომპლექსი — ნებისმიერი მიღწევის მოახლოების პერიოდში ადამიანში უზომოდ იზრდება მღელვარება და შიშის განცდა; **ოიდიპოსის კომპლექსი** — გაუცნობიერებელი ლტოლვა საწინააღმდეგო სქესის მშობლის მიმართ; **იოკასტას კომპლექსი** — ოიდიპოს მეფის კომპლექსის შებრუნებული სახეობა. ამ კომპლექსის პროდუქტი დედიკოს ბიჭები არიან; ელექტრას კომპლექსი ოიდიპოსის კომპლექსის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ ეს ქალიშვილის მამისკენ მისწრაფებაში გამოიხატება.

**დესტრუქციული კომპლექსი** გულისხმობს სისასტიკის ინსტინქტს და ვლინდება ნგრევის იმპულსებში. ბავშვის ორალური კანიბალისტური ტენდენცია მიმართულია საკვების დაქუცმაცებისკენ. როდესაც ორალური ფაზა ჩაივლის, დესტრუქციული კანიბალიზმი გრძელდება, ოღონდ მიმართულია არა საკვებზე, არამედ სხვაზე. ამ ეტაპზე სადიზმი მაზოხიზმთან კომბინაციაში წარმოჩინდება. ბავშვი, რომელიც ტკბებოდა დესტრუქციითა და სხვებისადმი ზიანის მიყენებით, ამჟამად ტკბება აუტოაგრესიით. სუბლიმირებული ფორმით ის წარმოშობს ქირურგებს, გამოჩენილ გენერლებს, ხოლო მაზოხისტური ფორმით ქმნის ნევროზულ ასკეტიზმს.

როგორც კი ბავშვი ანატომიურ სქესობრივ განსხვავებას აღმოაჩენს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქალი არ არის სრულყოფილი და კასტრირებული ჰგონია. ის უშვებს შესაძლებლობას, რომ მასაც იმავეს გაუკეთებენ, რაც აშინებს. ეს შიში აყალიბებს კასტრაციის კომპლექსს. გოგონებიც განიცდიან საკუთარ „არასრულფასოვნებას“. **ამ დროს ბიჭი ამაყობს თავისი სქესით და ამ უპირატესობის დაკარგვის ეშინია, ხოლო გოგონას კაცად გახდომის სურვილი უჩნდება და ცდილობს, აჯობოს მამაკაცებს ან არაცნობიერად იგივდება კიდეც მათთან. ამას დიანას კომპლექსს ან ამორძალის კომპლექსს ეძახიან.** კასტრაციის კომპლექსის სუბლიმირებას ბიჭებში ლიდერად ქცევის გზით საკუთარი უპირატესობის აღიარებისა და შენარჩუნებისკენ მივყავართ, ხოლო გოგონებში — ისეთი ტიპის ქალამდე, რომელიც სულ ეჯიბრება კაცებს, იქნება ეს სპორტი, ბიზნესი, პოლიტიკა თუ ხელოვნება.

გარდა ჩამოთვლილისა, არსებობს სპეციალისტებისთვის კარგად ცნობილი ან ჯერ შეუსწავლელი, ახალ ეპოქას მოყოლილი მრავალი სხვა კომპლექსიც.

**თვითოეულ ჩვენგანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული, თითის ანაბეჭდივით განუმეორებელი კომპლექსები. ზოგი უფრო ძლიერია და ზეგავლენას ახდენს ჩვენს სულიერ სამყაროზე ან ქცევაზე, ზოგი კი ისე სუსტია, რომ იშვიათად აშკარავება.** ორივე კატეგორიის კომპლექსები არსებობენ ჩვენს ქვეცნობიერებაში და „ზედაპირზე“, ანუ აქტიურ ცნობიერებაში მათი ამოსვლა ყოველთვის იწვევს არასასურველ, უსიამოვნო და ზოგჯერ მტკივნეულ პროცესებს. თუ მიიჩნევთ, რომ რომელიმე ხელს გიშლით ცხოვრებაში, უნდა ეცადოთ, დაძლიოთ ის; ხოლო რომლებიც თქვენს ყოფაზე არ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, უმჯობესია მათ ჯერჯერობით თავი დაანებოთ.

**არ იფიქროთ, რომ კომპლექსებისგან თავის დაღწევა იოლია. ეს პროცესი ზოგიერთი მავნე ჩვევისგან (მაგალითად, თამბაქოს მოწევა) გათავისუფლებაზე რთულია. კომპლექსებს საკმაოდ მაღალი მდგრადობა გააჩნია და ამიტომ მათი დაძლევა მონდომებას, დროს და მოთმინებას მოითხოვს.**

პირველი ნაბიჯი გაცნობიერებაა, ვინაიდან კომპლექსები გაუთვითცნობიერების „შვილობილები“ არიან. აღმოჩენისა და იდენტიფიცირების შემდეგ კომპლექსი კი არ უნდა განდევნოთ, არამედ მასთან უნდა გამართოთ „დიპლომატიური მოლაპარაკებები მაღალ დონეზე“. მიიღეთ ის, როგორც დიდი ხნის განმავლობაში თქვენი სულის საკმაოდ ცნობილი ნაწილი, ანუ დაარქვით რეალური სახელი (ნუ მოიტყუებთ თავს). ამის შემდეგ „განუცხადეთ“, რომ კარგად იცნობთ მას და ის თქვენ ველარ ჩაგისაფრდებათ. ჩავთვალოთ, რომ ამ ნაბიჯის დონეზე თქვენ უკვე კარგად იცით, რა შემთხვევაში და რა სახით შეიძლება გამოვლინდეს ესა თუ ის კომპლექსი.

ამის შემდეგ კომპლექსს ჯიუტად კი არ ეჭიდავოთ, არამედ მიუჩინეთ კუთვნილი ადგილი, რათა იცოდეთ, სად და რა მომენტში იჩენს თავს, რომ არ შეეჯახოთ, არამედ გვერდი აუაროთ და გარდაქმნათ თქვენსავე სასარგებლოდ. თუ ამას შეძლებთ, კომპლექსი თქვენი ხასიათის სასარგებლო თვისებად იქცევა; მაგალითად, არასრულფასოვნობის კომპლექსი — ზომიერ თვითკრიტიკულობად; უპირატესობის ან განდიდების — საკუთარი თავის პატივისცემად; ბრალის — ემოციურ თანაგრძნობად; კლეოპატრას კომპლექსი — მამაკაცების მომხიბვლელ უმანკო კეკლუცობად და ასე შემდეგ.

**კომპლექსების გადალახვა არ არის მარტივი, რადგან, პირველ რიგში, საჭიროა, მოვიძიოთ კომპლექსის წყარო და წარმოშობის მომენტი, ანუ ის, თუ როდის და რატომ გაჩნდა იგი. როდესაც ეს მომენტი ან მომენტები იქნება ნაპოვნი, ამის შემდეგ იწყება ანალიზი, ადეკვატური თუ იყო ის გამოწვევა, რომელიც ვერ ან არ გადაილახა ჩვენ მიერ** და ამის შემდეგ გავიაზროთ, თუ რამდენად მოხერხდა მისი საბოლოო გადალახვა ახლა. გასააზრებელია ისიც, თუ რა სტანდარტებს ვუწესებთ საკუთარ თავს და რამდენად არის იგი დაკავშირებული წარსულ გამოცდილებასთან. თუ კომპლექსები ხელოვნურად დაბალი ან მაღალი პიროვნული და ქცევითი სტანდარტების ნაყოფია, ხომ არ სჯობს, რომ იგი მოვარგოთ რეალურ შესაძლებლობებს, რადგან ხელოვნური სტანდარტი კმაყოფილების გრძნობას აიშვიათებს, ამის შემდეგომ კი იწყება მოცემული მდგომარეობს გადაფასება, შედარება და ადეკვატური შეფასება? სწორედ ასეთი სიღრმისეული ანალიზის შემდგომ, შესაძლოა, გადაილახოს წარსულში წარმოშობილი კომპლექსები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე ღრმა გამოქვაბული — კრუბერ-ვორონიას გამოქვაბული, აფხაზეთი, საქართველო. მისი სიღრმე 2000 მეტრს შეადგენს, თუმცა შესაძლებელია, უფრო ღრმა იყოს, რადგან გამოქვაბული ბოლომდე გამოკვლეული არაა.**

# დედამიწის ყველაზე ექსტრემალური მაჩვენებლები



**ჩვენი მშობლიური პლანეტა დედამიწა გვაოცებს ექსტრიმის მაღალი დონით; იქნება ეს დედამიწის ყველაზე ცივი ადგილი თუ ყველაზე ღრმა ღრმული ოკეანეში. პლანეტის ყველაზე ექსტრემალური მაჩვენებლები ასე გამოიყურება:**

* ყველაზე ცხელი დასახლებული ადგილი დედამიწაზე — **დალოლი**, ეთიოპია. აქ საშუალო დღიური ტემპერატურა 34, 5 გრადუსია ცელსიუსით.

* ყველაზე ღრმა გამოქვაბული — **კრუბერ-ვორონიას** გამოქვაბული, აფხაზეთი, საქართველო. მისი სიღრმე 2000 მეტრს შეადგენს, თუმცა შესაძლებელია, უფრო ღრმა იყოს, რადგან გამოქვაბული ბოლომდე გამოკვლეული არაა.

* დედამიწის უმაღლესი წერტილი — **ევერესტის მთა.** ევერესტის სიმაღლე ზღვის დონიდან 8 848 მეტრია.

* დედამიწის ცენტრიდან ყველაზე დიდი მანძილით დაშორებული ადგილი — **ჩიმბორასო, ეკვადორი.**

* ყველაზე განმარტოებული კუნძული — **ბუვე.** ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძული, რომელიც ნორვეგიას ეკუთვნის, თითქმის 1000 მილითაა დაშორებული ანტარქტიდიდან და 1500 მილით — სამხრეთ აფრიკიდან.

* ყველაზე განმარტოებული წერტილი კონტინენტზე — **ანტარქტიდის პოლუსი.** ეს არის ადგილი, რომელიც ყველაზე დიდი მანძილითაა დაშორებული ოთხივე ოკეანიდან.

* ყველაზე ბრტყელი ადგილი დედამიწაზე — **უიუინის მარილის საბადოები, ბოლივია.** ეს არის მსოფლიოში მარილის ყველაზე დიდი საბადო, რომლის ფართობი 4 086 კვადრატული მილია.

* ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე სანაოსნო ტბა — **ტიტიკაკა.** პერუსა და ბოლივიის საზღვარზე მდებარე ტიტიკაკას ტბა ზღვის დონიდან 3 812 მეტრზე მდებარეობს.

* ზღვის დონიდან ყველაზე დაბლა მდებარე წერტილი ხმელეთზე — **მკვდარი ზღვის სანაპირო.** ეს წერტილი მდებარეობს იორდანიისა და ისრაელის საზღვარზე და ის ზღვის დონიდან 418 მეტრით დაბლაა.

* ყველაზე გრძელი მთაგრეხილი — **ანდები,** სამხრეთ ამერიკა. 5000 მილი სიგრძის ეს მთაგრეხილი სამხრეთ ამერიკის შვიდი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის.

* ყველაზე ღრმა ხელოვნური ღრმული — **კოლის** ზეღრმა ქვაბული. მისი სიღრმე 12 262 მეტრს შეადგენს.

* ყველაზე წვიმიანი ადგილი დედამიწაზე — **ჩოკო,** კოლუმბია. აქ წლის განმავლობაში 11 770 მილიმეტრი ნალექი მოდის.





* ყველაზე მშრალი ადგილი დედამიწაზე — **ატაკამას უდაბნო, ჩილე.** უძველესი ქალაქის არიკას ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად დაუსახლებელია, 1903-1918 წლებში წვიმის ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა.

* ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს — **ეთიოპია.** ამ ქვეყანაში დაახლოებით 70 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

* ყველაზე მკვეთრად დაქანებული მთა დედამიწაზე — **თორის მთა, კანადა.** მთის სიმაღლე 1 250 მეტრია და ის 105 გრადუსითაა დახრილი.

* ყველაზე ცივი დასახლებული პუნქტი — **ოიმიაკონი, რუსეთი.** აქ წელიწადის შვიდი თვის განმავლობაში ტემპერატურა ნულს ქვევითაა.

* ყველაზე ქარიანი ადგილი დედამიწაზე — **თანამეგობრობის ყურე, ანტარქტიდა.** აქ გამუდმებით ქრის ქარები, რომელთა საშუალო სიჩქარე 240 კმ/სთ-ია.

* ყველზე მაღალი ჩანჩქერი — **ანხელი, ვენესუელა.** ჩანჩქერის სიმაღლე 1 054 მეტრია და, სანამ წყალი მიწას მიაღწევს, მისი უდიდესი ნაწილი აორთქლებას ასწრებს.

* ყველაზე მაღალი უღელტეხილი მთაში — **მარსიმიკლა, ინდოეთი.** ეს უღელტეხილი 5582 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

* ყველაზე დიდი მტკნარი წყლის ტბა — **ზემო ტბა, კანადა.** ამ ტბის ფართობი 31 320 მილის ტოლია.

* ქვეყანა ყველაზე გრძელი სანაპირო ხაზით — **კანადა.** კანადის სანაპირო ხაზი 151 019 მილზეა გადაჭიმული.

* ყველაზე გრძელი ხეობა — **დიდი კანიონი,** აშშ. ამ ხეობის სიგრძე 220 მილს უდრის, ხოლო სიმაღლე ერთი მილის ტოლია.

* ყველაზე დიდი მყინვარი — **ლამბერტ-ფიშერი, ანტარქტიდა.** მყინვარი თითქმის 100 მილზეა გადაჭიმული.

* ყველაზე მოკლე მდინარე — **როუ, მონტანა.** ამ მდინარის სიგრძე 61 მეტრის ტოლია.

* ყველაზე დაბალი წერტილი — **ჩელინჯერის უფსკრული.** ჩელინჯერის უფსკრული მდებარეობს მარიანის ღრმულის ქვედა ნაწილში 10 911 მეტრ სიღრმეზე ზღვის დონიდან.

# რაზე მეტყველებს ადამიანის ნაჯღაბნი?

**ტელეფონზე საუბრისას, ლექციის მოსმენისას ან სხვა საქმის კეთებისას უნებურად ვჯღაბნით ხოლმე ფურცლის ნაგლეჯზე სხვადასხვა ორნამენტებს ან ნახატებს. მეცნიერები პლიმუტის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტიდან ამტკიცებენ, რომ ეს ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას და დამახსოვრების ხარისხს აუმჯობესებს, მაგრამ ნაჯღაბნის მიხედვით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ადამიანზე, მის ხასიათსა და განწყობაზე.**



**სპირალი, წრეები** — სხვების პრობლემები მაინცდამაინც არ გადარდებთ ან საერთოდ არ გაინტერესებთ. შესაძლოა, მსუბუქ კრიზისს განიცდით. ახლა აუცილებლად თავს უნდა მიხედოთ, რომ არ აფეთქდეთ და არ მიაყენოთ ვინმეს შეურაცხყოფა.

**ყვავილები** — სინამდვილეში არც ისე მხიარულად ხართ, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, უფრო — პირიქით. ყველაზე მეტად ნატრობთ მეგობრობასა და სითბოს ან სინაზეს. ეცადეთ, უახლოეს პერიოდში უფრო მეტი დრო გაატაროთ სხვა ადამიანების გარემოცვაში.

**ცა, მზე და ღრუბლები** — სიცოცხლისმოყვარული, მხიარული და ენერგიით სავსე ბრძანდებით.

**უჯრები** — გრძნობთ, რომ მოხვდით სარისკო ან უხერხულ სიტუაციაში. უფრო ხშირად მიდრეკილი ხართ, წყენა და გაღიზიანება გულში ჩაიკლათ.

**გულების გადაკვეთა** — გრძნობებით ხართ აღსავსე. გსურთ, მთელ მსოფლიოს მოეალერსოთ. არაა საჭირო ცივი და უკარებას როლის თამაში და გრძნობების დამალვა. გამოთქვით და გამოხატეთ ისინი.

**შპალერის მსგავსი ორნამენტები** — ასეთი ორნამენტი მეტყველებს თქვენს მოწყენილობაზე. ალბათ, მოგბეზრდათ ის საუბარი, რომელსაც ისმენთ ხატვის მომენტში, ან იქნებ ცხოვრების სტილიც...

**ჯვრები** — ჯვრები გამოხატავენ დანაშაულის გრძნობას, რომელიც, სავარაუდოდ, საუბრის მომენტში გაჩნდა. რაღაც გაწუხებთ: ან თქვენ თვითონ არ ასვენებთ თქვენს თავს, ან მოსაუბრე გამტყუნებთ და ბრალს გდებთ რაღაცაში.

**ადამიანები** — ეს უსუსურობის ნიშანია ან გამოხატავს სურვილს, თავი აარიდოთ რაიმე ვალდებულებას.

**ლამაზი სახე და პროფილი** — გახასიათებთ ჩართულობა და დაინტერესებულობა საქმით, ჰუმანურობა და სიყვარული ადამიანების მიმართ.

**საშინელი, მახინჯი სახეები** — უსიამოვნო მდგომარეობაზე ან გარკვეული მიზეზის გამო უხასიათობაზე მეტყველებს.

**კვადრატები, სამკუთხედები და სხვა გეომეტრიული ფიგურები** — ამ დროს ნახატი ნახაზს უფრო ჰგავს. არაა ადვილი თქვენი მოტყუება. თქვენ გაქვთ კონკრეტული მიზნები და რწმენა, თითქმის არასდროს მალავთ საკუთარ აზრებს. ძირითადად, ხართ მობილიზებული და ცდილობთ, შეხედოთ მოვლენებს მარტივად. თუკი კუთხეები განსაკუთრებით წაწვეტებულია, ეს უკვე იმ აგრესიის ნიშანია, რომლის დაფარვასაც ცდილობთ ხოლმე.

**ტალღოვანი ხაზები, ნოტები ან მუსიკალური გასაღები** — მუსიკისკენ მიდრეკილებას გამოხატავს.

**ფუტკრის ფიჭა** — ასეთი ნახატი გამოხატავს სწრაფვას სიმშვიდისკენ, ჰარმონიისკენ და დალაგებული ცხოვრებისკენ; ასევე, შეიძლება აღნიშნავდეს ოჯახის შექმნის სურვილს.

**ჭადრაკის დაფა** — როგორც ჩანს, უსიამოვნო სიტუაციაში ან გასაჭირში ხართ. თუ ასეთი გამოსახულებები ხშირად ჩნდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფარული კომპლექსები გაწუხებთ.

**ჩაკეტილი წრეები** — მაღალი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები ჭარბობს თქვენში.

**წრეების გადაკვეთა** — სტაბილური კავშირიც შეიძლება იყოს, მაგრამ უფრო ხშირად ასეთი ნახატი გამოხატავს რამეში მონაწილეობის მიღების სურვილს. მოცემულ მომენტში თქვენ გრძნობთ, რომ არ ხართ ჩართული მოვლენებში.

**ხეები** — თუ ხე გაშიშვლებულია — დაბნეულობასა და დათრგუნულობას ნიშნავს, ხოლო დატოტვილი ხე ენერგიულობაზე და სიცოცხლის ხალისის ქონაზე მეტყველებს.

**ციფრები** — კონცენტრირებული ხართ მატერიალურზე უფრო მეტად, ვიდრე სულიერზე. თქვენი აზრები ტრიალებს ფულის შოვნის ირგვლივ. შესაძლოა, ვალების გასტუმრების დრო დადგა.

**კიბე** — დაურწმუნებლობისა და დაძაბულობის აღმნიშვნელია.

**ვარსკვლავები** — ისწრაფვით მიიღოთ ის, რაც არ გაქვთ, თუნდაც აღიარება, ან სიყვარული. ოპტიმისტი ბრძანდებით.

გაითვალისწინეთ, აღნიშნული მეთოდიკა არაა აბსოლუტურად სანდო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩვენი პლანეტა ამოუცნობი და უამრავი ფენომენის მატარებელია. უმეტესობა ადამიანის გონებისთვის მისაწვდომია, მაგრამ ამ დრომდეც არსებობს არაერთი იდუმალი მოვლენა, რომლებიც ვერანაირი მიწიერი ლოგიკით ვერ ახსნა კაცობრიობამ.

# მოვლენები, რომლებსაც მიწიერი ლოგიკით ვერ ხსნიან



## ფრინველი მოა

**მოა** ის ფრინველია, რომლებიც, თეორიულად, 1500 წელს აბორიგენი მაორის მიერ იქნა გადაშენებული; თუმცა ახლახან მეცნიერებმა ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ახალი ზელანდიის მთების გამოქვაბულთა სისტემის კვლევისას იპოვეს ჩიტის ფეხი, რომელიც არც ისე ძველია და სწორედ მოასი უნდა იყოს.



## ობელისკი

ამ ობელისკის გამოთლა დაუწყიათ პირდაპირ კლდეზე, ეგვიპტეში, მდინარე ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაგრამ გაჩენილი ბზარების გამო მიუტოვებიათ. მისი ზომა კი ნამდვილად განსაცვიფრებელია. ამ ნაგებობის შექმნის თარიღი და მიზანი დღემდე უცნობია.



## წყალქვეშა ქალაქი

იაპონიაში, კუნძულ იონაგუნის სანაპირო წყლებში მყვინთავებმა წყალქვეშ ჩაძირული ქალაქი აღმოაჩინეს, რომელიც 10 000 წლის წინათ არსებობდა, ვიდრე ეგვიპტის პირამიდებს ააგებდნენ. მეცნიერთა აზრით, იმ პერიოდში ხალხი ეწეოდა მემცენარეობასა და მეცხოველეობას.

## ქვის ბურთულები

კოსტა-რიკის ერთ-ერთი მდინარის ხეობაში აღმოჩენილი მრგვალი ფორმების, უზარმაზარი, მისტიკური ქვები გვაოცებენ თავიანთ წარმოშობითა და დანიშნულებით. ისინი პირველად აღმოაჩინეს XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც მუშები გაწმენდით სამუშაოებს ჯუნგლებში ასრულებდნენ ბანანის პლანტაციების დასარგავად. ლეგენდის მიხედვით, ქვების შუაგულში ოქრო უნდა ყოფილიყო დამალული, თუმცა ბურთები ცარიელია.



## ტაძრების კომპლექსი პერუში

**ტაძრების კომპლექსი** მდებარეობს პერუს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ინკების ძველი დედაქალაქის კუსკოს განაპირას. გასაოცარია ქვის წუნდაუდებელი წყობით, ამასთანავე, ქვების ერთმანეთთან შესაწებებლად არანაირი საშუალება არაა გამოყენებული.



## მზის კარიბჭე

მზის კარიბჭე მდებარეობს ბოლივიაში, ტიტიკაკას ტბიდან 20 კმ-ში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კაცობრიობის პირველ ათწლეულში ის უდიდესი იმპერიის საწყისს წარმოადგენდა. დღემდე უცნობია, რას აღნიშნავს მასზე არსებული ნახატები. არსებობს მოსაზრება, რომ მათ ჰქონოდათ გარკვეული ასტროლოგიური თუ ასტრონომიური მნიშვნელობა.



## მთვარის გამოქვაბული

გამოქვაბული, რომელიც მთვარის გამოქვაბულად იწოდება, მდებარეობს ჩინეთში, ჰებეის პროვინციაში. ის რთული კონსტრუქციაა და ერთ დროს გაწეული უდიდესი შრომის შედეგს წარმოადგენს. მოჩუქურთმებული და მოპირკეთებულია ქვიშაქვით უამრავი ადამიანის მიერ, თუმცა არსადაა ნახსენები გამოქვაბულის შექმნის თარიღი და იდეა.



## მკვდარი გორა

1922 წელს პაკისტანელმა არქეოლოგმა ბანარჯიმ სინდის პროვინციაში ერთ-ერთ კუნძულზე მიმდებარედ აღმოაჩინა უძველესი ქალაქის ნანგრევები. მრავალი ათწლეულის მანძილზე იკვლევდნენ არქეოლოგები ამ ქალაქის „გარდაცვალების“ მიზეზს — სად წავიდნენ იქ მაცხოვრებელი უძველესი ხალხები და რის გამო დაინგრა ქალაქი. პასუხი კი არც ინდოეთში და არც პაკისტანში არავინ იცის.



## უძველესი ქალაქი L’Anse aux Meadows

ქალაქი, კანადაში, სავარაუდოდ, 1000 წლის წინათ ვიკინგებმა დააარსეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათ მიაღწიეს ჩრდილოეთ ამერიკას მანამ, სანამ ქრისტეფორე კოლუმბი დაიბადებოდა.



## ქვის ხანის გვირაბი

არქეოლოგემა ევროპაში, საფრენგეთიდან თურქეთამდე მიწისქვეშა გვირაბების უდიდესი ქსელი აღმოაჩინეს, რომელიც ქვის ხანის პერიოდისაა. მეცნიერები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ, ნადირობისა და შეკრების გარდა, ხალხი მიწისქვეშა გათხრებითაც ყოფილა დაკავებული. ამ გვირაბების გაყვანის რეალური მიზანი საიდუმლოდ რჩება. თუმცა უმეტესი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გვირაბების მიზანი იყო, ადამიანი დაეცვა თავდამსხმელი ცხოველებისგან, ცუდი ამინდისგან და ომის პერიოდში.





მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ტუნისი — მაღრიბის მარგალიტი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბუბლიკა ტუნისი (ოფიც. — ალ-ჯუმჰურიიია ატ ტუნისიიია) — აფრიკის ჩრდილოეთში მდებარე სახელმწიფოა. სამხრეთით ესაზღვრება ლიბიას, დასავლეთით — ალჟირს, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ხმელთაშუა ზღვაზე.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს დედაქალაქის სახელისგან — ტუნისი, რომელიც ფინიკიის დედოფლის — ტანიტის პატივსაცემად დაერქვა.

ჩვ. წ. აღ. 1100-600 წლებში თანამედროვე ტუნისის ტერიტორიაზე ფინიკიელებმა დააარსეს ქალაქები — კართაგენი, სუსი, უტიკა და ბიზერტა. მთავარი ქალაქი გახდა კართაგენი. ჩვ. წ. აღ.. III საუკუნეში კართაგენი ისე გაძლიერდა, რომ დაიპყრო ესპანეთის სამხრეთი, აფრიკის ჩრდილოეთი, სიცილია, სარდინია, კორსიკა, მაგრამ რომის იმპერიასთან რამდენიმე ომის შემდეგ დამარცხდა და 146 წელს იულიუს კეისარმა დაანგრია.

VII საუკუნეში ქვეყნის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ არაბები, რომლებმაც დააარსეს პირველი არაბული ქალაქი — კაირუანი. მოგვიანებით ტუნისი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო.

1705 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ტუნისი.

1881 წელს ტუნისი საფრანგეთის კოლონია გახდა.

1956 წლის 20 მარტს კი დამოუკიდებლობა მოიპოვა (საფრანგეთისგან).

**კლიმატი.** ტუნისის კლიმატი დიდწილად სუბტროპიკულია. იანვარში საშუალო ტემპერატურა პლუს 9 გრადუსია, ივლისში — 26.

**ფლორა.** ტუნისის მცენარეული საფარი თითქმის არაფრით განსხვავდება სამხრეთევროპულისგან. ქვეყნის ჩრდილოეთში ხარობს კორპის ხე, მუხა, ფიჭვი, ღვთია. სამხრეთში (ტუნისის ტერიტორიის 40% უდაბნო საჰარას უკავია) — ძირითადად, ბუჩქნარი და ბალახებია. ოაზისებში ხარობს ფინიკის პალმა.

**ფაუნა.** ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობს ჰიენა, გარეული ტახი, ტურა, უდაბნოს კურდღელი და რამდენიმე სახეობის ქვეწარმავალი, მათ შორის სათვალიანი გველგესლა.

**უმაღლესი წერტილია** მთა **შამბი (1544 მ.).**

**უდიდესი ტბები: შოტ-ელ-ჯერიდი** და **შოტ-ელ-გარსა.**

**უდიდესი მდინარე: მეჯერდა (460 კმ.).**

ტუნისის **ტერიტორია 163 610 კვ.კმ-ს** შეადგენს (91-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წლის შეფასებით ტუნისში **10,8 მლნ** კაცი ცხოვრობს (79-ე) მოსახლეობის 97% არაბია, ცხოვრობენ, აგრეთვე, ბერბერები (1%), კავკასიიდან წაყვანილი ეგვიპტელი მამლუქების შთამომავლები და ებრაელები.

**დედაქალაქი — ტუნისი (651 ათასი).**

**უდიდესი ქალაქები — ტუნისი, სფაქსი (265 ათასი), სუსი (173 ათასი).**

**ოფიციალური ენა: არაბული.**



ქალაქი ტუნისი



კართაგენის ნანგრევები



უძველესი თეატრის ნანგრევები



მუზეუმი ბარდო

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ტუნისი რესპუბლიკაა, რომელშიც სახელმწიფოს პირველი პირია 5 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი. ამჟამად პრეზიდენტია **ბეჯი ქაიდ ესსებსი.**

პრემიერმინისტრი — **ჰაბი ესსიდი.**

საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი. ქვეყანა დაყოფილია 24 ვილაიეთად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა 264 ოლქად.

**რელიგია.** ტუნისის მოსახლეობის 98% მუსლიმანია — სუნიტი, მცირერიცხოვანია კათოლიკეთა თემი და იუდეველები.

## ეკონომიკა

ტუნისი აგრარული ქვეყანაა, რომლის მრეწველობაც სწრაფი ტემპით ვითარდება. საერთოდ, მაღრიბის (არაბული ქვეყნები ეგვიპტიდან დასავლეთით) ქვეყნებში ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ ტუნისი ითვლება და მას მაღრიბის მარგალიტს უწოდებენ. აწარმოებენ მარცვლეულს, ბოსტნეულს, მისდევენ მეცხოველეობას. განვითარებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობა, აგრეთვე, მსუბუქი და კვების მრეწველობები, ტურიზმი.

ქვეყანაში მოიპოვებენ რკინას, ტყვიას, თუთიას, ფოსფორს.

ტუნისის **მთლიანი შიგა პროდუქტი 108,4 მრდ დოლარია**, მოსახლეობის ერთ სულზე — **10 ათასი დოლარი.**

**ვალუტა: ტუნისური დინარი.**

1 ტუნისური დინარი უდრის 0,51 აშშ დოლარს.

**ინტერნეტდომენი: tn**

**სატელეფონო კოდი: +216**

**საათობრივი სარტყელი: GTM +1**

## კულტურა

ტუნისის კულტურა მრავალი კულტურის შერწყმის შედეგად შეიქმნა — რომაულის, ებრაულის, ქრისტიანულის, არაბულის, თურქულისა და ფრანგულის.

**ღირსშესანიშნაობები.** ქალაქ ტუნისში — ფოსტის მუზეუმი, ზოოპარკი, წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესია, დიდი მეჩეთი, ეროვნული ბიბლიოთეკა, დარ ბენ აბდალას სასახლე, ნაციონალური მუზეუმი ბარდო. ტურისტებს იზიდავს მოყვითალო-მოყავისფრო პლაჟების მქონე კურორტები, ანტიკური ძეგლები, „თერმული საგანძური“ — კართაგენისდროინდელი ცხელი აბანოები.

## კუსკუსი ცხვრის ხორცით

**კუსკუსი — ეს არის ხორბლის ბურღული, რომელსაც ამ სახელწოდების კერძებში მთავარ ინგრედიენტად იყენებენ. ამჟამად კუსკუსს მანანის ბურღულისგან ამზადებენ.**

### ინგრედიენტები (6 ულუფისთვის):

* ცხვრის ხორცი (წვრილად დაჭრილი) — 2 კგ.
* ხახვი (წვრილად დაჭრილი) — 4 თავი.
* ზუითუნის ზეთი — 0,5 ჩ/ჭ
* ტომატი — 180 გრ
* ძირა — 1 ს/კ
* შავი პილპილი — 1 ჩ/კ
* ნიორი — 5 კბილი
* მარილი — გემოვნების მიხედვით
* ბულგარული წიწაკა (წვრილად დაჭრილი) — 2 ც
* ყაბაყი — 1 ც
* თალგამი (წვრილად დაჭრილი) — 4 ც
* სტაფილო (წვრილად დაჭრილი) — 4 ც.
* მწვანე ხახვი (წვრილად დაჭრილი) — 500 გრ
* კარტოფილი — 500 გრ
* მანანის ბურღულისგან დამზადებული კუსკუსი (მოხარშული) — 500 გრ
* ოხრახუში (წვრილად დაჭრილი) — 3 ტოტი
* ლიმონი — 2 ც
* პომიდორი (წვრილად დაჭრილი) — 2 ც



მომზადება:

**დიდ ქვაბში შებრაწეთ წვრილად დაჭრილი ცხვრის ხორცი და ხახვი. დაუმატეთ ტომატის პასტა და მასა ცეცხლზე დატოვეთ 5 წთ-ით, თან გამუდმებით მოურიეთ. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი პომიდორი, სანელებლები, ბულგარული წიწაკა და 15 წუთით ნელ ცეცხლზე ხარშეთ. ქვაბში ჩაყარეთ დარჩენილი ბოსტნეული, მასა წყლით დაფარეთ და 15 წუთით ხარშეთ.**

**თეფშებზე გადაიტანეთ კუსკუსი; ზემოდან დადეთ ხორცი ბოსტნეულთან ერთად, მოაყარეთ ოხრახუში და მწვანე ხახვი. კერძი მორთეთ ლიმონის ნაჭრებით.**

## სამზარეულო

ტუნისელები კერძების დასამზადებლად იყენებენ ხორბალს, მანანის ბურღულს, ზეთისხილს, ხორცს — საქონლის, ცხვრის, ზოგ რეგიონში — აქლემის. ხილს, ბოსტნეულს, თევზსა და ზღვის სხვა პროდუქტს. ტრადიციული კერძებისგან პოპულარულია კერძები, რომლლებსაც ამზადებენ კარტოფილისგან, პომიდვრისგან, სტაფილოსგან, ხორცისა (ცხვრის) და მანანის ბურღულისგან.

ტრადიციულად, მუსლიმანები არ სვამენ ალკოჰოლურ სასმელს, მაგრამ ამ საკითხს ტუნისში ლიბერალურად უდგებიან. ქვეყანა აწარმოებს მშრალ ღვინოებს. ქალაქ გრომბალიაში ყურძენს ძეგლიც კი დაუდგეს. ტუნისში, აგრეთვე, პოპულარულია ლუდი, ლიქიორი „ტიბარიანი“ და ლეღვის არაყი „ბოუხა“.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**თუ ყურადღებით მიადევნებთ თვალს სხვა ადამიანების ქვეცნობიერ მოქმედებას, მალე ისწავლით მათ „წაკითხვას“ და ტყუილში გამოჭერას. ამ რჩევების გათვალისწინება კი არა მხოლოდ გაგიიოლებთ ადამიანებთან ურთიერთობას, არამედ საპასუხისმგებლო სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაშიც დაგეხმარებათ.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ მოვამზადოთ ავტომობილი ხანგრძლივი და შორეული მოგზაურობისთვის



**ხანგრძლივი ავტომოგზაურობის წინ თქვენი „რკინის ცხენი“ გულდასმით უნდა მოამზადოთ, რადგან საცხოვრებლიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით მოკლებული იქნებით იმ საგნებს, რომელთა გამოყენებასაც მიჩვეული ხართ. რა უნდა წაიღოთ, თუ ხანგრძლივ და შორეულ ავტომოგზაურობას გადაწყვეტთ და, საერთოდ, როგორ უნდა მოამზადოთ ავტომობილი ასეთი მოგზაურობისთვის?**

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, **ავტომობილის გამართულობა უნდა შეამოწმებინოთ ავტოტექმომსახურების სადგურში.** ავტომობილის შემოწმება თქვენც შეგიძლიათ, მაგრამ თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვილი სპეციალისტი სუსტ ადგილებს უკეთ გამოავლენს, მაგალითად, ელექტრომოწყობილობებში ან ძრავაში. შესაბამისი ნაწილების შეცვლა კი მოგზაურობის დროს არც ისე ადვილია.

*თუ დარწმუნებული ხართ, რომ ავტომობილს დამოუკიდებლად შეამოწმებთ, დაიწყეთ ეს **ელექტროსისტემიდან.** შეამოწმეთ ახლო და შორეული განათება, გაბარიტების, დამუხრუჭებისა და მოხვევის ნათურები. აუცილებლობის შემთხვევაში, ნათურები გამოცვალეთ.



* შემდეგ აუცილებლად შეამოწმეთ **სამუხრუჭე სისტემა**, რადგან ეს თქვენი უსაფრთხოების გარანტიაა. სამუხრუჭე სითხის დონის სტანდარტულ შემოწმებასთან ერთად შეასრულეთ ეს ტესტიც: რამდენჯერმე სწრაფად დაძარით ავტომობილი და შემდეგ დაამუხრუჭეთ სამუხრუჭე პედალზე სხვადასხვა ძალით დაჭერით. რა თქმა უნდა, შეამოწმეთ **საბურავების** მდგომარეობაც. თუ ძალიან გაცვეთილია, შეიძინეთ ახლები.

* შემდეგ შეამოწმეთ **ძრავა** (დამოუკიდებლად თქვენ მხოლოდ ხმაურით მიხვდებით, რომ რაღაც რიგზე არ არის) და **საწვავის მიწოდების სისტემა** (დარწმუნდით, რომ შლანგები მთელია და საწვავს არ აპარებს).

* აუცილებლად უნდა წაიღოთ საჭირო **ინსტრუმენტების ნაკრები — სახრახნისი** და **გასაღებები,** აგრეთვე, **სათადარიგო საბურავი** და **დომკრატი.**

* როდესაც ავტომობილის შემოწმებას დაასრულებთ და ავტომობილში ყველა საჭირო ნივთს ჩაალაგებთ, **თავს** მიხედეთ: პირველ რიგში, **კარგად დაისვენეთ** და **გამოიძინეთ;** შემდეგ შეამოწმეთ **დოკუმენტაცია** — ხომ არ გაკლიათ რამე.

* დასასრულ — არ დაგავიწყდეთ **ნავიგატორი**, რომელიც ოპტიმალურ მარშრუტს შეგირჩევთ.

## ავტოკურიოზი

# ავტომობილი რომ გაეშრო, საათში 154 კმ-ით «იფრინა»

**საფრანგეთის ქალაქ კურსელ-ეპეულის მერი ჟან-ლუი ენონი ექსცენტრიულობით, როგორც ჩანს, ქართველ მძღოლებს არ ჩამოუვარდება.**

გზის მონაკვეთზე, სადაც დაშვებული იყო მხოლოდ 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა, ქალაქის მერმა 154 კმ/სთ სიჩქარით „იფრინა“. ეს, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს სამართალდამცველებმა, გააჩერეს მერი და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

ჟან-ლუი ენონმა თავი იმით იმართლა, რომ რამდენიმე წუთის წინათ ავტოსამრეცხაოდან გამოვიდა და, ავტომობილი სწრაფად რომ გაეშრო, გადაწყვიტა, 1 კმ დიდი სიჩქარით გაევლო. მერი სამართალდამცველებს დაეთანხმა, რომ ეს ბრიყვული საქციელი იყო. გულახდილობისა და მაღალი თანამდებობის მიუხედავად, ჟან-ლუი ენონი დამსახურებულად დააჯარიმეს.



# როგორ ამოვიცნოთ, როდის ამბობს ადამიანი სიმართლეს და როდის ცრუობს

ფსიქოლოგის რჩევები



**სამყაროში, სადაც ერთმანეთს ხშირად ატყუებენ ძალიან ახლობელი ადამიანებიც კი, რთულია, ვინმეს ენდო. ამოცნობა იმისა, რომ ადამიანი იტყუება, ბევრ უბედურებას აგვაცილებს თავიდან. და თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ (ალბათ, არ გვატყუებენ), სულ რამდენიმე ნიუანსის წყალობით, უშეცდომოდ შეიძლება განვსაზღვროთ, როდის ამბობს ადამიანი სიმართლეს და როდის ცრუობს.**
**აი ის სამი ნიშანი, რომლებიც მიგვითითებს, გულწრფელია თუ არა თანამოსაუბრე:**

### 1. ცვლილება სხეულის ენაში

მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ შეტყობინებების, გზავნილების 55%-ს ადამიანები ერთმანეთს სხეულის ენით (პოზების, ჟესტებისა და მოძრაობების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ისევე, როგორც სიტყვების მეშვეობით, სტრუქტურულად ფორმდება აზრები და გრძნობები, გადაეცემა იდეები და ემოციები) გადასცემენ. ჩვენი ამოცანაა მათი ამოცნობა, გაფილტვრა და განსაზღვრა, სად, როდის, რომელ მომენტში ცრუობენ.

ნიშნები, რომლებიც ადასტურებს, რომ თანამოსაუბრე ცრუობს:

* ჩვეულებრივზე ხშირად ახამხამებს თვალებს (ცდილობს, უფრო დამაჯერებელი იყოს);

* ცდილობს, მზერა აგარიდოს და თვალებში არ გიყუროს (დანაშაულის გაუცნობიერებელი განცდა);

* ლაპარაკის მომენტში ხელს იდებს პირის მიდამოებში (ქვეცნობიერად „უკრძალავს“ თავს ლაპარაკს);

* ლაპარაკობს ხმადაბლა და თვალებს არ ახამხამებს (ცდილობს, შეინარჩუნოს სიმშვიდე);

აი ამ ნიშნებს მიაქციეთ ყურადღება, როდესაც მნიშვნელოვან საქმეზე გელაპარაკებიან.

### 2. ხმის ცვლილება

ინფორმაციის 38%-ს ადამიანი გადასცემს ხმის, ტონისა და მეტყველების სიჩქარის მეშვეობით. მატყუარები ხშირად **სწრაფად ლაპარაკობენ ან პირიქით — უნებლიეთ იწყებენ ბლუკუნს — ენა ებმით. გარდა ამისა, თუკი თანამოსაუბრის ფრაზები გადატვირთულია არააუცილებელი დეტალებითა და ზედსართავი სახელებით, დაფიქრდით, ხომ არ ცდილობს, მოგატყუოთ?!** ცრუ ხშირად ავლენს ნერვიულობის ნიშნებს ისეთ ვითარებაში, როდესაც ამის მიზეზი არ არსებობს.

თუ ახლობელს ჰკითხავ: „დღეს სად იყავი?“ და მას უცებ ენა დაებმება და ჩვეულებრივზე სწრაფად დაიწყებს ლაპარაკს (მიუხედავად იმისა, რომ ამის მიზეზი არ აქვს), ესე იგი რაღაცას გიმალავს.

### 3. გუნება-განწყობილების შეცვლა

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ინფორმაციის 7%-ს გადავცემთ სიტყვით.

ამიტომ, თუ ეჭვი გეპარებათ, რომ ვიღაც ცრუობს, **შეეცადეთ, შეიტყოთ, რას განიცდის იმ მომენტში მისი გული და კუჭი.** თუკი, მაგალითად, პულსი ქმრისა, რომელიც გიყვებათ, როგორ გაატარა დღე თევზაობაში, რატომღაც აჩქარდა, შემდეგ კი მეუღლე რამდენჯერმე შევიდა ტუალეტში, დიდი ალბათობით, მან იცრუა.

### როგორ დავიმახსოვროთ ეს ყველაფერი?

უბრალოდ, უფრო ყურადღებით დააკვირდით თანამოსაუბრეს. **თუ ყურადღებით მიადევნებთ თვალს სხვა ადამიანების ქვეცნობიერ მოქმედებას, მალე ისწავლით მათ „წაკითხვას“ და ტყუილში გამოჭერას.** ამ რჩევების გათვალისწინება კი არა მხოლოდ გაგიიოლებთ ადამიანებთან ურთიერთობას, არამედ საპასუხისმგებლო სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაშიც დაგეხმარებათ.



# კოღოებისგან თავის დაცვის იოლად დასამზადებელი საშუალება

**ზაფხულში ბუნების წიაღსა თუ შინ ყოფნისას ხშირად გვაწუხებს კოღოები. როგორ დავიცვათ თავი ამ სისხლისმსმელი მწერებისგან? გთავაზობთ კოღოებისგან თავდაცვის მარტივ საშუალებას, რომლის ინგრედიენტებიც ყველა სახლში მოიძებნება.**



**კოღოების საწინააღმდეგო საშუალების მოსამზადებლად საჭიროა:**

* ღვინის ძმარი;

* მცენარეული ზეთი (მზესუმზირის ან ზეითუნის);

* შამპუნი (სასურველია იმ არომატის, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ);

თითოეული ამ კომპონენტის მცირე რაოდენობა (მაგ., 1 სუფრის კოვზი) ერთმანეთში აურიეთ. მიიღებთ წებოვან თეთრ სითხეს, რომელიც სხეულის დაუცველ ადგილებზე წაისვით და ვერც ერთი კოღო ახლოსაც ვერ მოგეკარებათ.

კოღოებს აფრთხობს, აგრეთვე, **ჭინჭრის წვენიც.**

**თუ კოღომ უკვე გიკბინათ,** ნაკბენზე წაისვით ძმარი და დაიყარეთ სოდა.

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრი შეძლებს მოვლენების სწორად შეფასებას. წარმატებას მიაღწევს ის, ვინც მეთოდურად და შეუპოვრად ივლის დასახული მიზნებისკენ. სასიკეთო პერიოდია კირჩხიბისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**22 – 28 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი

**21 მარტი – 20 აპრილი**

გაცხარებამ და იმპულსურობამ, აგრეთვე, ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა და შესაბამისმა მოქმედებებმა იოლად შეიძლება დაგინგრიოთ ოჯახური იდილია.

თქვენი პრობლემა არის ის, რომ არ გსურთ, ადამიანებს მოუსმინოთ და გაუგოთ. ეს ეხება არა მხოლოდ ახლობლებს, არამედ ყველას, ვისთანაც საქმე გექნებათ.

თუ ვალი გაქვთ აღებული, მოგიწევთ დაბრუნება.

გაუფრთხილდით ყელს — უარი თქვით ცივ სასმელსა და ნაყინზე.

**დადებითი დღე: 22 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 26 ივლისი**

## კურო

**21 აპრილი – 21 მაისი**

კარგი პერიოდია კოლეგებთან და ახლობელ ადამიანებთან დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად.

როგორი მაცდურიც უნდა იყოს შემოთავაზება, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. შესაძლოა, პრობლემა შეგექმნათ უძრავი ქონების შეძენის ან გაყიდვისას.

საყვარელი ადამიანის მიმართ გამოიჩინეთ მეტი მზრუნველობა და შეეცადეთ, მისი მოთხოვნების ნაწილი მაინც დააკმაყოფილოთ.

თუ რომელიმე დაავადება გაწუხებთ, უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რადგან შესაძლოა, ქრონიკულ დაავადებად იქცეს.

**დადებითი დღე: 24 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 26 ივლისი**

## ტყუპი

**22 მაისი–21 ივნისი**

შესაძლოა, ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ, რომლებსაც დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტთ. ეს შეიძლება იყოს იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობა ან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. რჩევისა და დახმარებისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის, თუმცა შემოსავალი, რომელსაც მიიღებთ, პირველადი საჭიროებისთვის საკმარისზე მეტი იქნება. კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ორი დღით მაინც გაემგზავრებით დასასვენებლად.

მაღალია ბრონქებისა და ფილტვების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივლისი**

## კირჩხიბი

**22 ივნისი–22 ივლისი**

გაგიჩნდებათ ბევრი იდეა, რომელთა განხორციელებასაც ახლობლების დახმარებით შეძლებთ. თუ გადაწყვეტილი გაქვთ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება, ამისთვის ახლა შესაფერისი პერიოდია.

გაუმართლებთ იმ კირჩხიბებს, რომლებიც საინფორმაციო სფეროში მუშაობენ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და შეეცადეთ, ფიზიკურად დაიტვირთოთ.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივლისი**

## ლომი

**23 ივლისი –22 აგვისტო**

გარშემო მყოფთა მიმართ დიქტატორული თვისებების გამოვლენა კარგს არაფერს მოგიტანთ. შესაძლოა, ურთიერთობა დაგეძაბოთ ხელმძღვანელობასთან, მაგრამ დიპლომატიური უნარის წყალობით ყველაფერს მოაგვარებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არ გაგიმწვავდებათ, თუ მის მიმართ მეტ მზრუნველობას გამოიჩენთ და მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე არ იფიქრებთ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივლისი**

## ქალწული

**23 აგვ. –23 სექტემბ.**

თუ ცხოვრების მდინარებას უშფოთველად გაჰყვებით და პრობლემების მოგვარებაზე არ იზრუნებთ, მიზნებს, რომლებიც დასახული გქონდათ, ვერ მიაღწევთ. მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებთ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთა წინაშეც, შესაძლოა, აღმოჩნდეთ.

სამსახურში თავი შეიკავეთ კოლეგების გაკრიტიკებისგან და შეეცადეთ, მეტი დადებითი დაინახოთ ადამიანებში.

ჩაერთეთ ოჯახის უმცროსი წევრების პირად ცხოვრებაში და არც უფროსები დაივიწყოთ.

თუ თირკმელების რომელიმე დაავადება გაქვთ გადატანილი, აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რადგან დიდია ამ ორგანოს ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 23 ივლისი**

## სასწორი

**24 სექტ. – 23 ოქტ.**

ამ პერიოდში წარმატებას მიაღწევენ ის სასწორები, რომელთა პროფესიაც დაკავშირებულია ადამიანთან ურთიერთობასთან — ფსიქოლოგები, პედაგოგები, ჟურნალისტები, იურისტები და ა.შ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც დიდად წაადგება თქვენს ბიუჯეტს.

მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს — მოაგვარეთ მათი დასვენების საკითხი.

თავი აარიდეთ ალკოჰოლის მიღებას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივლისი**

## მორიელი

**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

სასიკეთო პერიოდია ყველა წამოწყებისთვის, რომელიც დაკავშირებული იქნება ფინანსურ სფეროსთან. თუ ყოყმანს არ დაიწყებთ და გაბედულად იმოქმედებთ, წარმატება არ დააყოვნებს.

ნუ შეაწუხებთ საყვარელ ადამიანს ეჭვიანობით, მით უმეტეს, რომ ამის რეალური საფუძველი არ გაქვთ. შეეცადეთ, გულწრფელად დაელაპარაკოთ თქვენს გრძნობებზე.

დაიცავით კვების რეჟიმი და ნუ მიეძალებით ალკოჰოლურ სასმელს — ახლა მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 24 ივლისი**

## მშვილდოსანი

**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ახლა თქვენი ყველაზე კარგი მოქმედება უმოქმედობაა. ყველა მცდელობა, როგორმე გავლენა მოახდინოთ თქვენს ცხოვრებაზე, უშედეგოდ დასრულდება, ამიტომ მოთმინებით დაელოდეთ უკეთეს პერიოდს.

კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, შენიშვნები გაითვალისწინოთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უფროს წევრებს, შეეცადეთ, მათთან მეტი დრო გაატაროთ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 27 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი**

## თხის რქა

**22 დეკემ. – 20 იან.**

ამ პერიოდში არ ღირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. შეეცადეთ, დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გაქვთ, და ეს არც ისე ცოტაა.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებს, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

მარტოხელა თხის რქებმა, შესაძლოა, გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობა მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

თუ სპორტის ექსტრემალური სახეობით ხართ დაკავებული, ამ პერიოდში ფრთხილად უნდა იმოქმედოთ.

**დადებითი დღე: 24 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი**

## მერწყული

**21 იან. – 19 თებ.**

სასიკეთო პერიოდია ძველი ურთიერთობის გასავითარებლად და განსამტკიცებლად.

ინტუიციის წყალობით, შეძლებთ კომერციული გეგმის შედგენას, რომელიც მოგებას ახლო მომავალში მოგიტანთ და თქვენს ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მშობლების მიმართ, ახლა მათ ძალიან სჭირდება თქვენი მზრუნველობა.

გაუფრთხილდით ფეხებს, განსაკუთრებით კოჭებს, რადგან მაღალია მათი ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 28 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი**

## თევზები

**20 თებ. – 20 მარტი**

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების მომატება არ გაწყენდათ, თუ მხოლოდ მატერიალურ ფასეულობებზე დაიწყებთ ფიქრს, ვერაფერს მიაღწევთ.

შესაძლოა, შემოგთავაზონ კომერციული გარიგება, რომელიც მოგებას რამდენიმე თვის შემდეგ მოგიტანთ. გადაწყვეტილება გარიგების ყველა დეტალის კარგად გაანალიზების შემდეგ მიიღეთ.

შეყვარებულ თევზებს შეიძლება ურთიერთობა დაეძაბოთ საყვარელ ადამიანთან, თუ ემოციებს არ მოთოკავენ.

მეტი დაისვენეთ და ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით, შესაძლოა, ამან გულის დაავადების პროვოცირება გამოიწვიოს.

**დადებითი დღე: 24 ივლისი**
**უარყოფითი დღე: 26 ივლისი**

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე







1. ლატვიის დედაქალაქი
2. პატარა რესტორანი ესტრადითურთ
3. მსახიობი ... სუხიტაშვილი
4. მდინარე იტალიაში
5. ქათმის ლეიძლისგან დამზადებული საკვები
6. პორტუგალიის დედაქალაქი
7. საკვების ენერგეტიკული ღირებულება
8. გარეული ცხოველი
9. რომის პაპის თავსაბურავი
10. მდინარე ინდოეთში
11. იგივეა, რაც ადგილი
12. ქცევის ნორმა
13. მონყობილობა დაჯახების შესასუსტებლად
14. ... მელვინვოუბუცესი
15. ყაიმი
16. მზის ლმერთი ეგვიპტურ მით.-ში
17. სათვალე, საყურე რკალები არ აქვს
18. ჩანჩქერი სამხ. აფრიკაში
19. მუს. ნოტი
20. მონონების შეძახილი
21. ფეხბურთელი ... ანრი
22. „გარეთ აბლასი, შიგნით ...“
23. რესპუბლიკა სამხ. აფრიკაში
24. ბუნებრივი მონითალო-ყვითელი საღებავი
25. კოლორადოს შტატის დედაქალაქი
26. საკურორტო ქალაქი თურქეთში
27. სამკურნალო პროცედურა
28. თანხმობა ესპანურად
29. ქართული ფილმი
30. „თეთრი ბაირაღები“ — პერსონაჟი ... გულოიანი
31. მათემატიკური ამოცანის ჩანაწერი
32. დამპყრობი, მოძალადე
33. ისტორიკოსი ... მეტრეველი
34. პატარა საცხოვრებელი სახლი
35. შარვალი, მუხლებს ქვემოთ შემოჭერილი
36. ლატვიელი მომღერალი ქალი ... ანდრეევა
37. იაპონური ჭიდაობა
38. ინკების დამნერლობა
39. ნაბიჯი ცეკვაში
40. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
41. ვაჟიშვილი
42. საუკეთესო ხარისხის ბროლი
43. ლომვეშაპი
44. მომღერალი ... ლონექსი
45. გერმანელი მწერალი ... ლატკე
46. გადაულახავი პრობლემა
47. შოუ „გადარჩე ნებისმიერ ფასად“ — ... გრილსი
48. პერანგის საყელოზე მიელებული ბაფთა
49. ნამახალისებული ქულა ან ფულადი დანამატი
50. კომპიუტერული კორპორაციის პირველი ლოგოს ... სენი
51. საზოგადოების გამორჩეული ფენა
52. ფამბერგ თეორემა მათემატიკაში
53. 3-სტროფიანი ლექსი
54. მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვა თურქეთში
55. მომღერალი ... არმსტრონგი
56. მსახიობი ... პარისი
57. ... თბილელი
58. ნაგებობა მდინარის გასწვრივ
59. ნარჩენების ნიშანი — ლითონის მრგვალი ფირფიტა
60. ფრანგი სანლვაო მკვლევარი ჟაკ ... კუსტო
61. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში
62. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ... ალიევი

## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩანერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 3 | 7 | | 9 |
| | | | 8 | 5 | | 3 | | |
| | 3 | | 1 | | 7 | | | |
| | | 6 | | | 1 | 2 | | 7 |
| 8 | | | | | | | | 1 |
| 7 | | 1 | 5 | | | 6 | | |
| | | | 2 | | 5 | | 7 | |
| | | 9 | | 1 | 8 | | | |
| 6 | | 8 | 7 | | | | | 2 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 1 | | 8 | 5 | | |
| 9 | | 8 | 5 | 2 | | 1 | 3 | |
| | 1 | | | | | | | |
| | | | | | | | 2 | 6 |
| | 9 | | 3 | | 7 | | 1 | |
| 5 | 8 | | | | | | | |
| | | | | | | | 8 | |
| | 5 | 4 | | 3 | 2 | 6 | | 1 |
| | | 3 | 6 | | 1 | | 5 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 8 | 6 | | | 4 | | |
| | | 3 | | 1 | | | | 5 |
| | | | 3 | | | | | 6 |
| | | 7 | | | | | | 2 |
| 8 | | | 9 | | 2 | | | 4 |
| 5 | | | | | | 8 | | |
| 2 | | | | | 3 | | | |
| 4 | | | | 5 | | 3 | | |
| | | 5 | | | 8 | 7 | | 1 |



ჯონ კერი:

# თუ კონგრესი ირანთან შეთანხმებაზე უარს იტყვის, დიდი ალბათობით, ომი დაიწყება

**„თუ კონგრესი ამ შეთანხმებას მხარს არ დაუჭერს, ირანი კვლავ დაიწყებს ურანის გამდიდრებას და, დიდი ალბათობით, მივიღებთ ომს“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ტელეკომპანია CBS-ის ეთერში.**

როგორც კერიმ აღნიშნა, აშშ-ის კონგრესმა უნდა მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება და მხარი დაუჭიროს ქვეყნებს შორის დადებულ შეთანხმებას. კონგრესში ირანთან მიღწეულ შეთანხმებაზე დისკუსია უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, ირანი ბირთვულ პროგრამას შეზღუდავს, სანაცვლოდ სანქციების დიდ ნაწილს გაუუქმებენ და დასავლეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა გაფართოვდება. ამასთანავე, ირანმა დადო პირობა, რომ უარს იტყვის ბირთვული იარაღის შექმნაზე და ამ პირობის შესრულებას საერთაშორისო ორგანიზაციები დააკვირდებიან. ექვს ქვეყანასა და ირანს შორის დადებული 100-გვერდიანი შეთანხმების ამოქმედების ვადად 90 დღე განისაზღვრა.

# ვახტანგ გომელაური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ახალი ხელმძღვანელია



**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე შს მოქმედი მინისტრი ვახტანგ გომელაური წარადგინა.**

ხელისუფლების გადაწყვეტილებით და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონით, შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიყო ორად და მოხდა საპოლიციო და სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

1 აგვისტოდან იქმნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების დაწესებულება იქნება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციად ორი მთავარი ფუნქცია განისაზღვრა – ეს არის მის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულების თავიდან აცილება, გამოვლენა, აღკვეთა და გამოძიება, აგრეთვე, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულთა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზი.

უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი მიმართულებები იქნება: სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან, აგრეთვე, სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემისა და ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული და სხვა საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება, სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა რეალიზაცია და მათი შესრულების კონტროლი და სხვ.

დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში გადავა ისეთი დანაყოფები, როგორიც არის: კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, კონტრტერორისტული ცენტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ანტიკორუფციული სააგენტო, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი — ე.წ. შავნაბადას დანაყოფი.

ჯეფრი სილვერმანი:

# სააკაშვილს საქმეს გააკეთებინებენ და მოიშორებენ. ზუსტად იგივე დაემართება, რაც ჟვანიას!



**ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა გაზეთ „ასავალ-დასავალს“ ინტერვიუ მისცა, ის ამბობს:**

„სააკაშვილი ძალიან მშიშარაა, ამისთვის (ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვის — რედ.) ნებისყოფა არ ეყოფოდა, შესაძლებელია, ორგანიზება გაეკეთებინა. დანაშაული საშინელებაა, მაგრამ მისი შენიღბვა — უარესი. აშკარა ექვს, რომ ამ საქმეში თვითონაცაა გარეული, ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ ამ მკვლელობის გამოძიებაში სააკაშვილი პროკურატურას არ დახმარებია, აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომაც არაფერი გააკეთა. სააკაშვილი დამნაშავეც რომც იყოს, ამერიკის მთავრობა ხელს დააფარებს, დაიცავს, რადგან ხვდებიან, რომ სიმართლე მას გაანადგურებს. სააკაშვილი დღესაც ამერიკის დავალებებს ასრულებს, ფულს ისინი უხდიან, ამიტომაც არიან კიევში ის და მისი გუნდის წევრები. საქმეს გააკეთებინებენ და მოიშორებენ. ვიმეორებ: სააკაშვილს ცუდი დასასრული ელის, თუ პირდაპირ მკვლელობას გადაურჩება, ზუსტად იგივე დაემართება, რაც ჟვანიას. ეს მისი ბედია!“

# თბილისში 50-მდე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

**დედაქალაქის მერის — დავით ნარმანიას თქმით, საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთების მიზნით 18 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი უკვე დასრულებულია, 13 ქუჩის რეაბილიტაცია მომდევნო კვირაში დაიწყება, დანარჩენების სარეაბილიტაციო სამუშაოები კი ეტაპობრივად მოხდება.**



ნარმანიას განცხადებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გზებს კომპანია „ბლექ სი გრუპი“ შეაკეთებს, სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ ლარს შეადგენს; მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქუჩებს კი კომპანია „არენამშენი“ შეაკეთებს.

სამუშაოების ღირებულება 5 500 000 ლარია. უახლოეს დღეებში საგზაო სამუშაოები დაიწყება თბილისი-კოჯრის გზაზე, ასევე დაგეგმილია კოჯრის ცენტრალური მოედნის კაპიტალურად შეკეთება. აგვისტო-სექტემბერში, ქუჩების რეაბილიტაციის ინტენსიური სამუშაოების შემდეგ, ქალაქში გზების შეკეთების სამუშაოები დასრულდება. საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ძირითადად, ღამის საათებში განხორციელდება და საპატრულო პოლიცია უზრუნველყოფს, რათა მძღოლებს არ შეექმნათ საგზაო პრობლემები.

6 თვის მონაცემებით, დედაქალაქის ბიუჯეტიდან საგზაო მიმართულებაზე დაიხარჯა 27,4 მილიონი ლარი. სულ დედაქალაქის მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 50-ზე მეტ ქუჩას.

**საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხობის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი**

**ალექსანდრე ცხადაია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ფოტოებზე: გრიგოლ აბაშიძე; გრემი; ჟორჟ სანდი.
1. რიგა; 2. კაბარე; 3. ია; 4. პო; 5. პაშტეტი; 6. ლისაბონი; 7. კალორია; 8. ირემი; 9. მიტრა; 10. შირავატი;
11. ალაგი; 12. ეტიკეტი; 13. ბუფერი; 14. ოთარ; 15. ფრე; 16. რა; 17. პენსნე; 18. ტუგელა; 19. რე; 20. იფ;
21. ტიერი; 22. ათასი; 23. კენია; 24. ინა; 25. დენვერი; 26. ანტალია; 27. მასაჟი; 28. სი; 29. ნერგები;
30. ტიგრან; 31. განტოლება; 32. აგრესორი; 33. როინ; 34. კოტეჯი; 35. გალიფე; 36. აიშა; 37. ძიუდო; 38. კიპუ;
39. პა; 40. პოლო; 41. ძე; 42. ბაკარა; 43. მორჟი; 44. ენი; 45. უდო; 46. დილემა; 47. ბეარ; 48. ჟაბო; 49. ბონუსი;
50. ირ; 51. ელიტა; 52. ლემა; 53. რონდო; 54. ეფენდი; 55. ლუი; 56. ედ; 57. აბო; 58. ჯებირი; 59. მედალი;
60. ივ; 61. ეკვადორი; 62. ილჰამ.

**მარტივი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 9 | 6 | 7 | 8 | 5 | 2 | 3 | 1 | 4 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 4 | 6 | 3 | 8 | 1 | 2 | 9 | 7 |
| 8 | 2 | 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 5 | 1 |
| 7 | 9 | 1 | 5 | 2 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 5 | 9 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 1 | 8 | 5 | 3 | 6 |
| 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 9 | 1 | 4 | 2 |

**საშუალო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 2 | 6 | 1 | 3 | 7 |
| 6 | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 2 | 6 |
| 2 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 1 | 2 | 6 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 8 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 |
| 7 | 2 | 3 | 6 | 8 | 1 | 4 | 5 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 2 | 7 | 5 |
| 1 | 5 | 2 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 1 | 7 | 5 | 8 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 8 | 3 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 3 | 6 | 8 | 9 | 7 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 9 |
| 4 | 7 | 9 | 2 | 5 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 | 2 | 1 |


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894